პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მეშვიდე

კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის ცენტრალური და თბილისის კომიტეტების და სრულიად საქართველოს მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, კამოს (ყოფ. დიდო მთავრის) ქ. № 68. მეორე სართული
რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე, გარდა კვირა-უქმეებისა დილის 10 საათიდან ღამის 12 საათამდე.
ტელეფ.) რედაქტორის 14—76
) მდივნის 10—58
) ღამის მორიგეს 18—80.

მთავარი კანტორა თბილისი რუსთაველის პროსპ., № 34, ტელეფონი № 8—81.

ხელისმოწერის ფასი: მუშა-მოსამსახურეთათვის, გლეხების, წითელ-არმიელების, მოწაფეების და მასწავლებლებისათვის—1 მან., დანარჩენებისათვის—1 მან. და 30 კაპ.

განცხადებები: საქართველოს ფარგლებში—ტექსტის უკან—80 კ. ნონპარელის სტრიქონი, ტექსტის შიგნით—1 მ. 60 კ.; საქართველოს გარეთ—ტექსტის უკან—1 მ. 50 კ., ტექსტში—3 მ.; განმეორებული განცხადების ფასისა იხდის 10% საქალაქო გადასახადს. თუ განცხადება იბეჭდება ხუთჯერ ტექსტის შეუცვლელად-შეღავათი შეთანხმებით. მთ. კანტორაში განცხადებები მიიღება 9—3½ ს., 3½ ს. შემდეგ განცხადება ეღირება 20%-ით მეტი. სამგლოვიარო განცხადებები—15 და 20 მ.

სამშაბათი, 2 აგვისტო 1927 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 5 კაპ. № 173 (1918)

დღიური

- გაიხსნა პირდაპირი სარკინიგზო მიმოსვლა შორეულ აღმოსავლეთსა და საბჭოთა კავშირს შორის.
- პოლონეთის ელჩი პატეკი მოსკოვიდან [illegible] გაემგზავრა ვარშავაში.
- მანიფესტაციები ომის წინააღმდეგ.
- პოლიტ. პატიმრების სიმშილობა რიგის ციხეში.
- მუშების დაპატიმრება ლატვიაში.
- დაიხურა საფრანგეთის შრომის კონფედერაციის ყრილობა.
- ვეზუვის ამოხეთქა.
- დიდი წყალდიდობა ინდოეთში.

„კომუნისტი“
გრძელდება ხელის მოწერა
აგვისტოსათვის
კანტორა—რუსთაველის პრ. № 34. ტელეფ. 8—81

მშენებლობის საკითხები

საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობის უმაღლესმა საბჭომ ამას წინად შრომისა და თავდაცვის საბჭოში წარადგინა მოხსენება კაპიტალურ მშენებლობის ნაკლულოვანებათა შესახებ. ეს მშენებლობა წლიდან-წლამდე სულ უფრო ფართოდ იშლება. 1923—24 წელს მასზე დაიხარჯა (საბჭოთა კავშირის მასშტაბით) 225 მილიონი მანეთი, 24—25 წ. 380 მილ. მან.; 25—26 წ. 811 მილ. მან.; ხოლო მიმდინარე 1926—27 წლისათვის გადადებულია ერთ მილიარდ მანეთამდე (976,9 მილ. მან.)

უკანასკნელი თანხა ასე ნაწილდება: არსებულ წარმოებათა კაპიტალურ რემონტზე მოდის 112 მილ. მან. (10.5 პროც.), ქარხნების გაფართოება-რეკონსტრუქციაზე—545 მილ. მან. (57.5 პროცენტი), ახალ ქარხნებზე—220 მილ. მან. (22 პროც.), საბინაო მშენებლობაზე—100 მილ. მან. (10 პროც.).

ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის და კაპიტალისტური მსოფლიოსაგან ეკონომიურ დამოუკიდებლობის მოპოების ლოზუნგთან დაკავშირებით, თავის თავად ცხადია, ყველაზე მეტი თანხები ხმარდება დარგებს, რომელნიც წარმოების საშუალებებს ამზადებენ, აგრეთვე იმ წარმოებების გაფართოებას, რომელნიც შესაძლებლობას იძლევიან საიმპორტო საქონელი შევსცვალოთ საბჭოთა პროდუქციით. მაგ.; მძიმე ინდუსტრიის განსავითარებლად გადადებულია 700 მილიონ მანეთამდე.

ჩვენი კაპიტალური მშენებლობა სხვათა შორის, დამახასიათებელია იმით, რომ დიდი ყურადღება ექცევა მრეწველობის განვითარებას ნაციონალურ რესპუბლიკებში. კერძოდ საქართველოში, 1921—27 წ. საკავშირო სამრეწველო გეგმის მიხედვით, შენდება რამდენიმე ფაბრიკა: მაუდის ფაბრიკა თბილისში, აბრეშუმის ფაბრიკები რამოდენიმე ალაგას და სხ. საბჭოთა ხელისუფლების ეროვნული პოლიტიკა, რომელიც მდგომარეობს ხალხთა არა მარტო სრული თანასწორ უფლებიანობის აღიარებაში, არამედ ამ თანასწორუფლებიანობისათვის მტკიცე ეკონომიურ ბაზის შექმნაში,—გამოხატულებას ჰპოულობს კაპიტალურ მშენებლობის გეგმაში.

მაგრამ დღეს, როცა მშენებლობას ვეხებით, უფრო სხვა რამ გვაინტერესებს, სახელდობრ ის ნაკლულოვანებანი, რომლებიც ამ მშენებლობას თან ახლავს. საკავშირო სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოც ხსენებულ მოხსენებაში მაზე აჩერებს თავის მთავარ ყურადღებას.

როგორც ვსთქვით, კაპიტალურ მშენებლობაზე 1926—27 წ. ერთ მილიარდ მანეთამდეა გადადებული. ამას მიუმატეთ კომუნალური მშენებლობა, ადგილობრივი საბინაო მშენებლობა, მშენებლობა ადგილობრივი მნიშვნელობის შესაქმნელად და თქვენ მეტად დიდ თანხას მიიღებთ. ყოველ შემთხვევაში, იმ მილიარდ მანეთს რამოდენიმე ასეული მანეთი კიდევ უნდა მიემატოს. თუ გინდ რამდენიმე პროცენტით მომჭირნეობის დაცვა აქ და მუშაობის რაციონალურად წარმოება ათეულ მილიონების ეკონომიას მოგვცემდა, რითაც შეიძლებოდა მშენებლობის შემდგომი გაფართოება. მაგრამ სინამდვილეში ამას ვერ ვხედავთ. მშენებლობა მეტად ძვირი ჯდება და არაიშვიათად დაბალი ღირსებისა. ამიტომ მილიარდების ხარჯვა ვერ იძლევა იმ ეფექტს, რომლის მოცემა შეეძლო საქმის რიგიანად დაყენების დროს.

პირველ ყოვლისა აღსანიშნავია საამშენებლო მასალების არაჩვეულებრივი სიძვირე. მათი ღირებულება შეადგენს საამშენებლო სამუშაოების საერთო ღირებულების 60 პროცენტს—ომის წინა დროსთან შედარებით გაძვირება გამოიხატება 2,76 პროც. ამავე დროს საამშენებლო მასალა ხშირად მდარე თვისებისაა, რაც მის მეტ რაოდენობას მოითხოვს და აგრეთვე უარყოფითად მოქმედებს ნაგებობის სიმკვიდრეზე.

სამუშაო ხელფასი შეადგენს მშენებლობის ღირებულების 23,5 პროცენტს. ომის წინანდელ დროსთან შედარებით ის გაძვირებულია 1,82 პროცენტით. ეს უმთავრესად აიხსნება შრომის ნაყოფიერების ჩამორჩენით ხელფასის ზრდისაგან. თავის მხრივ ამას იწვევს მუშების სუსტი კვალიფიკაცია და სუსტი შრომის დისციპლინა.

მეტად დიდია ადმინისტრატიულ-სამეურნეო ხარჯები, რომლებიც შეადგენენ 17,7 პროცენტს, რაც ომის წინანდელ ნორმებიდან შედარებით იძლევა 10—12 ჯერ მეტ გაძვირებას.

ვერ არის კარგად დაყენებული მშენებლობის პროექტების შედგენა-დამტკიცების საქმე. მათი დამტკიცება გვიანდება. ხშირად მუშაობას ჰკიდებენ ხელს პროექტების სათანადო ინსტანციებში გატარებამდე. არა იშვიათია შემთხვევა, რომ უმაღლეს ორგანოებს პროექტებში შეაქვთ მნიშვნელოვანი შესწორებები, რაც იწვევს დაწყებულ მუშაობის გადაკეთებას და აქედან გამომდინარე ზედმეტ ხარჯებს. პროექტების დამტკიცების დაგვიანება აიხსნება ერთი მხრით ბიუროკრატიზმით, რომელიც ამ დარგში კიდევ არ არის აღმოფხვრილი, მრავალი ინსტანციების არსებობით, რომლებშიც პროექტებმა უნდა გაიარონ, მეორე მხრივ ეს აიხსნება პროექტების ცუდათ დამუშავებით ძირითად დაწესებულებათა მიერ, რომლებიც დასაბუთებულ და ამომწურავ მასალას არა ყოველთვის იძლევიან თავისი საამშენებლო გეგმების შესახებ; ამიტომ საჭირო ხდება დამატებითი ცნობების შეგროვება და გამოკვლევების მოხდენა.

ჩვენ საამშენებლო ტექნიკის მხრივ საგრძნობლად ჩამორჩენილი ვართ დასავლეთ ევროპისა და მით უმეტეს ამერიკისაგან. მაღალი კვალიფიციური ტექნიკური ძალები, აღმშენებლობის სპეციალისტები ცოტა მოგვეპოვება. ამიტომ პროექტების შედგენის დროს ხშირად ვერ ვითვალისწინებთ იმ მიღწევებს, რომლებიც უცხოეთში არსებობს და რომლებიც მეტად აიაფებენ მშენებლობას. მაგ., არა იშვიათად რკინას და ბეტონს ვხმარობთ იქ, სადაც ხის მასალა წარმატებით გასწევს მათ მაგიერობას, დანგრევისა და სხვა „უსიამოვნებების“ ასაცილებლად საჭიროზე მეტ სიმკვიდრის შენობებს ვაგებთ და სხვა. შრომის მექანიზაცია ჯეროვნად არ არის გამოყენებული. ყველაფერი ეს აჭიანურებს და აძვირებს ჩვენს მშენებლობას.

ზემო თქმულიდან ცხადია, თუ რა ზომები უნდა მივიღოთ მშენებლობის გასაუმჯობესებლად. უნდა გავაიაფოთ საამშენებლო მასალა და მისი თვისება ავსწიოთ. კერძო კაპიტალი შესძლებისდაგვარად უნდა განვდევნოთ საამშენებლო მასალების ბაზრიდან, კერძო იჯარა, რომელსაც არაიშვიათად მივმართავთ,, უნდა მოვსპოთ. საამშენებლო მასალების წარმოება უნდა დავაყენოთ ფართე და რაციონალურ ნიადაგზე, მის გადაზიდვა-ვაჭრობის დარგში მოვსპოთ ზედმეტი საორგანიზაციო საქმეები. მტკიცე გეგმისა და სისტემის შემოღებით უნდა აღმოვფხვრათ ის აჟიოტაჟი და სპეკულიაცია, რომელიც შესამჩნევია ყოველ საამშენებლო პერიოდში.

დიდი ყურადღება უნდა მიექცეს შრომის ნაყოფიერების აწევას, შრომის დისციპლინის განმტკიცებას. ამ მიზნით ადმინისტრატიულ ღონისძიებებთან ერთად უნდა გავსწიოთ კულტურული მუშაობა საამშენებლო მუშებს შორის. პროფორგანიზაციებს ამ მხრივ საპასუხისმგებლო მოვალეობა აწევთ.

უნდა ავიცილოთ ნაკლულოვანებანი საამშენებლო პროექტების შედგენა დამტკიცებაში. საჭიროა დასავლეთის ტექნიკის შეთვისება და მისი შეფარდება ადგილობრივ პირობებთან. ამასთან პროექტების განმხილველ ინსტანციების რიცხვი მინიმუმამდე უნდა შევამციროთ და აქ უნდა მოვსპოთ საქმის გაჭიანურება და ბიუროკრატიზმი.

მშენებლობის პროცესის გასაძლიერებლად უნდა მოვიწვიოთ გამოცდილი ტექნიკოსები, რომელნიც შესძლებენ იაფ და ამავე დროს სრულებით ვარგის ნაგებობათა აშენებას.

საბჭოთა კავშირში მილიარდები იხარჯება მშენებლობაზე. აქედან საქართველოზეც მოდის საგრძნობი თანხები. აქ ყველაზე მეტად გვესაჭიროება ეკონომია და რაციონალიზაცია. ამას დაჟინებით გვიკარნახებს საშუალებათა სიმცირე, საამშენებლო მოთხოვნილებათა სიმწვავე და მათი დაკმაყოფილებლობის გადაუდებლობა. ამიტომ, ვიმეორებთ, მშენებლობაში მომჭირნეობის და რაციონალიზაციის გატარებას გაცილებით მეტი ყურადღება უნდა მიექცეს, ვინემ ამას დღემდე ჰქონდა ადგილი. ამ გზით ჩვენ საკმაოდ დიდ საშუალებებს გადავარჩენთ ახალ მშენებლობისათვის.

გომინდანის კონტრ-რევოლიუციონური ხელმძღვანელობა და ჩინეთის რევოლიუცია

გომინდანის ხელმძღვანელები უხანში სულ უფრო გადაჭრით დგებიან კონტრ-რევოლიუციის გზაზე. ისინი მაინც უცხადებენ თავის ერთგულებას „საწყალ ჩინელ ხალხს“, ისინი თითქო იმიჯნებიან უფრო შეურიგებელი ტიპის კონტრ-რევოლიუციონერებისაგან, მაგრამ ყოველ დღე მჭერმეტყველურად ამტკიცებს, რომ მათ [illegible] რევოლიუციას და მათი მიზანი ხდება ბრძოლა მუშურ-გლეხური რევოლიუციის წინააღმდეგ. ამ კონტრ-რევოლიუციონურმა პოლიტიკამ გომინდანის ხელმძღვანელებისა, რომელთა იდეოლოგსაც ვანტინ-ვეი წარმოადგენს, ყველაზე ნათელი გამოხატულება ჰპოვა გომინდანის ცეკას გალაშქრებაში კომუნისტური პარტიის წინააღმდეგ. თურმე, დახეთ, უკანასკნელს ვერ გაუგია ჩინეთის რევოლიუციის ეროვნული ხასიათი და ის, ემორჩილება რა მოსკოვის დირექტივებს, სცდილობს ამ რევოლიუციის გადაყვანას ნაძალადევი აჯანყების გზაზე, რითაც ის ხდება „ეროვნული რევოლიუციის“ მტ[illegible]

გომინდანის ხელმძღვანელები ამჟამად პირდაპირ უწყობენ ხელს რევოლიუციონურ ორგანიზაციების დარბევას. უკანასკნელი ცნობების თანახმად, ჯარებს დაჭერილი ჰქონიათ მუშათა ორგანიზაციების შენობები, სწარმოებს პროფორგანიზაციების დაშლა, ხოლო კომუნისტებს, რომლებიც არ შესწყვეტენ დამოუკიდებელ მუშაობას, დაპატიმრებით ემუქრებიან. კომუნისტებს მიცემული აქვთ ორი წინადადება: ან დაემორჩილონ კონტრ-რევოლიუციონურ გზაზე შემდგარ გომინდანის ხელმძღვანელობას, ანდა დაიშალონ. ვან-ტინ-ვეის უკანასკნელი განმარტების თანახმად, გომინდანის წევრი არ შეიძლება იყოს კომუნისტური პარტიის წევრი.

კომუნისტების ამოცანას ასეთ პირობებში წარმოადგენს გადამწყვეტი ბრძოლა გომინდანის ხელმძღვანელ კონტრ-რევოლიუციონურ ძალების წინააღმდეგ და ამ ძალების დაუნდობელი გამოაშკარავება გომინდანში შემავალ მუშურ-გლეხურ მასებისა და ქალაქის წვრილი ბურჟუაზიის წინაშე. გომინდანში შემავალ რევოლიუციონურ ელემენტების კონსოლიდაცია და მათი გაერთიანება გომინდანის შინაგან კონტრ-რევოლიუციასთან ბრძოლისა და კომუნისტური პარტიის გაძლიერების ლოზუნგის ქვეშ,—აი ჩინეთის პროლეტარიატის ავანგარდის მორიგი ამოცანა.

გომინდანში დარჩენა, მაგრამ გომინდანში მყოფი მუშურ-გლეხური მასების დაპყრობა, მათი ჩამოშორება კონტრ-რევოლიუციის გზაზე შემდგარ ბურჟუაზიისაგან, მემარცხენე ელემენტების მტკიცედ დარაზმვა გომინდანში,—ასეთია კომუნისტური პარტიის ამოცანა მიმდინარე პოლიტიკურ მომენტში. სხვაგვარი პოზიცია მხოლოდ გააძლიერებს კონტრ-რევოლიუციას გომინდანის შიგნით და მთელ ჩინეთში.

უეჭველია, რომ გომინდანის ზედა ფენა, რომელიც სულ უფრო და უფრო უახლოვდება ჩან-კაი-შის, სულ უფრო და უფრო მეტად ითვისებს მის პოლიტიკურ იდეოლოგიას და სულ უფრო და უფრო ენერგიულად ებრძვის მუშათა და გლეხთა რევოლიუციონურ მოძრაობას, ისევე „დაამთავრებს“ თავის პოლიტიკურ გზას, როგორც „დაამთავრა“ ჩან-კაი-შიმ. გომინდანის ეს ხელმძღვანელნი ამზადებენ სამხედრო წრეების კონტრრევოლიუციონურ დიქტატურას, რომელსაც მიზნათ ექნება მუშურ-გლეხური რევოლიუციის ჩახშობა. მხოლოდ კომუნისტური პარტიის მიერ წამოყენებული ლოზუნგების მიღება და მხოლოდ ძალების კონსოლიდაცია კომუნისტური დროშის ირგვლივ უზრუნველჰყოფს გათავხედებული კონტრ-რევოლიუციის ძალების ალაგმვას.

„პრავდა“

1 აგვისტო, 1927 წელი.

ინგლისელი შუბლმაგრები უკან იხევენ

ხიკსი აცხადებს: „ინგლისის მთავრობას არ სურს რაიმე დაბრკოლებები შეუქმნას კანონიერ ვაჭრობას საბჭ. კავშირთან“

„ვესტმინსტერ გაზეტ“ სწერს: „ბოლდუინის მთავრობამ საჭიროდ აღიარა გადასინჯოს დამოკიდებულება საბჭ. კავშირის მიმართ“

როკფელერი მხარს უჭერს ამერიკა-საბჭ. კავშირის მჭიდრო ეკონომიურ ურთიერთობას

ლატვიის ვაჭარ-მრეწველთა ორგანიზაციები ესალმებიან შეთანხმებას საბჭოთა კავშირთან

ინგლისი და საბჭოთა კავშირი

ხიკსი ინგლის-საბჭოთა სავაჭრო ურთიერთობის შესახებ

ლონდონი, 31 ივლისი. დასრულდა თემთა პალატის სესია. ახალი სესია გაიხსნება ნოემბერში. სესიის დახურვის წინ ეცნობა პალატას, რომ **მეფემ დაამტკიცა კანონი პროფკავშირების შესახებ.**

პარლამენტის წევრმა კელლიმ (მუშათა პარტია) თავისი შეკითხვის საპასუხოთ, მიიღო შინაგან საქმეთა მინისტრისაგან **ჯოინსონ ხიკსისაგან** წერილი, სადაც აწერილია ინგლისის მთავრობის დამოკიდებულება ინგლისის ვაჭრობისადმი. თავის წერილში ჯოინსონ ხიკსი აღნიშნავს, რომ **ინგლისის მთავრობას არ სურს შექმნას დაბრკოლებები ინგლისის და საბჭოთა კავშირის კანონიერი სავაჭრო ურთიერთობისათვის.** „სრულებით არ არის განზრახული, ნათქვამია წერილში, იმ ზომების გავრცელება საერთოდ საბჭოთა ყველა მოქალაქეებზე, რომელიც მიღებულია დღეს ინგლისში ზოგიერთი საბჭოთა მოქალაქის წინაალმდეგ“. (ადს).

შუბლმაგარნი უკან იხევენ

ლონდონი, 31 ივლისი. ლიბერალური „ვესტმინსტერ გაზეტტ“-ი იხილავს ჩემბერლენის განცხადებას ინგლისის მთავრობის დამოკიდებულების შესახებ საბჭოთა კავშირთან, და ამბობს, რომ ეს განცხადება „იდეების შემთხვევითი თანხმობის“ მაჩვენებელია. გაზეთის აზრით, **„მთავრობამ საჭიროდ აღიარა მისი პოზიციის გადათვალიერების საჭიროება საბჭოთა კავშირთან დამოკიდებულების საკითხში“.** (ადს).

ბრძოლა საბჭოთა ნავთისათვის

მუქარა არ მოქმედობს

ბერლინი, 31 ივლისი. ამსტერდამის გაზეთი „ტელეგრაფი“, სადაც მოყვანილი იყო დეტერდინგის მოწოდება საბჭოთა ნავთის ბოიკოტის შესახებ, ათავსებს წერილს, რომელიც დაწვრილებით არჩევს ტრესტი „როიალ დეტჩ შელლ“-ის და როკფელერის ტრესტის „სტანდარტ ოილ“-ის კონფლიქტს. გაზეთი აღნიშნავს, თუ რა შედეგი მოჰყვა დღემდე ამ კონფლიქტს და დასკვნის შემდეგს: „უპირველეს ყოვლისა, „მოპარული“ ნავთით ვაჭრობის წინააღმდეგ მიმართულმა მუქარამ ვერ გამოიღო სათანადო ნაყოფი; შემდეგ, გამოირკვა, რომ საბჭოთა ნავთის კონფისკაცია იმ საბაბით, თითქოს ის „მოპარული“ იყოს შეუძლებელია, ვინაიდან არსებობს ინგლისში სასამართლოს განაჩენი, რომლის თანახმად **ნაციონალიზაციაქმნილ ქონების მესაკუთრეთ ცნობილია საბჭოთა მთავრობა** და სასამართლოს ეს განაჩენი უკვე კანონიერ ძალაშია შესული. **ამ განაჩენის შესახებ უკიდურეს კონსერვატორების ბელადმა ლოკერ ლემპსონმაც კი აღნიშნა, რომ ინგლის საბჭოთა ურთიერთობის შეწყვეტასაც არ შეუძლია მისი გაუქმება.** (ადს).

როკფელერი საბჭოთა კავშირთან

ნიუ-იორკი, 31 ივლისი. აივი ლიმ (ჟურნალისტია, რომელიც როკფელერის შეხედულებას გამოხატავს. მან ამას წინად ამერიკის სავარით ითხოვს უფრო მჭიდრო კავშირის დამყარე მოსკოვში სავაჭრო პალატის ბიურო) წერილით მიმართა სახელმწიფო მდივანს (საგარეო საქმეთა მინისტრს) კელოგს, რომელშიც **გადაჭრით ითხოვს უფრო ჭიდრო კავშირის დამყარებას შეერთებულ შტატებსა და საბჭოთა კავშირის შორის.** (ადს).

დეტერდინგი ახსნა-განმარტებას იძლევა

პარიზი, 31 ივლისი. დეტერდინგმა (ინგლის-ჰოლანდიის სანავთო ტრესტის „როიალ დეტჩ შელლ“-ის მეთაური), რომელიც ამჟამად პარიზში იმყოფება „აჟანს ეკონომიკ ფინანსიერის“ საგენტოს წარმომადგენელთან საუბრის დროს განაცხადა, რომ „როიალ დეტჩ შელლ“-ი თავის დროზე ყიდულობდა რუსულ ნავთს ლოიდ-ჯორჯის თხოვნით. ამას მოითხოვდენ მაშინ პოლიტიკური მოსაზრებები, რომლებიც დღეს უკვე არ არსებობენ. დეტერდინგმა უარყო ის ცნობა, თითქოს მას ეწარმოებიოს ფარული ოპერაციები საბჭოთა ნავთის გარშემო. საგენტოს წარმომადგენლის შენიშვნაზე, იმის შესახებ, რომ საფრანგეთი არ მიიღებს საბჭოთა ნავთის წინაალმდეგ წარმოებულ კამპანიაში მონაწილეობას, დეტერდინგმა უპასუხა: „საფრანგეთის ანგარიშების ქვეყნის დაკმაყოფილების შესახებ საბჭოთა ნავთით, აშენებულია ოცნებაზე, ვინაიდან რუსეთი თუ ყიდის საზღვარ გარეთ თავის ნავთს, ამით ის მოქმედობს თავისი მოსახლეობის ინტერესების წინააღმდეგ, თორემ ნორმალურ პირობებში რუსეთი პირიქით იძულებული იქნებოდა შემოეზიდა ნავთი საზღვარგარეთიდან. „ტანდარტ ოილი“—სთქვა შემდეგ დეტერდინგმა მოქმედებს თავისივე ინტერესების წინააღმდეგ, ვინაიდან შეერთებული შტატები, სადაც წარმოება მეტად განვითარებულია, რუსული ნავთის შესყიდვით ხელს უშლის რუსეთის შინაურ ბაზრის განვითარებას. „როიალ დეტჩ შელლ“-ის მდგომარეობა — სთქვა დასასრულ დეტერდინგმა — ჩინებულია, ვინაიდან თავისი დიდი ფლოტის საშუალებით ის ადვილად სწვდება მსოფლიო ბაზარს. (ადს).

ამხ. ბრონის განცხადება

ნიუ-იორკი, 31 ივლისი. გაზეთები ბეჭდავენ „ამტორგის“ თავმჯდომარის **ბრონის** განცხადებას, რომელშიც ის უარყოფს დეტერდინგის მიერ საბჭოთა ნავთის შესახებ გავრცელებულ ჭორებს. (ადს).

ფაშისტების დაპატიმრება

ბერლინი, 31 ივლისი. შვერინგის საოლქო სასამართლოს გამომძიებლის მოთხოვნილებით დაპატიმრებულია ფაშისტების ცნობილი ბელადი ობერ-ლეიტენანტი **როსბახი.** როსბახს ბრალდება მემარცხენე ჯგუფებიდან რამდენიმე კაცის დახვრეტა მინცდორფში (მეკლენბურგი) 1920 წელს კაპის გამოსვლის დროს. (ადს).

წყალდიდობა ინდოეთში

ლონდონი, 31 ივლისი. „დეილი მეილ“-ის ბომბეის კორესპონდენტის ცნობით ახმედაბადში უთავშესაფაროდ დარჩა 40.000 კაცი. ამ რაიონში წყალდიდობამ დაანგრია 3.000 სახლი. მებამბეობის რაიონების მდგომარეობა საშინელია. ჩრდილოეთის რაიონებში ბევრი სოფლები წყალმა დაფარა და მოსახლეობა თავს შველის ხეებზე. ბევრმა მათგანმა ხეებზე დაჰყო ოთხი დღე უჭმელად. ბაროდის უმეტესი ნაწილი წყლით არის დაფარული (ადს).

მდგომარეობა ჩინეთში

(ფრონტების მიხედვით)

ჯერ კიდევ 22 ივლისის დეპეშა შანხაიდან გვაუწყებდა, რომ მემარჯვენე გომინდახელების ცნობით 15 საათის განმავლობაში მოსალოდნელია სამხედრო მოქმედების დაწყება უხანის და ნანკინის მთავრობების ჯართა შორის. მაგრამ უკვე ორი აგვისტოა და ასეთი მოქმედება ჯერაც არ დაწყებულა, მიუხედავათ იმისა, რომ ორივე მხარეს ბრძოლის ველზე დაგროვილი ჰყავს საკმაო სამხედრო ძალები. როგორც ეტყობა, თვით ნანკინის მთავრობის შიგნით საქმე ვერ მიდის წესიერად. ერთის მხრით ჩან-ძო-ლინთან დაწყებული მოლაპარაკება არ დამთავრებულა და სამხედრო მოქმედება ჩრდილოეთის ფრონტზე ფაქტიურად სწარმოებს, მეორეს მხრით ჩან-კაი-შისა და ფინ-იუი-სიანის შორის ურთიერთობა და თვით ფინ-იუი-სიანის ნამდვილი ზრახვანი საბოლოოდ გამორკვეული არ არის, და ეს ორი აღნიშნული გარემოება, რასაკვირველია, ჰბორკავენ ჩან-კაი-შის. გარდა ამისა უხანის და ნანკინის შორის მტრობა! და მეტოქეობას სარჩულად უდევს არა იმდენად პრინციპიალური უთანხმოება, არამედ ამის მიზეზი უფრო პიროვნული ხასიათისაა: უხანი გადაჭრით მოითხოვს ჩან-კაი-შის საქმიდან ჩამოშორებას, ჩან-კაი-ში კი ამჟამად ფაქტიური დიქტატორია ნანკინისა.

დღევანდელი დეპეშები გადმოგვცემენ, ვითომ ჩან-კაი-ში და ფინ-იუი-სიანი საბოლოოდ შეთანხმდენ და ფინ-იუი-სიანი ჩამოშორდა უხანს. ამ ფაქტს უხანის მთავრობისათვის, რასაკვირველია, მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს. ფინ-იუი-სიანი მეთაურობს საკმაოდ დიდ სამხედრო ძალას და მას ისეთი სტრატეგიული პოზიცია უკავია უხანის მიმართ, რომ უკანასკნელის ჩან-კაი-შის წინააღმდეგ ბრძოლის დროს, ფინ-იუი-სიანს შეუძლია გადამწყვეტი მნიშვნელობის როლი ითამაშოს. ვიდრე ფინ-იუი-სიანი საბოლოოდ ჩამოშორდებოდა უხანს, უკანასკნელს ჩან-კაი-შის საწინააღმდეგო ბრძოლაში საკმაო უპირატესობა ჰქონდა. ეხლა კი მეტად საეჭვოა, რამდენად შესძლებს უხანი გამკლავებას ჩან-კაი-შის და ფინ-იუი-სიანის შეერთებულ ძალებთან. მოსალოდნელია, რომ ასეთ გარემოებაში უხანი იძულებული იქნება დათმობის გზას დაადგეს და შეუთანხმდეს ჩან-კაი-შის.

არსებითად ასეთი შედეგი უხანის და ნანკინის მეტოქეობისა არავითარ ცვლილებას არ შეიტანს ჩინეთის რევოლიუციის მსვლელობაში, ვინაიდან როგორც წინად ნანკინი, ისე ეხლა უხანი აშკარა კონტრ-რევოლიუციონურ როლს თამაშობს და ებრძვის რევოლიუციას.

მაგრამ უხანის ნანკითან შეთანხმება ბოლოს და ბოლოს უხანსაც ჩან-ძო-ლინთან მოიყვანს და როგორ მოთავსდებიან ერთ ტაფაში მუკდენი, ნანკინი და უხანი, ძნელი წარმოსადგენია. მართალია, სუნ-იატ-სენის შვილის სუნ-ფოს სიტყვით, მთავარი მიზანი უხანის მთავრობისა ჩან-კაი-შის დამხობაა, ხოლო ვანტინ-ვეის აზრით საჭიროა სრული დამორჩილება სამხედრო ძალებისა სამოქალაქო ხელისუფლებისათვის, მაგრამ ფაქტიურად საქმეს განაგებენ გენერლები და ჩინეთის განმანთავისუფლებელი მოძრაობა თითქმის სავსებით უბრუნდება იმ ხანას, როდესაც სამხედრო მოქმედება გამოიხატებოდა სხვადასხვა გენერლების ურთიერთ შორის მეტოქეობასა და ქიშპობაში.

გომინდანმა უღალატა რევოლიუციას და ეხლა ლამის არის სავსებით ჩამოშორდეს ეროვნულ განმანთავისუფლებელ მოძრაობას. და კიდევაც რომ მოხდეს შეტაკება უხანის და ნანკინის შორის და, ვსთქვათ, უხანმა გაიმარჯვოს, მაინც არსებითად, შექმნილ პირობებში, უხანი იძულებული იქნება გაჰყვეს იმავე გზას რომლითაც მიდიოდა ნანკინი, ე. ი. იბრძოლოს რევოლიუციის წინააღმდეგ და ჩან-ძო-ლინისაკენ გადაიხაროს. „მემარცხენე“ გომინდანის მეთაურები, უხანის სახით, უკვე დაადგენ ამ გზას და ეხლანდელი მათი იარაღის ჩხარუნი ნანკინის წინააღმდეგ მხოლოდ ცდაა ერთგვარი ეროვნული ელფერის შერჩენისა. ცდაა წინანდელი ავტორიტეტის შერჩენისა ჩინეთის მშრომელ მასების თვალში. მაგრამ ჩინეთის მშრომელი მასა უკვე კარგად ხედავს, თუ ვინ არის მისი მტერი და ვინ მოყვარე.

ი. გედევანიშვილი

ლატვიასთან შეთანხმების გარშემო

ვაჭრების ჯგუფის პროვოკაციამ არ გასჭრა

რიგა, 31 ივლისი. „სოციალ-დემოკრატს“-ი ათავსებს წერილს, რომელიც უარჰყოფს რიგელ ვაჭრების თათბირის რეზოლიუციაში მოყვანილ არასწორ მოსაზრებებს. ეს რეზოლიუცია სცდილობს დაასაბუთოს საბჭოთა კავშირთან სავაჭრო ხელშეკრულების დადების არახელსაყრელობა ლატვიისათვის და ამტკიცებს, თითქოს საბჭოთა მთავრობა არ ასრულებდეს თავის თავზე მიღებულ ვალდებულებებს.

გაზეთი სწერს:

„საბჭოთა კავშირთან სავაჭრო ხელშეკრულების დადების წინააღმდეგ მიმართული ვაჭრების დემაგოგია მიზნად ისახავს გაართულოს მემარცხენე მთავრობის მდგომარეობა“.

მთელი რიგი დემოკრატიული გაზეთები ასეთივე აზრს გამოსთქვამენ თათბირის რეზოლიუციის შესახებ. გარდა ამისა გაზეთები აქვეყნებენ „მაღალ ავტორიტეტულ წყაროდან მიღებულ“ ვრცელ ცნობას, რომელიც იხილავს და უარჰყოფს თათბირის რეზოლიუციაში მოყვანილ ყველა არგუმენტებს.

ლატვიის სავაჭრო, სამრეწველო და ხელოსანთა ორგანიზაციების გაერთიანებამ გამოაქვეყნა პრესაში ოფიციალური განცხადება, რომელშიაც ნათქვამია:

„რიგელ ვაჭრების ჯგუფის თათბირის რეზოლიუცია არ გამოხატავს მთელი ლატვიის ვაჭრების აზრს საბჭოთა კავშირთან ხელშეკრულების დადების შესახებ. ლატვიის ვაჭრები მომხრე არიან ხელშეკრულების და ის მიაჩნიათ სასარგებლოთ ლატვიის სამეურნეო ინტერესებისათვის“.

შემდეგ განცხადება ესალმება მთავრობის მოღვაწეობას, რომელიც მიმართულია მეზობელ სახელმწიფოებთან ეკონომიური ურთიერთობის განვითარებასა და განმტკიცებისაკენ. (ადს).

მოითხოვენ შეთანხმების რატიფიკაციას

რიგა, 31 ივლისი. გაზეთები აქვეყნებენ ვინდავის ქალაქის საბჭოს მიმართვას სეიმისადმი. ამ მიმართვაში **საბჭო სთხოვს სეიმს მოკლე ვადაში მოახდინოს რატიფიკაცია სავაჭრო ხელშეკრულებისა საბჭოთა კავშირსა და ლატვიას შორის.**

ანალოგიური დადგენილება გამოიტანა ამას წინად ლიბავის ქალაქის საბჭომაც.

ჟურნალისტებთან საუბარში რიგის მემარჯვენე ვაჭრების რეზოლიუციის გამო ლატვია-საბჭოთა კავშირის ხელშეკრულების შესახებ გარეშე საქმეთა მინისტრმა ცელენსმა განაცხადა: **„სეიმის მიერ ხელშეკრულების რატიფიკაცია უზრუნველყოფილია.** მემარჯვენე ვაჭრების ჯგუფის რეზოლიუცია ვერ იქონიებს გავლენას ხელშეკრულების ბედზე“. (ადს).

ჟენევის კონფერენციის სრული მარცხი

ფრანგული პრესის აზრი

პარიზი, 31 ივლისი. მთელი პარიზის პრესა ადასტურებს, რომ **ჟენევის სამთა კონფერენციამ მარცხი განიცადა.**

„ვოლონტე“ ფიქრობს, რომ საფრანგეთი სწორად მოიქცა, როცა კონფერენციიდან განზე დარჩა და დაკმაყოფილდა თავისი მეთვალყურის გაგზავნით ჟენევაში ინფორმაციის მიზნით. (ადს).

კულიჯი ბრალს სდებს ინგლისს

ნიუ-იორკი, 31 ივლისი. პრეზიდენტი კულიჯი ინგლისს აბრალებს სამთა კონფერენციის დამარცხებას ჟენევაში. ოფიციალური წრეები აცხადებენ, რომ ინგლისის წინადადებანი მიუღებელია. ეს წრეები ინგლისს ბრალს სდებენ მაში, რომ ის ცდილობს უპირატესობის შენარჩუნებას ზღვაზე და აგრეთვე ცდილობს იაპონიის ამხედრებას შეერთებული შტატების წინააღმდეგ. (ადს).

ინგლისის მთავრობის სასწრაფო სხდომა

ლონდონი, 31 ივლისი. ჩემბერლენმა, რომელიც ამჟამად პრემიერის მოვალეობას ასრულებს, მოიწვია მთავრობის სასწრაფო სხდომა იმ ცნობების განსახილველად, რომლებიც მიღებულია ინგლისის დელეგატებისაგან ჟენევაში. მთავრობის სხდომის შემდეგ გამოქვეყნდა ოფიციალური ცნობა, რომელშიაც ნათქვამია, რომ, მთავრობის აზრით, არავითარი ცვლილებები არ მომხდარა სამთა კონფერენციის მდგომარეობაში. მომავალ კვირას, როგორც სჩანს, კიდევ იქნება მოწვეული მთავრობის სხდომა, იმავე საკითხის განსახილველად. (ადს).

ავსტრიის ბურჟუაზია შურისძიებისათვის ემზადება

წინასწარ გამოტანილი განაჩენი

ვენა, 31 ივლისი. ვენის პრესა ვრცელ წერილებს უძღვნის ავსტრიის მოსამართლეთა კავშირის დეკლარაციას, რომელიც სასტიკად გმობს ვენაში მომხდარ ამბების მონაწილეებს.

კომპარტიის ორგანო „როტე ფანე“ აცხადებს, რომ **ამ დეკლარაციით წინასწარ არის გამოტანილი განაჩენი იმ მუშების წინააღმდეგ, რომლებიც დაპატიმრებული არიან მომხდარ ამბების გამო.**

გაზეთი მოითხოვს მასიური კამპანიის დაწყებას დაპატიმრებულთა განთავისუფლების სასარგებლოთ.

კერძოთ, გაზეთს საჭიროდ მიაჩნია კრებების მოწყობა წარმოებებში და არჩევა დელეგატების, რომლებმაც უნდა მოსთხოვონ პარლამენტის სოციალ-დემოკრატიულ ფრაქციას მუშების განთავისუფლება. „როტე ფანეს“ იმ ნომერს სადაც მოთავსებულია აღნიშნული წერილი, კონფისკაცია უყვეს. (ადს).

კომპარტიის სეკრეტარიატის და სტამბის გაჩხრეკა

ვენა, 31 ივლისი. ვენის პოლიციამ გაჩხრიკა კომპარტიის სეკრეტარიატი და სტამბა. ვენაში დაპატიმრებულ პოლიტიკურ მუშა-ემიგრანტების რიცხვი აღწევს 21-ს ივლისის ამბებთან დაკავშირებით დაპატიმრებულ მუშების ნაწილი გადაყვანილია პოლიციის სამმართველოში.

ბრძოლა პიონერ მოძრაობასთან

ვენა, 31 ივლისი. ავსტრიის პარლამენტში პანგერმანელების მიერ პიონერთა ორგანიზაციების შესახებ შეტანილ შეკითხვის საპასუხოთ განათლების მინისტრმა განაცხადა, რომ ამ ორგანიზაციების დამაარსებელნი გლანცი, რეიჩინგერი და ვერტგეიმერი პასუხისგებაში არიან მიცემული.

მინისტრმა წინადადება მისცა ვენის ქალაქის სასკოლო საბჭოს მიიღოს ზომები, რომ სკოლაში მოსწავლე ბავშვები არ შევიდენ პიონერთა ორგანიზაციებში (ადს).

სათემო პოლიცია

ვენა, 31 ივლისი. პოლიცეიპრეზიდენტის შობერის წინადადებით, პოლიციის უმაღლესი ორგანოები ყოველნაირად ახდენენ გავლენას პოლიციის ხელქვეით მოსამსახურეებზე, რომ აიძულონ ისინი გამოვიდენ პოლიციელთა პროფკავშირიდან, რომელსაც სოციალ-დემოკრატები ხელმძღვანელობენ.

„არბეიტერ ცეიტუნგი“ სწერს, რომ თუ პროფკავშირების დაშლის ცდები გაგრძელდა, მაშინ ვენის მუნიციპალიტეტმა უნდა გააფართოვოს სათემო პოლიციის აქამდე შეზღუდული ამოცანები (სათემო პოლიცია მუნიციპალიტეტმა შექმნა ვენის ამბების დროს).

ვენის მუნიციპალიტეტმა დაამტკიცა სათემო პოლიციის წესდება. მუნიციპალიტეტის ბურჟუაზიულმა უმცირესობამ პროტესტის ნიშნად დასტოვა სხდომის დარბაზი ამ საკითხისათვის ხმის მიცემის დროს. (ადს).

ვენა, 31 ივლისი. სათემო პოლიციის საკითხის განხილვის დროს ვენის მუნიციპალიტეტში ბურგომისტრი **ზეიცი** ყოველნაირად სცდილობდა შეერბილებია ბურჟუაზიული პარტიების ოპოზიცია. ამ მიზნით ის აღნიშნავდა რა, რომ სათემო პოლიციის ამოცანას შეადგენს „წესრიგის დაცვა“.

თავის სიტყვაში ზეიცმა, სხვათაშორის, აღიარა, რომ ვენის ამბების დროს, ის არ ერეოდა პოლიციის განკარგულებაში და ხელს არ უშლიდა მას დემონსტრანტებისათვის სროლის ატეხის დროს. (ადს).

მსაჯულების იმედი არა აქვთ

ვენა, 31 ივლისი. გაზეთების ცნობით, ვენის ამბებთან დაკავშირებით დაპატიმრებულნი გადაეცემიან არა ვენის, არამედ რომელიმე პროვინციალურ სასამართლოს. საქმის პროვინციაში გადატანას მემარცხენე პოლიტიკური წრეები იმით ხსნიან, რომ **პროვინციაში ნაფიც მსაჯულთა შემადგენლობა უფრო მემარჯვენეა, ვიდრე ვენაში (ადს).**

ნანკინის მთავრობის კაპიტულიაცია იაპონიის წინაშე

ჩან-კაი-შიმ გააუქმა ანტი-იაპონური ბოიკოტი

კანტონის დიქტატორი ლი-ტინ-სინი არ ემორჩილება ჩან-კაი-შის.—სუნ-იატ-სენის ქვრივი ნანკინელ ბანდიტების წინაალმდეგ

ფინ-იუი-სიანის ახალი ცდა ნანკინისა და უხანის ჯგუფების შესარიგებლად

ნანკინი ქედს იხრის იაპონიის წინაშე

შანხაი, 31 ივლისი. ნანკინის მთავრობამ გამოაქვეყნა მოწოდება, რომელშიც, იაპონიის ინტერვენციის გამო შანდუნში, ილაშქრებს იაპონიის წინააღმდეგ, მაგრამ მიუხედავად ამისა, მოწოდება შეიცავს ბრძანებას მის შესახებ, რომ შეწყვეტილ იქნას ანტიიაპონური მოძრაობა და იაპონური საქონლის ბოიკოტი. მოწოდებაში ნათქვამია: „ხალხის მოქმედება უნდა ეთანხმებოდეს იმ მთავრობის ნაბიჯებს, რომელსაც ის ენდობა. მთავრობა გულწრფელად აცხადებს, რომ ის შეასრულებს ყველაფერს, რასაც ხალხს შეჰპირდა. არსებული მომენტი განსაკუთრებული ტაქტიკას მოითხოვს. პროგრამის შეცვლა დროებით, როდესაც ამას მომენტი მოითხოვს, გონიერი ნაბიჯია. კომუნისტები მაინც ცდილობენ საერთაშორისო მდგომარეობის გამწვავებას, როგორც ამას ადგილი ჰქონდა შანხაისა და ნანკინში. ამიტომ ნანკინის მთავრობა, რომელსაც ეჭვი არ ეპარება იაპონიის წინააღმდეგ მიმართული მოძრაობის პატრიოტულ ხასიათში, ჩინელ ხალხის ყურადღებას მიაქცევს იმას, რომ ეს მოძრაობა კომუნისტებს აძლევს თავისი ცდების განახლების საშუალებას. (ადს).

ბოიკოტის შეწყვეტა

შანხაი, 31 ივლისი. შანხაიში გრძელდება ჩინელ გადასახადის გადამხდელთა მოძრაობა მუნიციპალურ საბჭოს წინააღმდეგ. მოძრაობა გამოწვეული იყო გადასახადების გადიდებით. გადასახადის გადამხდელებს არ შეუძლიათ მიმართონ დემონსტრაციებს და გაფიცვას, როგორც გათვალისწინებული იყო, ვინაიდან ეს აკრძალა ნანკინის მთავრობამ.

მუნიციპალურ საბჭოს წარმომადგენლებსა და ზოგიერთ ჩინელ ვაჭრებს შორის სწარმოებს მოლაპარაკება ბრძოლის შეწყვეტის შესახებ. ჩინელები აღარ ადგიან თავის პირველ მოთხოვნილებებს, მაგალითად აღარ მოითხოვენ ჩინელ მოსახლეობის მონაწილეობას მუნიციპალურ მმართველობაში თანასწორი უფლებით. ფიქრობენ, რომ ამ დღეებში მოხდება ინციდენტის ლიკვიდაცია ჩინელ მოხარკეთა სრული კაპიტულიაციით.

ამ დამარცხებასთან დაკავშირებით, ჩინეთის საზოგადოებრივი აზრი აღნიშნავს ანტი-იაპონური ბოიკოტის დამარცხებას, რასაც დიდი ხანი არაა. რაც ადგილი ჰქონდა. თუმცა ჩინური გაზეთები იუწყებიან, რომ ბოიკოტი გრძელდება, მაგრამ სინამდვილეში ეს მოძრაობაც ჩაქრობილია ნანკინის მთავრობის პოლიტიკის წყალობით. (ადს).

ლი-ტინ-სინი უარს აცხადებს დაემორჩილოს ნანკინს

შანხაი, 31 ივლისი. **კანტონის დიქტატორი ლიტინ-სინი უარს აცხადებს დაემორჩილოს ნანკინის მთავრობას და შეაჩერა ნანკინისათვის ფულის გზავნა.** ნანკინის მიერ დანიშნული მოხელენი, რომლებიც ჩავიდენ კანტონში, იძულებული გახდენ წასულიყვენ გონკონგში.

ნანკინის მთავრობამ გაგზავნა კანტონში ფინანსთა მინისტრი **გო ინ-ფინი,** რომელმაც გავლენა უნდა მოახდინოს ლი-ტინ-სინზე, რომ უკანასკნელმა გადასცეს ნანკინის მთავრობას აკრეფილი გადასახადები. (ადს).

ნანკინის ჯარების გადაჯგუფება

პეკინი, 31 ივლისი. პრესის ცნობით, ჩჟან-ცზუნ-ჩანის ჯარების საავიაციო ბაზამ მიიღო ბრძანება, რომ სასწრაფოდ მომზადებულიყო სიუჩჟოუში გასამგზავრებლათ. (ცზიან-სუს პროვინციის ჩრდილო-დასავლეთის ნაწილში, ტიანცინ-პუკოუს რკინის გზის ხაზზე).

ტოხოს საგენტო იუწყება, რომ ხანჩჟოუს და ჩუჩ-ჩჟოუს რაიონებში თავს უყრიან ნანკინის ჯარების მრავალრიცხოვან რაზმებს. ეს ოპერაცია გამოწვეულია ცნობებით, რომლის თანახმად მოსალოდნელია, თითქოს, რომ ჩუ-პეი-დეს ჯარების თავდასხმა ჩჟენცზიანის პროვინციაზე. აგროვებენ ჯარებს აგრეთვე ხანჩჟოუში, ვინაიდან აქ მყოფ ჩუ-ფან-ჩინის რაზმი არასაიმედოთ მიაჩნიათ და თვით ჩუ-ფანჩინზე ფიქრობენ, რომ მას კავშირი აქვს გაბმული უხანის მთავრობასთან. ხანჩჟოუში გაიგზავნა ხო-ენ-ჩინის რაზმი. (ადს).

ფინი სწყვეტს კავშირს უხანთან?

შანხაი, 31 ივლისი. ფინ-იუი-სიანის წარმომადგენელმა გენერალმა იუნ-პინმა, რომელიც ნანკინში იმყოფება, შემდეგი განაცხადა გოვენის საგენტოს თანამშრომელთან საუბარში:

„სიუჩჟოუ-ფუს კონფერენციის შემდეგ, სადაც ფინი ესაუბრა ჩან-კაი-შის, ხუ ხან-მინს და ნანკინის მთავრობის სხვა ლიდერებს, ფინმა გადასწყვიტა ყოველგვარი კავშირი გასწყვიტოს უხანთან და გამოიწვიოს იქიდან თავისი წარმომადგენელი. უხანის ლიდერები შეეცადენ ფინის მიმხრობას, მაგრამ ვერ შესძლეს“.

ფინ-იუი-სიანის წარმომადგენლის აზრით უხანის და ნანკინის შერიგება შეუძლებელია. (ადს).

სუნ-ფო წინასწარმეტყველობს ჩან-კაი-შის დაცემას

შანხაი, 31 ივლისი. „ჩაინა პრესს“-ში მოთავსებულ წერილში სუნ-ფო (სუნ-იატ-სენის შვილი) წინასწარმეტყველობს უხანის ჯარების აუცილებელ გამარჯვებას ჩან-კაი-შიზე.

„ამჟამად,—სწერს სუნ-ფო,—ჩვენი ამოცანაა—შევქმნათ ისეთი მდგომარეობა. რომელიც ხელს შეუშლის ახალ ჩან-კაი-შის გამოჩენას. თავისი პირადი მიზნებისათვის ჩან-კაი-შიმ პარტია მოიხმარა, როგორც იარაღი. ჩვენ უნდა დავამხოთ ჩან-კაი-ში, რომ გავანადგუროთ ის იდეოლოგია, რომლის წარმომადგენელადაც ის არის“.

ფინ-იუი-სიანის ახალი მოთხოვნილება

შანხაი, 31 ივლისი. ტოხოს საგენტო ხანკოუდან იტყობინება, რომ ფინ-იუი-სიანმა, კუნმა და სიუ-ჩჟენმა კაიფინში გამართულ თათბირის შემდეგ, უხანის მთავრობას გაუგზავნეს ახალი წინადადება უხანისა და ნანკინის ჯგუფებს შორის ზავის ჩამოგდების შესახებ. წინადადებაში ნათქვამია: **უნდა გაუქმდეს ნანკინის მთავრობა და მის მაგიერ დაარსდეს უხანის მთავრობის განყოფილება ნანკინში. ანხოის პროვინცია აღიარებულ უნდა იქნეს ბუფერად და ყოველგვარი მტრული მოქმედებანი და ჯარების გადაგზავნა ამ პროვინციაში შეჩერებულ უნდა იქნეს. ყველა მნიშვნელოვანი სახელმწიფოებრივი საკითხები, რომელიც ჩრდილოეთის წინააღმდეგ საერთო კამპანიის დროს წამოიჭრება, გადაწყვეტილ უნდა იქნეს ნაციონალური კრების მიერ; უკანასკნელი მოწვეულ იქნება პეკინის აღების შემდეგ.** ტოხოს საგენტო უმატებს, რომ **უხანის ჯგუფი მოლაპარაკების პირველ პირობად აყენებს ჩან-კაი-შის გაძევებას ნანკინის მთავრობის ყველა თანამდებობებიდან.** (ადს).

დროებითი ზავი პეკინსა და ნანკინს შორის

შანხაი, 31 ივლისი. მიუხედავათ ჩან-კაი-შის კატეგორიულ განცხადებისა, რომ შეუძლებელია დროებითი ზავი ჩრდილოეთთან, ისევ განახლდა ხმები პეკინის და ნანკინის მოლაპარაკების შესახებ.

ტოხოს საგენტოს ცნობით, პეკინის მთავრობამ გაგზავნა პრემიერი პან-ფუ სიუჩჟოუ-ფუში ჩან-კაი-შის წარმომადგენელთან სათათბიროთ. მაგრამ ზოგი ერთ წრეებში ფიქრობენ, რომ ჩან-კაი-ში არ დასდებს დროებით ზავს პეკინთან, სანამ არ შეხვდება ფინ-იუი-სიანს. (ადს).

გომინდანის ბელადები კომპარტიასთან კავშირს სწყვეტენ

ხანკოუ, 31 ივლისი კომუნისტურ პარტიისა და გომინდანის შორის მომავალი ურთიერთობის საკითხის გასარჩევად, 15 აგვისტოსათვის დანიშნულია გომინდანის ცენტრალურ აღმასრულებელი კომიტეტის პლენუმი. ამავე დროს გამოქვეყნებულია რეზოლიუციის ტექსტი გომინდანის პოლიტიკის შესახებ, რომელსაც პოლიტიკური საბჭო გამოიტანს პლენუმზე. რეზოლიუციის ერთი ნაწილში ნათქვამია:

„რამდენადაც ნაციონალური რევოლიუცია ჩინეთში ჯერ კიდევ გრძელდება, გომინდანი უნდა შეუერთდეს ყველა რევოლიუციონურ ჯგუფებს რევოლიუციის სასწრაფოდ დასრულების მიზნით. ჩვენ იმედი გვქონდა, რომ კომუნისტები შესძლებდენ გომინდანთან თანამშრომლობას და თავიანთ მოღვაწეობას განავითარებდენ ისე, რომ უზრუნველეყოთ რევოლიუციონური მოძრაობის წარმატება. მაგრამ წამოიჭრა მრავალი წინააღმდეგობანი, რამაც ხელი შეუშალა შეთანხმების შემდგომ შენარჩუნებას. მაგალითად: კომუნისტები ცდილობენ [illegible] გვარი მკაცრი ფორმების გატარებას ჩინთში, რაც მათი თეორეტიული პროგრამის საფუძველზეა აგებული. კომუნისტური პარტიის წევრები, რომლებიც ამავე დროს გომინდანის წევრებიც არიან, ბევრ შემთხვევაში უარს ამბობდენ გომინდანის ინსტრუქციების შესრულებაზე, არ იცავდენ დისციპლინას, უარყოფდენ გომინდანის ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობას და იჩენდენ ისეთ საქციელს, რაც სავსებით ეწინააღმდეგებოდა გომინდანის განვითარებას. მათი ასეთი მოქმედება ეწინააღმდეგება გომინდანის პოლიტიკას. პარტიის პოლიტიკის უნიფიკაციის და ნაციონალური რევოლიუციის წარმატებით დასრულების მიზნით, ჩვენ იძულებული ვართ ზომები მივიღოთ კომპარტიის წევრთა მოღვაწეობის შესაზღუდავათ, იმ წევრთა, რომელნიც ამავე დროს გომინდანის წევრებიც არიან.გომინდანის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის პლენუმს და გომინდანის ყრილობას წინადადება ეძლევა დაამტკიცოს შემდეგი გადაწყვეტილება და ზომები მიიღოს მის დაუყონებლივ გასატარებლად; კომპარტიის ყველა წევრები, რომელნიც ერთდროულად გომინდანის წევრებიც არიან და გომინდანის ორგანიზაციებში მუშაობენ ან განსაკუთრებული თანამდებობანი უჭირავთ მთავრობაში ან ნაციონალურ არმიაში, უნდა გამოვიდნენ კომუნისტურ პარტიიდან, წინააღმდეგ შემთხვევაში მოხსნილ იქნებიან იმ თანამდებობებიდან, რომელიც მათ უჭირავთ. ნაციონალური რევოლიუციის განვითარების განმავლობაში, კომპარტიის წევრებმა არაფერი ისეთი რამ არ უნდა გააკეთონ, რაც შესძლებს რევოლიუციონ. მოძრაობის განვითარების შენელებას. მათ არ უნდა აწარმოონ კომუნისტური მუშაობა გომინდანის სახელით. გომინდანის წევრებს უფლება არ აქვთ შევიდნენ ამა თუ იმ პარტიაში გომინდანის ცენტრალური კომიტეტის ნებადაურთველად და მოუწოდებლად. თუ გომინდანის წევრი მეორე პოლიტიკურ პარტიაში შედის, მას ბრალი ედება გომინდანის წინააღმდეგ გამოსვლაში.

გამოყენებული იქნება თუ არა ეს რეზოლიუციები შექმნილ მდგომარეობის მოსაგვარებლად, ეს უნდა გადაწყვიტონ გომინდანის ცენტრალური კომიტეტის წევრებმა.

კომუნისტები გარიცხული არიან ნაციონალური არმიიდან

ხანკოუ, 31 ივლისი. თანახმად პოლიტიკური საბჭოს მიერ გამოტანილ რეზოლიუციისა, რომელიც უნდა წარედგინოს გომინდანის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პლენუმს, სამხედრო საბჭომ არმიის ყველა სარდლებს დაუგზავნა ინსტრუქციები, რომელშიც წინადადებას აძლევს მათ — თავის მხრივ უბრძანონ ყველა კომუნიტებს, ოფიცრებს და ჯარისკაცებს გასწყვიტონ კავშირი კომუნისტურ პარტიასთან, წინააღმდეგ შემთხვევაში გარიცხონ ისინი არმიიდან. ბრძანების ტექსტიდან სჩანს, რომ ბრძანება შედის ძალაში დაუყოვნებლივ, მის დამტკიცებამდე პლენუმის მიერ. ბრძანების შესავალ ნაწილში ნათქვამია, რომ აღმოჩენილ იქნა შეთქმულება, რომელსაც მიზნად ჰქონდა კომუნისტური არმიის შედგენა 70.000 კაცის შემადგენლობით. ამ შეთქმულებიდან სჩანს, რომ „კომუნისტები სცდილობდენ ნაციონალური არმიის დაშლას“. შემდეგ ბრძანებაში ნათქვამია:

„კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა 15 ივლისს გამოაქვეყნა დეკლარაცია, რომელშიც აღმაშფოთებელ ბრალდებებს უყენებს ნაციონალურ მთავრობას, გომინდანის ცენტრალურ კომიტეტს და სამხედრო საბჭოს.

დეკლარაცია აღნიშნავდა კომუნისტების გასვლას ნაციონალური მთავრობიდან. თუ კომუნისტები გავიდნენ ნაციონალური მთავრობიდან, მაშინ ისინი უნდა გავიდნენ აგრეთვე ნაციონალური არმიიდანაც. ნაციონალური არმია იბრძვის მასების ინტერესებისათვის და ის არ წარმოადგენს იარაღს კომუნისტების ხელში. ამიტომ სხვადასხვა არმიების სარდლებს ევალებათ მოახდინონ სასტიკი გამოკვლევა ოფიცრების პოლიტ.იკ მიმართულებებისა და კომუნისტებად ცნობილ პირებს წინადადება მისცენ გასწყვიტონ კავშირი კომპარტიასთან, წინააღმდეგ შემთხვევაში ისინი დაუყოვნებლივ იქნებიან გადაყენებული თავის თანამდებობებიდან. რაც შეეხება იმათ, რომლების კავშირიც კომუნისტებთან ჯერ კიდევ არ არის დამტკიცებული, უნდა დაწესდეს სასტიკი თვალყურის დევნა და აეკრძალოთ მათ საიდუმლო კრებები. სასტიკი თვალყური უნდა ადევნოთ მათ სიტყვებს და მოქმედებას და იმ შემთხვევაში, თუ დამტკიცდება, რომ ისინი მოქმედებენ გომინდანის ინტერესების წინააღმდეგ, ისინი მთელი სისასტიკით და შეუბრალებლად უნდა დაისაჯონ“.

(ადს).

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

უკანასკნელი ცნობები

„ტანი“ კმაყოფილია ჩემბერლენის მოქმედებით

პარიზი, 31 ივლისი. „ტანი“ კმაყოფილებით აღნიშნავს ჩემბერლენის განცხადებას, ეგრედ წოდებულ „უკრაინის სახალხო მთავრობის“ (ემიგრანტული მთავრობა) ინტრიგების შესახებ.

„ბოლშევიკური ხელმძღვანელები, — ნათქვამია გაზეთში, — ავრცელებენ ცრუ ხმებს ომის საშიშროების შესახებ. ჩემბერლენმა საშუალება მისცა მოსკოვს გამოეჩინა ინიციატივა ინგლისთან ურთიერთობის აღდგენის საქმეში, იმ პირობით მხოლოდ, თუ მოსკოვი შეცვლიდა თავის პოლიტიკას—მაგრამ ვინაიდან მოსკოვის პოლიტიკის შეცვლა ძლიერ საეჭვოა, ყველა ქვეყნებმა, რომლებიც უარყოფენ სამხედრო გეგმების საჭიროებას, უნდა იბრძოლონ მოსკოვის პროპაგანდის წინააღმდეგ. დეე, იცოდეს კრემლმა, რომ ცივილიზაციური ქვეყნები ერთნაირად აფასებენ ბოლშევიკურ საშიშროებას და არ ენდობიან ანარქიის ამ წყაროს“. (ადს).

პირდაპირი მიმოსვლა შორეულ აღმოსავლეთსა და საბჭოთა კავშირს შორის

მოსკოვი, 1 აგვისტო. 1 აგვისტოს გაიხსნა პირდაპირი სარკინიგზო მიმოსვლა შორეულ აღმოსავლეთსა და საბჭოთა კავშირს შორის. მოსკოვში უკვე იყიდება პირდაპირი მიმოსვლის ბილეთები და იღებენ გადასაზიდ ტვირთს ხარბინამდე და ტოკიომდე (ადს).

პატეკის გამგზავრება

მოსკოვი, 1 აგვისტო. 31 ივლისს პოლონეთის ელჩი საბჭოთა კავშირში პატეკი ვარშავაში გაემგზავრა (ადს).

საკოსა და ვანცეტის დასჯის შესახებ

ნიუ-იორკი, 1 აგვისტო. გუშინ ჩრდილოეთ და სამხრეთ ამერიკის მთელ რიგ ქალაქებში მოეწყო საპროტესტო დემონსტრაციები საკოსა და ვანცეტის სიკვდილით დასჯის განაჩენის წინააღმდეგ. საკო უკვე მე-17 დღე შიმშილობს. მისი ჯანმრთელობა ძლიერ გაუარესდა. ვანცეტიმ 17 დღეში მხოლოდ ორჯერ მიიღო საჭმელი (ადს).

ვუიოვიჩის ბედი

ვენა 1 აგვისტო. ბელგრადის პოლიცია უარყოფს დაპატიმრებულ კომუნისტ ვუიოვიჩის ყველა შუამდგომლობებს და დამცველსაც კი არ უშვებს მასთან. უკანასკნელ დღეებში პოლიციამ გაავრცელა ხმა, თითქოს ვუიოვიჩი „გაიქცა“. ეს გარემოება ბადებს ეჭვს, რომ ვუიოვიჩი მოკლულია პოლიციელების მიერ.

მანიფესტაციები ომის წინააღმდეგ

ბერლინი, 31 ივლისი. მსოფლიო ომის 13 წლის თავის შესრულების გამო ბერლინის პაციფისტურმა ორგანიზაციებმა 31 ივლისს მოაწყვეს მანიფესტაციები ომის წინააღმდეგ. მრავალრიცხოვანმა ორატორებმა წარმოსთქვეს სიტყვები, ბურჟუაზიულ პაციფისტური ლოზუნგებით.

„გაბედული პაციფისტები“, რომლებსაც ხელმძღვანელობს ხილერი, მოუწოდებდენ საზოგადოებას საბჭოთა კავშირისადმი თანაგრძნობისაკენ და ახალ ომის წინააღმდეგ საბრძოლველად (ადს).

დემონსტრაცია ომის წინააღმდეგ

პარიზი, 1 აგვისტო. პარიზის მახლობელ უბანში გარშში შესდგა კომპარტიის მიერ მოწყობილი დემონსტრაცია შემდეგი ლოზუნგებით: „ომის და სამხედრო კანონების წინააღმდეგ“, „საბჭოთა კავშირის დაცვა“, „პოლიტიკური პატიმრების ამნისტია“. დემონსტრაციას დიდძალი ხალხი დაესწრო. (ადს).

გემ „ლენინის ხსოვნა“-ს მოსამსახურეთა მდგომარეობა

პეკინი, 31 ივლისი. როგორც სარწმუნო წყაროებიდან იუწყებიან, გემ „ლენინის ხსოვნა“-ს მოსამსახურეები ისევ დაპატიმრებული არიან ცინანფუში. ერთად - ერთი ცვლილება, რომელიც მოხდა დაპატიმრებულთა მდგომარეობაში სიმშილის გამოცხადების შემდეგ—ეს არის ის, რომ მათთან დაუშვეს უცხოელი ექიმი, რომელიც მოიწვია „სავტორგფლოტმა“.

პრემია ამერიკის არმიაში მებრძოლთ

მოსკოვი, 1 აგვისტო. ყველა უცხოელები და მათ შორის რუსები, რომელნიც იმპერიალისტური ომის დროს იბრძოდენ ამერიკის არმიის რიგებში, ამერიკის დამზღვევი ბიუროს მიერ დაზღვეული იყვნენ სიკვდილისა და ინვალიდობის შემთხვევისათვის 1-დან 10.000 დოლარამდე. ჩრდილო ამერიკის ომის დროს მოკლული და დაჭრილი სამი ათასი რუსი ქვეშევრდომის წილად ირიცხება 15 მილ. დოლარი დაზღვევის პრემია. რუსეთის მოქალაქეებს, რომლებმაც ჩრდ. ამერიკის შეერთ. შტატების არმიაში დაჰკარგეს შრომის უნარი, ეს დაზღვევის პრემია შეუძლიათ მიიღონ „ვეტერანთა ამერიკული ბიუროსაგან“ სახელმწიფო ბანკის ადგილობრივი განყოფილებათა საშუალებით. და ზღვევის პრემია შეუძლიათ მიიღონ აგრეთვე ზემოხსენებული წესით დაზღვეულ პირთა მემკვიდრეებს (ადს).

დემონსტრანტების გაჟლეტა

ნიუ-იორკი, 1 აგვისტო. ხანკოუდან მიღებული ცნობებით მუშებმა მოაწყვეს ჩინეთის სავაჭრო პალატის შენობის წინ საპროტესტო დემონსტრაცია მათთვის დახმარების შეწყვეტის გამო; დემონსტრაციამ ნაწილობრივ დაარბია პალატის შენობა. ჯარებმა დემონსტრაციას აუტეხეს სროლა. მოკლულია 4 დემონსტრანტი, დაჭრილია მრავალი. დემონსტრაციის დახვრეტის გამო ხანკოუში გაიფიცა 7.000 მუშა (ადს).

გერმანულ გემების დაკავება

შანხაი. 31 ივლისი. ჩინეთის ადმინისტრაციამ ისევ დააკავა ორი გერმანული გემი იმ საბაბით: რომ ვითომ გემებს უხანში მიჰქონდათ რკინა და ნახშირი. (ადს).

ივლისის ამბების შემდეგ

ვენა, 1 აგვისტო. ივლისის ამბების დროს დაპატიმრებულთა რიცხვი მხოლოდ ვენაში შეადგენს 350 კაცს. აქვეყნებენ დაპატიმრებულთა ახალ სიებს. ივლისის ამბების მონაწილეთა პირველი პროცესი სექტემბრის ბოლოს დაიწყება (ადს).

საკავშირო კომპარტიის ცეკას ბეჭდვითი განყოფილების მიმართვა

მოსკოვი, 1 აგვისტო. საკ. კ. პ. (ბ) ცეკას ბეჭდვითი განყოფილებამ აღნიშნა, რომ ზოგიერთი პარტიული და საბჭოთა ჟურნალ - გაზეთები აქვეყნებენ ისეთ განცხადებებს, რომელიც მიუღებელია თავისი შინაარსით და ფორმით და წააგავს ბურჟუაზიულ მყვირალა რეკლამებს. რომ უფრო დაცული იქნეს განცხადებების ზედამიწევნითი რედაქცია და გამომცემლობის სარეკლამო საქმიანობაში იდეოლოგიური გავლენის განმტკიცება. ცეკას ბეჭდვითი განყოფილებამ მიმართა ჟურნალ - გაზეთების ყველა რედაქციებს წერილით, რომელშიაც აღნიშნავს, რომ მოთავსებულ განცხადებების შინაარსისა და ხასიათისათვის პასუხისმგებლობა ეკისრება ამ გამოცემათა რედაქციებს (ადს).

ინგლისის მუშათა პარტიის წევრთა ექსკურსია ლენინგრადში

ლენინგრადი, 1 აგვისტო. ლონდონიდან ლენინგრადში ჩამოვიდა ინგლისის მუშათა პარტიის წევრთა ექსკურსია. ექსკურსია შესდგება 6 კაცისაგან. ექსკურსიამ ინახულა საგუბერნიო პროფსაბჭო, შრომის სასახლე, პროფმოძრაობის მუზეუმი და პეტრე-პავლეს ციხე. ორშაბათს ექსკურსანტები მოსკოვისაკენ გამოემგზავრებიან

„უკრაინის განთავისუფლებისათვის“

პარიზი, 1 აგვისტო. „ლიუმანიტე“ ბეჭდავს პარიზში მყოფი უკრაინელი ემიგრანტების გაზ. „ვისტი“-ს მიერ გამოქვეყნებულ იმ მიმოწერის გაგრძელებას, რომელსაც ადგილი ქონდა ეგრედწოდებული „უკრაინის სახალხო რესპუბლიკის“ „მთავრობის“ წევრის ტოკარჟევსკისა და იმავე „მთავრობის“ მეთაურ ლივიცკის შორის; მიმოწერა ეხება ინგლისელების მიერ საზღვარგარედ შექმნილი „უკრაინის არმიას“ და ამ საკითხის გამო მოლაპარაკებას ინგლისის საელჩოში პარიზში. მიმოწერა ეკუთვნის 1927 წ. იანვარ - ივნისის პერიოდს.

„ლიუმანიტე“ შემდეგ აქვეყნებს ვილაც ფადკას წერილს ლვოვიდან იმის შესახებ, რომ პილსუდსკი ინგლისის დახმარებით ამზადებს „ომს უკრაინისა განთავისუფლებისათვის“ და პეტლიურას აგენტ პასიჩნიკის წერილს სკოროპადსკის მოღვაწეობისა და უკრაინელი ემიგრანტების სამხედრო ორგანიზაციის შესახებ. პასიჩნიკისწერილში აღნიშნულია, რომ სკოროპადსკისა და საბლინის შორის სწარმოებდა მოლაპარაკება ამ საკითხის შესახებ,ამასთანავე საბლინმა დაამყარა კონტაქტი უკრაინის პარტიზანული რაზმის უფროს „გეტმან“ შემეტრა და ჩერჩილს შორის. ჩერჩილმა განაცხადა, რომ ინგლისი დაეხმარება „გეტმანის“ პარტიზანებს, თუ ისინი თავის მოქმედებას შეუთანხმებენ ნიკოლოზ ნიკოლოზის ძეს. დაბოლოს „ლიუმანიტე“-ს მოჰყავს ტექსტი სკოროპადსკის კანცელიარიის ბრძანებისა უკრაინის სამხედრო სარდლობისადმი ჩეხო - სლოვაკიაში და წინადადება იმის შესახებ, რომ აცნობონ გეტმანის ყველა ორგანიზაციებს, რომ ახლოვდება უკრაინის განთავისუფლებისა და კომუნიზმის წინააღმდეგ ბრძოლის მომენტი. სკოროპადსკის კანცელარიაა ამისა გამო იძლევა წინადადებას, რომ რეგისტრაცია მოუხდინონ „უკრაინის სამხედრო ძალების“ ყველა ოფიცრებს და ჯარისკაცებს ჩეხო-სლოვაკიაში (ადს).

„ეკო დე პარი“-ს განცხადება

პარიზი, 1 აგვისტო. უკეთებს რა კომენტარიებს უკრაინულ ემიგრანტულ გაზეთ „ვისტი“-ში გამოქვეყნებულ მიწერ - მოწერას ლივიცკისა და ტოკარჟევსკის შორის, „ეკო დე პარი“ აცხადებს, რომ ეს დოკუმენტები წარმოადგენენ ყალბ საბუთებს, რომლებიც შედგენილია ემიგრანტების მიერ შვარცბარდის (პეტლიურას მკვლელი) პროცესთან დაკავშირებით. ამ პროცესზე უნდა გამოვიდეს ტოკარჟევსკი. გაზეთი ამტკიცებს, რომ ტოკარჟევსკიმ შეიტანა სასამართლოში საჩივარი გაზეთ „ვისტი“-ზე. პარიზის უკრაინულ წრეებში ფიქრობენ, რომ ტოკარჟევსკის მუქარა ყალბია, ვინაიდან ის ვერ გაბედავს განახორციელოს ეს მუქარა და გამოააშკარაოს უკრაინელ ემიგრანტების ინტრიგები და უცხოელ დიპლომატიურ წრეების მონაწილეობა ამ ინტრიგებში (ადს).

ამერიკელ სტუდენტების დელეგაცია თბილისში

დელეგაციის ჩამოსვლა

გუშინ ბაქოდან თბილისში ჩამოვიდა ამერიკელ სტუდენტების დელეგაცია. დელეგაცია შესდგება 11 კაცისაგან. დელეგატებს შორის არიან ჩილის ზანგ სტუდენტების და ამერიკის შეერთებული შტატების 10.000 ზანგ სტუდენტის წარმომადგენელი. დელეგაცია წარმოგზავნილია ჩილისა და შეერთებული შტატების უმაღლეს სასწავლებლებიდან.

დაახლოვებით ერთი თვეა, რაც ეს დელეგაცია მოგზაურობს საბჭოთა კავშირში. დელეგაციამ ინახულა და დაათვალიერა ლენინგრადი, მოსკოვი, ნიჟნი-ნოვგოროდი, სამხრეთ რუსეთის ქალაქები, ასტრახანი, მახაჩ-კალე და ბაქო.

ამერიკელ სტუდენტების ჯგუფი

პირველი ზევით (მარცხნივ) — დელეგაციის თავმჯდომარე

მიტინგი სადგურში

ჩამოსვლისთანავე დელეგაციის საპატივცემულოდ გაიმართა მიტინგი. დელეგაციას სადგურზე შეეგებენ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, ლენინის სახელობის პოლიტეხნიკური ინსტიტუტის, საქართველოს პროლეტარული სტუდენტობის ცენტრალურ ბიუროს, მუშფაკის და პროფესურის წარმომადგენლები.

დელეგაციას მისასალმებელი სიტყვებით მიმართეს თბილისის სტუდენტობის და თბილისის პროფესურის წარმომადგენლებმა, რომელთაც აღნიშნეს ის დიდი მნიშვნელობა, რომელიც აქვს სტუდენტთა დელეგაციის მოგზაურობას უცხოეთის პროლეტარული სტუდენტობის საბჭოთა მოსწავლე ახალგაზრდობასთან დასაახლოებლად. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი და აღსანიშნავია განაცხადეს ორატორებმა,— დაახლოვება და გაცნობა იმ ერების სტუდენტთა წარმომადგენლებისა, რომელნიც უცხოეთის ბურჟუაზიულ სახელმწიფოებში კაპიტალის დევნასა და დამცირებას განიცდიან. ერთმანეთთან მისვლა, ერთიმეორის გაგება და გაცნობა არის პირველი პირობა საერთო ბრძოლის ფერხულში ჩასაბმელად მშრომელი ხალხისა და მცირე ერების მჩაგვრელ კაპიტალის წინააღმდეგ. საბჭოთა კავშირში ჩამოსვლით და აქ მოგზაურობით, ამერიკელ სტუდენტებს საშუალება ეძლევათ პირისპირ გაეცნონ საბჭოთა მშრომელთა აღმშენებლობას და დარწმუნდენ მის შემოქმედებაში.

ჩვენი სტუდენტობისა და პროფესურის წარმომადგენლების მისასალმებელი სიტყვების საპასუხოდ ამერიკის მთელი სტუდენტობის დელეგატებმა განაცხადეს შემდეგი:

„ამერიკელი მოსწავლე ახალგაზრდობა მოკლებულია საშუალებას ნათელი წარმოდგენა იქონიონ საბჭოთა კავშირის მშრომელთა ცხოვრებაზე; რადგან ბურჟუაზიული პრესა ფართო საზოგადოებას უმალავს მას, რაც ნამდვილად ხდება მშრომელთა სახელმწიფოში. ბურჟუაზიული პრესის უდიდესი ნაწილი მიზნად ისახავს შავი ფერებით დახატოს საბჭოთა კავშირის სინამდვილე, ხშირათ საბჭოთა კავშირი ამერიკელების შეგნებაში წარმოადგენს რაღაც საშინელების ქვეყანას. ჩვენ გულწრფელად მოხარული ვართ, რომ მიუხედავად ათასგვარ დაბრკოლებებისა, რომელიც ხელოვნურად შეგვიქმნეს ჩვენ ქვეყანაში აქ გამომგზავრების დროს, ჩვენ საშუალება მოგვეცა პირისპირ გვენახა თქვენი ქვეყანა და დავრწმუნებულიყავით იმ ცნობების სიყალბეში, რომელსაც გვაწვდიდა შეერთებული შტატების ბურჟუაზიული პრესა. საშინელება ქვეყნის მაგიერად, ჩვენ ვნახეთ ქვეყანა, რომელიც გიგანტიური ნაბიჯით მიიწევს წინ, რომლისგანაც ჩვენ— ამერიკელ ახალგაზრდობას ბევრი რამ შეგვიძლია ვისწავლოთ. ჩვენი წმინდა მოვალეობაა თქვენსა და აგრეთვე ჩვენი ქვეყნის მოსწავლე ახალგაზრდობის წინაშე გავაცნოთ ჩვენს წარმომგზავნელ ახალგაზრდობას საბჭოთა ქვეყნების ნამდვილი მდგომარეობა. ჩვენ ამ მოვალეობას შევასრულებთ პირნათლად და დაუფარავად ვიტყვით ყველას გასაგონად, თუ როგორ სცხოვრობს და მუშაობს მშრომელთა დიდი კავშირი“.

ამერიკელ სტუდენტების შემდეგ სიტყვა წარმოსთქვა ამერიკელმა პროფესორმა **ლერმანმა,** რომელიც ახლავს ამერიკელი სტუდენტობის დელეგაციას. ლერმანმა განაცხადა შემდეგი: „დღითი - დღე ომის საშიშროება უფრო და უფრო რეალური ხდება. ჩვენ კარგად ვიცით, ვის უპირებენ ზურგში ლახვარის ჩაცემას; ჩვენ ამერიკელები, რომელთაც საშუალება მოგვეცა გვენახა და გაგვეგო საბჭოთა კავშირის სინამდვილე, მივიღებთ ყოველგვარ ზომებს, რომ საბჭოთა კავშირს თავიდან ავაშოროთ სამტროდ გამოწვეული ხელი. ყოველ ქვეყანაში წლიდან - წლამდე იზრდება საბჭოთა ხელისუფლების მომხრეთა რიცხვი. მალე დადგება დრო, როცა საბჭოთა კავშირის მტრებს მოესპობათ საშუალება და ხალისი მშრომელთა ქვეყნის შესამუსრად გალაშქრებისა“.

პროფ. **ლერმანის** სიტყვით დამთავრდა მიტინგი, შემდეგ დელეგაცია გამოემგზავრა ქალაქის დასათვალიერებლად.

დელეგაცია თბილისში დარჩება ოთხ დღეს და გაეცნობა საქართველოს კულტურულ - საგანმანათლებლო დაწესებულებებს, დაბალ საშუალო და უმაღლეს სასწავლებლებს და სამრეწველო წარმოებებს. დელეგაციის საპატივცემულოდ თბილისის ერთ-ერთ საზაფხულო კლუბში გაიმართება ყველა უმაღლეს სასწავლებლების სტუდენტთა და პროფესორთა გაერთიანებული კრება.

ამხ. ვოროშილოვის ბრძანება

მოსკოვი, 1 აგვისტო. საკავშირო უმაღლესი სამხედრო - პედაგოგიური სკოლის პედაგოგთა ახალი კადრის გამოშვების გამო, გამოქვეყნდა რევოლიუციონურ სამხედრო საბჭოს ბრძანება ამხ. **ვოროშილოვის** ხელის მოწერით.

„საბჭოთა კავშირის რევოლიუციონური სამხედრო საბჭო, ნათქვამია ბრძანებაში, ახალ პედაგოგებს ულოცავს კურსის წარმატებით დამთავრებას და გამოსთქვამს ღრმა რწმენას, რომ ახალგაზრდა პედაგოგები მთელ თავის ძალას, ცოდნას და გამოცდილებას მოახმარებენ მუშათა და გლეხთა წითელი არმიის ძლევამოსილების გაძლიერებას, რომელიც ერთგულად იცავს საბჭოთა ქვეყნის სოციალისტურ მშენებლობას“.

ქართველი მენშევიკების გასამართლება ხარკოვში

30 ივლისის საღამოს (მეჩვიდმეტე) სხდომა

მხარეთა კამათი

დამცველ ბლოსტოცკის სიტყვა

(ტელეგრაფით ჩვენი საკუთარი კორესპონდენტისაგან)

ხარკოვი, 30 ივლისი. 30 ივლისს საღამოს სხდომაზე გრძელდება მხარეების კამათი. ტრიბუნას იკავებს **სოფიო შექეშვილის და ულმერის** დამცველი **ბლოსტოცკი.**

„მე ვიცავ ორ ბრალდებულს, არა ქართველთ, სთქვა მან, ერთია **ულმერი,** რომელიც არ ფიქრობდა, რომ მას გაასამართლებდენ ოდესმე ქართველ მენშევიკებთან ერთად. გლეხებმა ულმერმა არც კი იცოდა, რომ სადღაც არსებობს საქართველო, საუბედუროთ, აქ გაიგო მხოლოდ. ისიც ზის და გულში გვწყევლის კიდეც, ალბათ, იმისათვის, რომ მაშინ, როდესაც ის უნდა მუშაობდეს ყანაში, აქ კარგავს დროს. იმის მაგიერ, რომ მოიმკას და გალეწოს პური, ის ყურს უგდებს სიტყვებს საქართველოს პოლიტიკურ მდგომარეობის შესახებ. და ულმერიც გავა აქედან როგორც საქართველოს სასტიკი მოწინააღმდეგე“.

დარბაზში სიცილია.

„ულმერი უნდა გავანთავისუფლოთ უნდა დავუბრუნოთ თავის ყანებს, განაგრძო დამცველმა. მან უკვე 9 თვე გაატარა ციხეში და ეს სასჯელი სრულებით საკმარისია მისთვის.

რაც შეეხება სოფიო შექეშვილს ისიც არაფრით არ არის დაკავშირებული საქართველოსთან. საქართველოსთან მას აკავშირებს მხოლოდ ქმრის გვარი, რომელსაც იგი ატარებს. სოფიო შექეშვილი არ არის პოლიტიკური მუშაკი, არც იცნობს საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებას და ამ საქმეში ჩაება ქმრის და იმ წრის ზეგავლენით, რომელშიც იმყოფებოდა. მისი დანაშაული ისე უმნიშვნელოა,—რომ ვიმედოვნებ სასამართლომ მას გაამართლებს“.

დამცველ სკერტსის სიტყვა

შემდეგ სიტყვა ეძლევა ფედოროვის და გოგლიჩიძის დამცველს **სკერტს,** რომელიც ირწმუნება, რომ საბუთები ფედოროვის მიერ სწორად იქნა გაცემული, ყველა ფორმალური მხარეების დაცვით. „ფედოროვმა არც იცოდა თუ რა დანიშნულება ჰქონდა ამ საბუთებს. ფედოროვმა ციხეში დაჰყო 22 თვე და ეს სასჯელი საკმარისია ისეთ ადამიანისათვის, რომელსაც დანაშაულობის ჩადენის დროს არ ჰქონდა არავითარი წინაწარი განზრახვა“.

შემდეგ დამცველი გადადის გოგლიჩიძის დაცვაზე და ამბობს: ფრიად ნათელი და ნიჭიერი სიტყვა გოგლიჩიძის დასაცავად ითქვა აქ გუშინ. ეს სიტყვა სთქვა ბრალდებულმა. გოგლიჩიძე მუდამ მიყვებოდა გულის კარნახს და მოქმედებდა ყველა შემთხვევაში თავისი გრძნობების და მიხედვით. მაგრამ დღეს როდესაც საჭიროა პასუხის გაცემა ჩადენილი საქციელისათვის, გოგლიჩიძე ღებულობს თავზე დანაშაულობის სიმძიმეს. სასამართლოს ვსთხოვ მხედველობაში მიიღოს ეს გარემოება. გოგლიჩიძემ ამის გარდა განაცხადა, რომ მას ვერ წარმოუდგენია ისეთი სოციალისტი, რომელიც დაეხმარება პოლონეთს, თუ მოხდა ომი პოლონეთს და საბჭოთა კავშირს შორის. გოგლიჩიძემ განაცხადა აგრეთვე, რომ ოქტომბრის რევოლიუციამ მტკიცე საძირკველი ჩაუყარა საქართველოს ნაციონალურ განთავისუფლებას, გოგლიჩიძემ სასტიკათ დაგმო ჯალათ წერეთლის საქციელი დარიალის ხეობაში, ყველა ეს, ამხანაგო მოსამართლენო მიიღეთ მხედველობაში, როდესაც გამოუტან განაჩენს, გზააბნეულ, მაგრამ გულწრფელ სოციალისტს გოგლიჩიძეს“.

ამით მხარეების კამათი დასრულდა. კვირა დილით შესდგება სასამართლოს უკანასკნელი სხდომა და გამოტანილი იქნება განაჩენი.

აკ. ჭყონია.

31 ივლისის დილის (მეთვრამეტე) სხდომა

ბრალდებულთა უკანასკნელი სიტყვები

(ტელეგრაფით ჩვენი სპეციალური კორესპონდენტისაგან)

ხარკოვი, 31 ივლისი. 31 ივლისის დილის სხდომაზე მოელიან ბრალდებულთა უკანასკნელ სიტყვებს. თვითეული მათგანის პოლიტიკური და მორალური ფიზიონომია საკმაოდ გამორკვეულია პროცესის დროს. ახლა მათ დარჩენია ჯამი გაუკეთონ თავის ურთიერთობას და ჩადენილ დანაშაულს.ორმა წინა სხდომამ და დამცველთა სიტყვებმა რამოდენიმედ გამოაცოცხლა ბრალდებულნი. არანაკლები გავლენა იქონია პროკურორის სიტყვამაც, რომელმაც განხეთქილება შეიტანა ბრალდებულთა შორის. ეს სჩანს მათ განწყობილებასა და მოქმედებაში. აღარ სჩანს ის მთლიანი ფრონტი რომელმაც თავი იჩინა უბადრუკ წერილობით პროტესტში სასამართლოს დადგენილების წინააღმდეგ პოპოვის მიერ წარდგენილ წიგნების საქმესთან დართვის შესახებ.

ანჯაფარიძის სიტყვა

პირველად სიტყვა ეძლევა ანჯაფარიძეს. დღეს ის გამოწყობილია. დგება დიდი რვეულით ხელში, რომელიც შეიცავს მის უკანასკნელ სიტყვას. ახლა გასაგები ხდება, თუ რატომ მოითხოვდა ანჯაფარიძე საავადმყოფოს რეჟიმზე გადაყვანას. მისი სიტყვა იწყება ადამის დროიდან. ერთი-ერთმანეთს მოჰყვება საქართველოს ყველა ცოტად თუ ბევრად ცნობილი პოლიტიკური მოვლენები თებერვლის რევოლიუციიდან უკანასკნელ დრომდე. სიტყვა ფაქტიურად წარმოადგენს ყოველმხრივ უვიც დეკლარაციას. სიტყვის პირველი ნაწილის ძირითად ღერძს წარმოადგენს ნოე ჟორდანიას ცნობილი ფორმულა „არც მარჯვნივ, არც მარცხნივ“. „ჩვენ არ გვასვენებდნენ მარჯვნიდან დენიკინელები, მარცხნიდან ბოლშევიკები“. დეკლარაციის მეორე ნაწილი შეიცავს შეხანხლულ ცნობებს საბჭოთა საქართველოს შესახებ. ეს ნაწილი თითქმის მთლიანად დამყარებულია ციტატებზე „უკლონისტების“ სიტყვებიდან და წერილებიდან; შეიცავს ბევრი უკლონისტების შექებას, როგორც ერთგულ, ნაცად კომუნისტებისას. გადადის რა საკითხზე საბჭოთა ხელისუფლებასთან დამოკიდებულების შესახებ, ანჯაფარიძე ამბობს: „აჯანყების საკითხი ჩემთვის მოხსნილია სამუდამოთ. გამცემია ის, ვინც ფიქრობს აჯანყების შესახებ, ვერ ვპოულობ სიტყვებს მის დასახასიათებლად. საქართველოში ჩამოვედი არა იმიტომ, რომ მენახა ჩემი ძვირფასი მშობლები და ნათესავები. მე მინდოდა მეწარმოებია არალეგალური მუშაობა. მაგრამ სამწუხაროდ მოვხვდი სარდაფში“.

ანჯაფარიძის ეს სიტყვები სიცილს იწვევს.



პირადობის „მოწმობა“ ფილიპე ჯლამაიას სახელზე, რომელიც კაპიტონ ანჯაფარიძეს მისცა ექ. გალაქტიონ გოგლიჩიძემ კიევის ქართული კოლონიის გამგეობის სახელით.

ის კითხულობს დაბალი ხმით, ბევრი რამ არ ისმის. სთხოვენ გამოვიდეს მოაჯირს აქეთ. „არ მსურს ხტომა დევდარიანის და სულაქველიძის მგზავსად. ვრჩები იმავე რწმენის, როგორიც მქონდა წინეთ“.

ექიმი გოგლიჩიძე

დგება გოგლიჩიძე. „ჰაერში თოფის წამლის სუნი დგას,—აცხადებს ის. ჩემბერლენი დადის ჩირაღდნით ხელში. თუ იფეთქა ომმა, მკერდით დავიცავთ საბჭოთა კავშირს. ჩვენ ვიცით, თუ რა დაუჯდა მუშათა კლასს პარიზის კომუნის დაღუპვა. ბოლშევიკების დამარცხება იქნება წარმოუდგენელი უბედურება. მათ ნაცვლად მოვლენ მარკოვები, შულგინები, რომლებიც მუშებს დაუგლეჯენ წაართმევენ არა მარტო ქარხნებს და მიწას. ისინი საქართველოს წაართმევენ თავისუფლებას. გაუმარჯოს საერთო მუშაობას კომუნისტებთან“.

სიმონ შექეშვილი

ლაპარაკობს მხოლოდ პირადათ თავის შესახებ და უარჰყოფს მისთვის წარდგენილ ბრალდებათა ნაწილს.

ჯაშუშ პენკოვის სიტყვა

მთელი დარბაზი უდიდესი ყურადღებით ემზადება პენკოვის სიტყვის მოსასმენად.

ის ამბობს: „მე მრცხვენია ლაპარაკი ჩემი დანაშაულის შესახებ. მე გავიგე თუ რა შეცდომა ჩავიდინე ორი წლის წინად, როდესაც უფრო ახალგაზრდა ვიყავი. ბავშვობიდანვე დავშორდი საზოგადოებრივ კალაპოტს. ფულს ვშოულობდი საზიზღარი გზით. ვკადნიერდები და არ ვაყენებ თავს კავერდას გვერდით, რომელსაც შემადარა პატივცემულმა პროკურორმა. ვსცნობ ჩემს დანაშაულს საბჭოთა ხელისუფლების წინაშე. სიამოვნებით მივიღებ ყოველგვარ სასჯელს, რასაც გამოიტანს სასამართლო. გთხოვთ დამსაჯოთ სასტიკად. როგორც ვზიდავდი კონტრაბანდას, ისე ვზიდავ ამ მხრებით სასჯელსაც“.

ულმერი

ლაპარაკობს: „აწი აღარ ჩავიდენ ასეთ დანაშაულს. გამამართლეთ. საჭიროა პურის მკა, გადასახადის შეტანა“.

კოლონაშვილი

როგორც ყოველთვის, ორიგინალობას იჩენს. ის მიუთითებს სასამართლოს სასჯელის ზომაზე: „გადასახლება იმ პირობით, რომ გაშვებული იქნება ორი კვირით ოჯახის სანახავად“.

დანარჩენი ბრალდებულები

სასამართლოს სინდისს ანდობენ თავის ბედს.

აკ. ჭყონია.

—:—

(დღეს დილის 6 საათისათვის ცნობა განაჩენის შესახებ არ ყოფილა მიღებული).

ამიერ.-კავკ. დეპეშათა სააგენტოსაგან

30 ივლისის საღამოს სხდომა

დამცველთა სიტყვები

ხარკოვი, 1 აგვისტო უზენაეს სასამართლოს 30 ივლისის საღამოს სხდომაზე გრძელდება დამცველთა სიტყვები.

გოგორიშვილის, ბერუაშვილის, ულმერის, სოფიო შექეშვილის, დრობოტის და გოგლიჩიძის დამცველნი სთხოვენ სასამართლოს ბრალდებულთა გამართლებას. ფედოროვის დამცველი სთხოვს სასამართლოს სოციალურ თავდაცვის ზომის შემსუბუქებას ბრალდებულის მიმართ. მხარეთა კამათი დასრულებულად ცხადდება.

31 ივლისის სხდომა

ანჯაფარიძის „დეკლარაცია“

ხარკოვი, 1 აგვისტო. 31 ივლისის სხდომაზე უზენაესმა სასამართლომ მოისმინა ბრალდებულთა უკანასკნელი სიტყვები.

ანჯაფარიძე უკანასკნელ სიტყვაში, რომელიც დეკლარატიულ ხასიათს ატარებს, ამბობს: „მე ვსცნობ საბედისწერო შეცდომებს, რომლებიც დაუშვა რუსეთის სოციალ-დემოკრატიამ, რომელმაც ვერ შეაფასა ოქტომბრის რევოლიუციის მნიშვნელობა და შევიდა კოალიციაში ცენზიან ბურჟუაზიასთან, მაგრამ, ჩემის აზრით ეს არ ჩაუდენია საქართველოს სოციალ-დემოკრატიას“.

შემდეგ ანჯაფარიძე ამართლებს ქართველ მენშევიკების კავშირს გერმანიის იმპერიალისტებთან და აცხადებს, რომ საქართველოს მენშევიკურმა მთავრობამ დასდო შეთანხმება გერმანიის მთავრობასთან საქართველოს გადასარჩენად ოსმალეთის იმპერიალიზმის შემოსევისაგან.

დენიკინელებთან კავშირის შესახებ ანჯაფარიძე აცხადებს, რომ დენიკინთან შეთანხმებაში შედიოდენ ზოგიერთი ქართველი გენერლები, რისთვისაც არ შეიძლება პასუხისმგებელი იყვნენ ქართველი მენშევიკები.

შემდეგ ანჯაფარიძე აცხადებს, რომ 1924 წლის აჯანყება საქართველოში იყო ქართველ მენშევიკების პარტიის შეცდომა.

„მე ჩამოვედი საბჭოთა კავშირში,—ამბობს ანჯაფარიძე,—არალეგალური მუშაობის წარმოებისათვის საქართველოში და არა აჯანყების მოსაწყობათ საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. მე უნდა მემუშავნა იმისათვის, რომ მიმეღწია ქართველი მენშევიკების პარტიის ლეგალიზაციისათვის. მე ეხლა ისეთივე შეხედულება მაქვს, როგორიც მქონდა საბჭოთა კავშირში გამომგზავრების დროს.

მე კატეგორიულად ვაცხადებ პროტესტს 1924 წ. აგვისტოს მსგავსი აჯანყების მოწყობის წინააღმდეგ ეხლანდელ მომენტში, როცა კაპიტალისტები ემზადებიან საბჭოთა კავშირზე თავდასხმისათვის. აუცილებელია მუშათა მთლიანი ფრონტის შექმნა ბურჟუაზიის წინააღმდეგ“.

გოგლიჩიძის სიტყვა

ბრალდებული გოგლიჩიძე ამბობს:

„ეხლა ჰაერში თოფის წამლის სუნი სდის. ჩემბერლენი სცდილობს დაიწყოს ახალი ომი საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ და შეიძლება ხვალ საბჭოთა კავშირის მშრომელნი იძულებული გახდენ თავი დაანებონ მშვიდობიან შრომას და ხელში აიღონ იარაღი. და ამ დროს ჟორდანია აცხადებს, რომ ქართველი სოციალ-დემოკრატებს უნდა სურდეთ საბჭოთა რუსეთის დამარცხება! მე კატეგორიულად ვაცხადებ: არა, არა, ჩვენ ის არ გვსურს, ვინაიდან **მოსკოვის დამარცხება არის მუშათა კლასის დამარცხება და თუ მოსკოვი დამარცხდა, ბოლშევიკების მაგივრად მოვლენ გუჩკოვები, მარკოვები, შულგინები და სხ.; სწორედ მაშინ საქართველო დაჰკარგავს იმ თავისუფლებას, რომელიც მან მიიღო საბჭოთა ძალაუფლების დამყარების შემდეგ.** ჩვენ არ ვემხრობით აჯანყებას, ჩვენ ვემხრობით თანამშრომლობას საბჭოთა ხელისუფლებასთან“.

გოგორიშვილის სიტყვა

„ყოველივე ის, რაც მე ვიცოდი და რასაც ვფარავდი წინასწარ გამოძიებაზე,—ამბობს ბრალდებული გოგორიშვილი,—მე შემდეგ უამბე უზენაეს სასამართლოს, რომელმაც უნდა გადასწყვიტოს ჩემი ბედი“.

შექეშვილის და კოლონაშვილის სიტყვა

ბრალდებული შექეშვილი აცხადებს, რომ იგი არ ყოფილა ქართველი მენშევიკების მთავრობის საგანგებო რაზმის თანამშრომელი.

„მე გლეხის შვილი ვარ, ამბობს შექეშვილი, და პროფესიით აგრონომი: მომეცით საშუალება ვემსახურო გლეხობას“.

ბრალდებული კოლონაშვილი სასამართლოს სთხოვს, რომ დაპატიმრება შეუცვალოს გადასახლებით.

პენკოვ - პოლოჟნის სიტყვა

ბრალდებული პენკოვ-პოლოჟნი ამბობს, რომ მან შეიგნო თავისი დანაშაული და გმობს თავის თავს ამის გამო. კავშირის დაჭერა პოლონეთის გენერალურ შტაბთან,—პენკოვის სიტყვით,— გამოწვეული იყო ვითომც მისი ოჯახის მძიმე მატერიალური მდგომარეობით.

„სამარცხვინო კავშირი პოლონეთის გენერალურ შტაბთან,—ამბობს პენკოვი,—მაძლევდა საშუალებას მეზიდა კონტრაბანდა, მაგრამ პოლონეთის გენერალური შტაბისათვის მე არ მიმიცია ცნობა,რომელსაც შეეძლო ზიანის მოტანა საბჭ. კავშირისათვის. მე ვაღიარებ ჩემს მძიმე დანაშაულს. მაგრამ მე გლეხის შვილი ვარ და პროკურორმა უმართებულოდ დამაყენა კავერდას გვერდით. მე კატეგორიულად ვაცხადებ, რომ თუმცა მე ჯაშუში ვარ, მაგრამ კავერდასთან არაფერი მაქვს საერთო; მუშათა და გლეხთა ხელისუფლება—ჩემი ხელისუფლებაა. გთხოვთ მომეპყრათ ისე, როგორც გზა-აბნეულ ცხვარს“.

პენკოვი უცხადებს სასამართლოს, რომ იგი ინანიებს თავის დანაშაულს და სთხოვს მკაცრი განაჩენის გამოტანას.

დანარჩენი ბრალდებულები სცნობენ თავის დანაშაულს და აცხადებენ, რომ მათ პროლეტარული სასამართლოს პატიების იმედი აქვთ.

„ახალი“ ოპოზიციის გზა*)

ცეკას აპრილის პლენუმიდან „83-ის“ პლატფორმისაკენ

პარტიის ფარგლების გადალახვა

ცეკას აპრილის პლენუმის დამთავრების შემდეგ ოპოზიციის ბელადებმა მოითხოვეს ცეკას პლენუმის სასწრაფო სხდომის მოწვევა საერთაშორისო ამბებთან დაკავშირებული საკითხების განსახილველად. ამ საკითხების შესახებ არსებობდა ცენტრალური კომიტეტის მიერ მიღებული გადაწყვეტილებანი. მათ სისწორეს მხოლოდ ოპოზიციის ჯგუფი ხდიდა საეჭვოდ. აი, ამიტომ არ იყო საჭირო ცეკას ასეთი სასწრაფო პლენუმის მოწვევა. რამდენიმე დღის შემდეგ კი ოპოზიციამ კომინტერნის აღმასკომის მე-8 პლენუმზე მეტად მკაცრად გაილაშქრა და გაუგონარი ბრალდებები წამოაყენა კომინტერნისა და პარტიის წინააღმდეგ ოპოზიციის „პერიფერიებს“. ოპოზიციის ყველა მომხრეებს, ალბად ზემოდან მიეცათ სიგნალი,—ყველგან, სადაც კი შეეძლოთ, ოპოზიციონერები გაფართოებული ილაშქრებდენ, საშინელ ბრალდებებს აყენებდენ ცეკას წინააღმდეგ. ხშირი იყო, მაგალითად, ასეთი ბრალდებანი ცეკას მიმართ: „ფაშისტების შტაბი“, „მენშევიკების მაჩანჩალა“ და სხ. ეს იყო კომინტერნის ისეთი კრიტიკა, ჩვენი პარტიის პოლიტიკის ისეთი კრიტიკა, „რომელიც იღებს ცილისწამების ხასიათს, ასუსტებს კომინტერნს, როგორც მსოფლიო პროლეტარიატის მებრძოლ ორგანიზაციას, საკავშირო კომპარტიას, როგორც კომინტერნის მოწინავე რაზმს და საბჭოთა კავშირს, როგორც პროლეტარული დიქტატურის პირველ სახელმწიფოს“, ე. ი. ისეთი კრიტიკა, რომელიც ოპოზიციის ბელადებმა გადაჭრით დაგმეს 1926 წლის ოქტომბერში, და რომლითაც მათ მკაცრად გაილაშქრეს პარტიისა და კომინტერნის წინააღმდეგ. ამავე დროს ოპოზიციის მომხრეები ამრავლებდენ მრავალრიცხოვან დოკუმენტებს, ავრცელებდენ პერიფერიებში არა მარტო პარტიულებს შორის, არამედ უპარტიოებს შორისაც; ეს დოკუმენტები ხანდახან ხელში უვარდებოდა ისეთ პირებს, რომლებსაც უაღრესად ბოროტი მიზნებით შეეძლოთ იგი გამოეყენებიათ პარტიის წინააღმდეგ. სიტყვები (მათ შორის ცეკას **დახურულ სხდომაზე წარმოთქმული სიტყვები**) და დოკუმენტები, რომელნიც ოპოზიციას ეკუთვნოდენ, იბეჭდებოდა „მემარცხენე კომუნისტების“ პრესის ფურცლებზე, განსაკუთრებით ურბანს-მასლოვ-რუტ ფიშერის პრესაში: „მიტტეილუნგსბლატ“ (გერმანის მემარცხენე კომპარტიის „უწყებები“) და „კომუნიზმუს ფრომა“. **არსებითად ადგილი ჰქონდა ისეთ ცდებს, რომ პარტიის გვერდის ახვევით, კომინტერნის გვერდის ახვევით საზღვარგარეთის პრესის ფურცლებზე,** ჰინდენბურგის მფარველობის ქვეშ, გაილაშქრეს **პარტიის ხაზის წინააღმდეგ, კომინტერნის ხაზის წინააღმდეგ** ისეთი „მასების“ წინაშე, რომელთაც თანაგრძნობით ხვდება როგორც რუტ ფიშერ-მასლოვის ჯგუფი, ისე მენშევიკური „სოციალისტიჩესკი ვესტნიკი“.

პრესის დღეს, „პრავდა“-ს 15 წლის იუბილეს დღეს ამხ. ზინოვიევი შეეცადა **უპარტიოთა კრებაზე** დაეგმო პარტიის, მისი აზრით შემცდარი პოლიტიკა და ცენტრალურ ორგანოს „პრავდა“-ს, მისი თვალსაზრისით, შემცდარი ხაზი.

ამავე დროს, ცეკას ცალკე წევრებმა ოპოზიციონური ბლოკიდან გამოიჩინეს ისეთი უდისციპლინობა, რომელმაც აიძულა ცენტრალური კომიტეტი მიემართა ცენტრ. საკონტ. კომისიისათვის, რომ ამ ამხანაგებს შეესრულებიათ ცენტრალური კომიტეტის დადგენილება. პარტიული დისციპლინის ასეთი დარღვევა იყო ამხ. სმილგას საქციელი, რომელიც ერთ თვეზე მეტი ხნის განმავლობაში არ ასრულებდა ცენტრალური კომიტეტის დადგენილებას ხაბაროვსკში გამგზავრების შესახებ. და რაც იგი გაემგზავრა დაუშვებელ განცხადებათა შემდეგ, რომელნიც მან გადასცა პარტიის ხელმძღვანელ ორგანოებს, მის გამგზავრებას ოპოზიციონერებმა მისცეს ისეთი ხასიათი, რომ ეს უეჭველად იყო ოპოზიციონერების დემონსტრაცია პარტიის ხაზის წინააღმდეგ, რომელიც ვითომც ასახლებდა ამხ. სმილგას.

ასეთი ბრალდებანი **გადასახლების შესახებ არ არის ახალი რამ პარტიისათვის.** პარტიის მე-9 ყრილობაზე „დემოკრატიული ცენტრალიზმის“ ჯგუფი **სწორედ ამავე ბრალდებას უყენებდა ლენინის ცენტრალურ კომიტეტს.**

ჩვენი ოპოზიციონერები ეხლა ყველგან და ყოველთვის ლენინის სახელს ეფარებიან, ისინი მდგომარეობას ისე ახასიათებენ, რომ ვითომც **ლენინის შემდეგ** დაიწყო სწორი პარტიული ხაზის სხვადასხვა სახით დამახინჯება. და განა საპრონოვი და სხვანი მე-9 ყრილობაზე ცენტრალურ კომიტეტს არ უწოდებდენ „პარტიულ ოლიგარხიის ჯგუფს“. განა **მაშინ** არ ლაპარაკობდენ გადასახლებათა შესახებ, რომელსაც ვითომდა მიმართავდა ცენტრალური კომიტეტი? და განა ლენინს (და კრესტინსკის) არ უხდებოდათ, მაგალითად მე-9 ყრილობაზე, პასუხის გაცემა ოპოზიციის მაშინდელ მომხრეთა ასეთი უგუნური და უბადრუკი ბრალდებების წინააღმდეგ? **განა იმავე ბრალდებებს არ აყენებდა „მუშათა ოპოზიცია“ მე-9 ყრილობაზე ლენინის დროს? ახალი ოპოზიციის ეს ბრალდებანი მდგომარეობს იმაში, რომ ცენტრალური კომიტეტი ასახლებს მათ,—ეს არის ის ბრალდება, რომელიც ოპოზიციამ ამოიღო რამოდენიმე წლის განმავლობაში რამოდენიმეჯერ გაკოტრებული ოპოზიციონური ჯგუფების არსენალიდან, რომელნიც პარტიამ დაჰგმო ლენინის სიცოცხლის დროს და მისი ხელმძღვანელობით.**

კომინტერნის აღმასკომის მე-8 პლენუმზე ოპოზიციამ მართლაც საშინელი სიტყვები წარმოსთქვა, როცა მან განაცხადა, რომ ყველაზე უფრო დიდი საფრთხე ამჟამად გველის პარტიული რეჟიმის მხრივ, როცა მან მოითხოვა ამნისტია პარტიიდან და კომინტერნიდან გამორიცხულთათვის, ამნისტია ისეთი ჯგუფებისათვის, როგორიცაა მასლოვის, რუტ ფიშერის, ურბანსის ჯგუფი. სწორედ ამ ჯგუფების შესახებ ისინი ოქტომბერში აცხადებდენ: „ჩვენ აბსოლუტურად დაუშვებლად ვსცნობთ კომინტერნის ხაზის წინააღმდეგ პირდაპირ ან არაპირდაპირ დახმარებას ფრაქციებისა ან რომელიმე ჯგუფებისათვის კომუნისტური ინტერნაციონალის ცალკე სექციებში“. როდის იყო, რომ მასლოვის, რუტ ფიშერის, ურბანსის ჯგუფი **კომინტერნის ხაზის დამცველნი** იყვნენ? რამდენი ხანია, რაც ასეთმა ჯგუფებმა ოპოზიციისთვალში დაიმსახურეს ისეთი ნდობა, რომ იგი გამოდის მათ დამცველად? ვინ დაუჯერებს, ვის შეუძლია დაუჯეროს, რომ ისინი **„შეცდომაში იყვნენ შეყვანილი“,** რომ მათ **არ იცოდენ** ამ ჯგუფების ნამდვილი ფიზიონომია? და განა შეიძლება ეს დაუჯეროთ **კომინტერნის აღმასკომის ყოფილ თავმჯდომარეს?** თუნდაც, რომ მართალი იყოს, რომ იგი შეცდომაში იყო შეყვანილი (ვის მიერ, როდის,—იგი ხომ თვითონ იდგა სათავეში?), **მას ხომ თვითონ შეცდომაში შეჰყავდა მთელი კომინტერნი.** ან ვინ დაუჯერებს, რომ მაშინ,როცა ტროცკიზმს, ე.ი. სწორედ იმ თეორიას, რომელიც მან შეითვისა 1926 წელში და რომლითაც მან შესცვალა ლენინიზმი,—როცა იგი ამ თეორიას ახასიათებდა როგორც მენშევიზმის ერთ-ერთ სახეობას,—ვინ დაუჯერებს მას, რომ იგი „შეცდომაში იყო შეყვანილი“.

როგორ ასრულებდა ოპოზიცია პარტიის მე-14 ყრილობის, ცეკას და ცენტრ. საკონტრ. კომისიის გადაწყვეტილებებს, როგორ სთვლიდა მათ „აუცილებლად სავალდებულოდ“, და როგორ ატარებდა მას იგი ცხოვრებაში,—ამის შესახებ ჩვენ შეგვიძლია ვიქონიოთ მსჯელობა არა მარტო ზემოხსენებული ფაქტით—პარტიული დისციპლინის დარღვევა ამხ. სმილგას მიერ,—არამედ ყოველივე იმით. თუ როგორ ეპყრობოდა ოპოზიცია პარტიის გადაწყვეტილებებს უმძიმეს მომენტებში. ოპოზიცია ხშირად ემყარება იმას, რომ პარტიული ორგანიზაცია უარს ეუბნება მათ რაიმე პარტიული დავალების მიცემაზე. ყველასათვის ცხადია, რომ პარტიული დავალება მრავალგვარია. მეტად საპასუხისმგებლო საქმიან და პოლიტიკურ დავალებებს—თვით სახალხო კომისარის თანამდებობამდე—ოპოზიციონური ფრაქციების წევრები ეხლაც ასრულებენ. თუ მაგალითად, მოსკოვის კომიტეტი გზავნის მომხსენებელს პარტიულ ან უპარტიო მუშათა კრებაზე, **იგი დარწმუნებული უნდა იყოს იმაში, რომ მომხსენებელი დაიცავს პარტიის ხაზს,** რომ თუ მას მისცემენ ამა თუ იმ შეკითხვას პარტიის გადაწყვეტილებათა შესახებ, იგი **ამ გადაწყვეტილებებს დაიცავს.** იქცევა ასე ოპოზიცია? მაგალითად, როცა წარმოიშვა ომის რეალური საფრთხე, ზოგიერთმა გამოჩენილმა ოპოზიციონერებმა მოსკოვის კომიტეტს განუცხადეს, რომ ისინი გაეცნენ მოსკოვის მე-15 პარტიულ საგუბერნიო კონფერენციის რეზოლიუციას, რომელშიაც ხაზგასმით არის აღნიშნული ომის საფრთხე, და რომ „არავითარი უთანხმოება ცენტრალურ კომიტეტსა და „ეგრედ წოდებულ ოპოზიციის“ შორის **ამ საკითხში არ იქნება“.** და „სავსებით იზიარებენ რა იმას, რაც ითქვა საგუბერნიო კონფერენციაზე ამ საკითხის შესახებ“, ისინი სთხოვენ მოსკოვის კომიტეტის ბიუროს „იყოლიონ ისინი მხედველობაში, როგორც მომხსენებელნი **ამ საკითხის შესახებ** მუშათა კრებებზე“ (ხაზგასმა ჩვენია). ავიღოთ მოსკოვის მე-15 პარტიულ საგუბერნიო კონფერენციის აღნიშნული რეზოლიუცია. ამ რეზოლიუციაში ნათქვამია, რომ „მე-15 კონფერენცია აშკარა სიყალბედ და ცილისწამებად სთვლის მძიმე ბრალდებას პარტიის წინააღმდეგ ეროვნული შემოფარგლულობისა და ეროვნულ-რეფორმისტული პოლიტიკის შესახებ“. რომ ამ მომხსენებლებისათვის მიეცათ შეკითხვა: სცნობენ თუ არა ისინი, რომ ბრალდება პარტიის წინააღმდეგ ეროვნული შემოფარგლულობისა და ეროვნულ-რეფორმისტული პოლიტიკის შესახებ არის „აშკარა სიყალბე და ცილის წამება“,—რას უპასუხებდენ ისინი ამაზე? **სწორედ ისინი არიან ამ აშკარა სიყალბისა და ცილის წამების გამავრცელებელნი.** თუ მოსკოვის მე-15 პარტიული საგუბერნიო კონფერენცია სცნობს, რომ „პარტიასთან ერთად სავსებით იზიარებს რა პარტიის. სრ. საკავშირო კონფერენციის, ცეკას პლენუმის ყველა გადაწყვეტილებებს მოსკოვის ორგანიზაცია სდგას იმ თვალსაზრისზე, რომ **ჩვენ გვაქვს ყველა პირობები ძლევამოსილი სოციალისტური მშენებლობისათვის ჩვენს ქვეყანაში**“,—რას უპასუხებდა ოპოზიცია ამ საკითხის შესახებ, რომ მომხსენებლებისათვის კრებაზე მიეცათ შეკითხვა: სცნობს თუ არა იგი ამას სწორად? განა ოპოზიცია არ ავრცელებდა და არ ავრცელებს, იმ შეხედულებას, რომ თითქოს ძლევამოსილი სოციალისტური მშენებლობას ჩვენს ქვეყანაში არაფერი საერთო არა აქვს მარქსიზმთან. და რომ ეს არის წვრილბურჟუაზიული უტოპია? რას იტყოდა ოპოზიცია იმ შეფასების გამო, რომელიც მოსკოვის მე-15 პარტიულმა საგუბერნიო კონფერენციამ მისცა მათ შეხედულებებს იმის შესახებ, რომ იზრდება ჩვენი სოციალისტური მეურნეობის დამოკიდებულება მსოფლიო კაპიტალიზმისაგან, იმის შესახებ, რომ ჩვენ მხოლოდ—„მსოფლიო მეურნეობის ფუნქციას“ წარმოვადგენთ? თითქოს ჩვენი შეხედულებანი სამხედრო საფრთხის შესახებ არის რაღაც გამოცალკევებული რამ, რაღაც ამოგლეჯილი რამ ჩვენ საერთო შეხედულებათაგან! რასაკვირველია, არა. თვითონ ოპოზიციამ მალე დაამტკიცა, რომ ომის საფრთხის მიზეზების საკითხში და იმ საკითხში, თუ **რაში მდგომარეობს უმთავრესი საფრთხე,** ოპოზიცია სავსებით შორდება პარტიას. **ამიტომ ოპოზიცია თვითონ თავისი შეხედულებითა და მოქმედებით ისეთ მდგომარეობაში აყენებს თავის თავს, რომ მას არ შეუძლია ლოიალურად ემსახუროს პარტიას,** რომ მას არ შეუძლია დაიცვას პარტიის ხაზი, რომ მას **არც ერთ საკითხში** არ შეუძლია ბოლომდე გულწრფელად დაიცვას პარტიის ხაზი. ვინაიდან იმ საკითხშიაც კი, რომელშიაც მას არ აქვს უთანხმოება, იგი ამ უთანხმოებას ქმნის, უაღრესად აზვიადებს. ამწვავებს და ამწვავებს სწორედ მეტად სახიფათო მომენტში. მეტად სახიფათო მომენტში, იმ მომენტში, როცა ჩემბერლენის მთავრობამ კავშირი გასწყვიტა საბჭოთა კავშირთან, ოპოზიციამ მისი 83 მომხრის ხელის მოწერით ცენტ. კომიტეტში შეიტანა განცხადება, რომელშიაც გამწვავებულია უთანხმოებანი საგარეო და საშინაო პოლიტიკის თითქმის ყველა საკითხებში. სულ ცოტა ხნის წინედ კი, თებერვლის პლენუმზე მათ არ ჰქონდათ თითქმის არავითარი გარკვეულად ჩამოყალიბებული უთანხმოება ამ საკითხების შესახებ. აპრილში კი ცეკას პლენუმზე თავი შეიკავეს ხმის მიცემისაგან სწორედ იმიტომ, რომ მათ არ ჰქონდათ საკუთარი ხაზი ამ საკითხებზე.

რისთვის დასჭირდათ ეს გამოსვლები ასეთ მომენტში, მიმართვა „მასებისადმი“. საპეტიციო კამპანიის საშუალებით, ამ პლატფორმის, პარტიის საწინააღმდეგო საბრალმდებლო აქტის გავრცელება ყველგან?! ეს დასჭირდათ იმისათვის, რომ ახალი ოპოზიცია,—ისე როგორც სხვა ოპოზიციონური ჯგუფები წინედ,— ეხლანდელ მძიმე მომენტს მეტად ხელსაყრელად სცნობს გამოსვლისათვის. ისინი ამ თავის განცხადებაში ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ „კოლექტიურ წერილს ცენტრალურ კომიტეტს ვაძლევთ იმ მომენტში, როცა ინგლისის კონსერვატორებმა, **ისარგებლეს რა ჩვენი ორჭოფული პოლიტიკით** ჩინეთის რევოლიუციაში და თვით ინგლისის მუშათა მოძრაობაში, საქმე მიიყვანეს დიპლომატიური ურთიერთობის შეწყვეტამდე. ამგვარად შექმნილი განსაკუთრებით მწვავე მდგომარეობა აათკეცებს, ჩვენი ღრმა რწმენით, ამ პარტიული დოკუმენტის მნიშვნელობას“. რასაკვირველია, ამ დოკუმენტმა ასეთ მომენტში მიიღო არა მარტო გაათკეცებული მნიშვნელობა, არამედ გაცილებით მეტი მნიშვნელობა, თუნდაც იმიტომ, ამ დოკუმენტში ნათქვამია, რომ **დამნაშავე ინგლისის კონსერვატორების მიერ საბჭოთა ქვეყანასთან კავშირის გაწყვეტაში არის ჩვენი პოლიტიკა, საკავშირო კომპარტიის (ბ) პოლიტიკა.** რომ ჩვენ გადამჭრელი პოლიტიკა გვეწარმოებია ჩინეთის რევოლიუციაში და ინგლისის მუშათა მოძრაობაში, მაშინ ჩემბერლენი ვერ გაბედავდა ურთიერთობის შეწყვეტას. გამოდის, რომ დამნაშავეა არა ინგლისის ბურჟუაზია, არა მისი მტაცებლური ინტერესები და იმპერიალისტური ზრახვები, არამედ „ჩვენი ორჭოფული პოლიტიკა“. დიახ, რასაკვირველია, ეს ხალხი ძალიან „მშვიდია“, მათ აქვთ „შორს დამიზნების ტაქტიკა“. ისინი „სრულის დამშვიდებით და თავიანთი სიმართლის სრული შეგნებით“ სცნობენ „კრიტიკის აუცილებლობას“ და არ იხევენ იმის წინაშე, რომ შლიან ჩვენს რიგებს ინგლისთან დიპლომატიური ურთიერთობის შეწყვეტის მომენტში. განა ასეთივე სიმშვიდით არ იყო აღჭურვილი „მუშათა ოპოზიცია“, როცა იგი კრონშტადტის აჯანყების მომენტში 1921 წელში ამბობდა არა ნაკლებ „გონიერ“ და **სახიფათო აზრებს,** ვიდრე ეხლა ამბობს ახალი ოპოზიცია?განა „მემარცხენე კომუნისტები“ „სრულის დამშვიდებით“ და თავიანთი სიმართლის სრული შეგნებით არ უყენებდენ პარტიას ისეთივე შეუსაბამო, სახიფათო ბრალდებებს, როგორც ახალი ოპოზიცია? **ახალმა ოპოზიციამ ყველაფერი დაივიწყა და ვერაფერი ისწავლა იმ შეცდომებზე,** რომელიც პარტიამ განიცადა ბრესტის პერიოდში, კრონშტადტის პერიოდში და იგი კვლავ იმეორებს ამ ძველ შეცდომებს.

თავის დროზე *) ჩვენ დავამტკიცეთ, თუ როგორ მოხდა, რომ სხვადასხვა ოპოზიციონური, ფრაქციული და ანტიპარტიული ჯგუფების ეს შეცდომები შეითვისა და განიმეორა ახალმა ოპოზიციამ 1926 წელში. ჩვენ მაშინ გვეგონა, რომ საქმე ამით დამთავრდა ჩვენ იმედი გვქონდა, რომ ოპოზიცია შესწყვეტდა ბრძოლას. სამწუხაროდ, მან არა მარტო არ შესწყვიტა ბრძოლა, არამედ ეს ბრძოლა გადაიტანა ახალ, უფრო სახიფათო ფაზაში, კიდევ უფრო მეტი გამწვავების, უფრო მეტი იერიშების, უფრო მეტი ანტილენინური კრიტიკის ფაზაში. მან გვიჩვენა, თუ როგორ ნაკლებ მნიშვნელობას აძლევს თვით ოპოზიცია თავის განცხადებებს და ვალდებულებებს 1926 წ. 16 ოქტომბრის თარიღით.

(შემდეგი იქნება)

ემ. იაროსლავსკი.

---

*) გაგრძელება იხ. „კომუნისტი“ № 172.

*) იხ. Ем. Ярославский «Новая оппозиция и троцкизм» («Прибой» 1926 г.) და Ем. Ярославский «Рабочая оппозиция», «Рабочая группа» და «Рабочая Правда», изд. «Молодая гвардия», Москва, 1926 г.

ზაჰესის საბოლოო მიღება

გუშინ თბილისში ჩამოვიდა სპეციალისტთა კომისია, რომელშიაც შედიან მოსკოვის უმაღლეს ტეხნიკურ სასწავლებლის პროფესორები **სუშკინი** (კომისიის თავმჯდომარე) და **სიროტინსკი;** კომისიის მესამე წევრი, ლენინგრადის ტეხნოლოგიური ინსტიტუტის პროფესორი **ვორონოვი** ჩამოვა დღეს.

კომისიასთან ერთად ჩამოვიდა სახელმწიფო ელექტრო ტეხნიკურ ტრესტის წარმომადგენელი ამხ. იაკუბოვი.

აღნიშნული კომისია მოწვეულია საქართველოს სახკომსაბჭოს მიერ ზაჰესის მოწყობილობათა შესამოწმებლად და საბოლოოდ მისაღებად.

კომისია გამოარკვევს, თუ რამდენად მტკიცეთაა დადგმული სახელმწიფო ელექტრო-ტრესტის მიერ ზაჰესის მოწყობილობა.

„ფიატ“-ის წარმომადგენელი თბილისში

გუშინ თბილისში ჩამოვიდა იტალიის საავტომობილო ფირმა „ფიატ“-ის მთავარი ინსპექტორი მოქ. **ანგლიერი.**

მისი ჩამოსვლის მიზანია მოლაპარაკების წარმოება „ზაკავტოპრომტორგ“-თან სავაჭრო საქმეებზე.

ჩვენს თანამშრომელთან საუბარში მოქ. ანგლიერიმ განაცხადა:

— აქამდი ფირმა „ფიატი“ საბჭოთა კავშირის ბაზარზე გამოდიოდა საქციო საზ-ბა „ჩინზე“-ს საშუალებით. ეხლა ჩვენ გადავსწყვიტეთ დამოუკიდებლად გამოვიდეთ საბჭოთა კავშირის ბაზარზე. ამჟამად მოლაპარაკება სწარმოებს მოსკოვში სახელოსნოების გახსნის შესახებ: სახელოსნოები დაამზადებენ სათადარიგო ნაწილებს ჩვენი ფირმის ავტომობილებისათვის.

ამას გარდა, ჩვენ მონაწილეობას ვიღებთ ტრაქტორების გამოცდაში, რომელიც ახლო ხანში დაიწყება დონის როსტოვში. ამ გამოცდაზე ჩვენ გამოვგზავნეთ ახალი ტრაქტორები, რომლებსაც შუა ადგილი უჭირავთ ფორძონის და „ინტერნაციონალის“ ფირმის ტრაქტორებს შორის.

„ზაკავტოპრომტორგს“ ჩვენ გავუხსენით გრძელვადიანი კრედიტი. ჩემი ჩამოსვლის მიზანს შეადგენს მოლაპარაკების წარმოება „ზაკავტოპრომტორგ“-თან სავაჭრო ურთიერთობის გაფართოების შესახებ.

დიდი ნიაღვარი

გუშინ საღამოს მიღებული ცნობით, გუშინ ნაშუადღევს სურამის მთის გადაღმა მოვიდა კოკისპირული წვიმა, რომელსაც მოჰყვა დიდი ნიაღვრები. ძირულა ხარაგოულს შუა ნიაღვარმა დასილა რკინისგზის ხიდი და გადავიდა რკინისგზის ლიანდაგზე. გზა გაფუჭებულია დაახლოვებით 100 მეტრის სიგრძეზე.

ნიაღვრების გამო რამდენიმე საათით შეჩერდა მატარებლების მოძრაობა. გზის აღსადგენად სასწრაფოდ გაგზავნილი იქნა მუშათა რაზმი. მატარებლების მოძრაობა შეწყდა ნაშუადღევის 2 საათსა და 40 წუთზე.

დღეისთვის მატარებლების მიმოსვლა აღდგენილი იქნება.

ნავთის ახალი წყაროები

მუშაობის დაწყება შირაქის ველზე

ს. მ. უ ს. სამთო სამმართველოს ნავთის დამუშავების სექციამ გუშინ მიიღო ცნობა, რომ შირაქის ველზე უკვე დაწყებულია ნავთის ამოსაღები ჭაბურღილის გათხრა. ნავთის ამოსაღებ საცდელ სამუშაოებს აწარმოებს იტალია-ბელგიის უსახელო საზოგადოება, რომელმაც ბურღვა დაიწყო 23 ივლისიდან.

ჯერ-ჯერობით ჭაბურღილში გაჭრილია 10 საჟენის სიღრმე, ხოლო ივნისისათვის ფიქრობენ დაასრულონ ჭაბურღილის გათხრა. მუშაობას უშუალოდ ხელმძღვანელობს ინჟ. **ბიჭიმურელი,** რომლის გამოანგარიშებითაც ნავთი უნდა აღმოჩნდეს მე-300 საჟენის სიღრმეზე.

ჭაბურღილის გათხრა დაწყებულია სოფ. მირზაანის კალოებთან; გათხრაზე ყოველდღიურათ მუშაობს 17 კაცი. ახლო ხანში შემოღებული იქნება მუშაობა სამი ცვლათ.

გუშინ შირაქის ნავთის სამუშაოებიდან დაბრუნდა სამთამადნო მუშათა პროფკავშირის წარმომადგენელი ამხ. **გ. ჭიაბაშვილი.** მისი გადმოცემით, ახალი ჭაბურღილის მახლობლად უკანასკნელ ხანებში კლდიდან გადმოხეთქა ნავთის ახალმა წყარომ, საიდანაც ადგილობრივ გლეხებს მიაქვთ ნავთი საოჯახო საჭიროებისათვის.

პარტიული ცხოვრება

პარტგანათლების ქსელის პროპაგანდისტების გადამზადება

ყოველმა პარტიულმა და კომკავშირელმა უნდა იცოდეს საბჭოთა ხელისუფლების და პარტიის პოლიტიკა. მათ ფრიად გაუძნელდებათ პარტიის ამოცანების გაგება და ცხოვრებაში გატარება, თუ არ აქვთ სათანადო პოლიტიკური მომზადება — პირველ დაწყებითი პარტგანათლება მაინც. ამიტომ არის რომ პარტია თავის წევრებს სავალდებულოთ უხდის პოლიტცოდნის სკოლის გავლას, სოფლად — მოძრავის ან სტაციონალურის, ქალაქად — შემოკლებულის.

უნდა ითქვას, რომ პარტიული განათლების საქმე თანდათან გაუმჯობესდა უკანასკნელ წლებში, მაგრამ ის ჯერ შესაფერ სიმაღლეზე მაინც ვერ სდგას. ამის მიზეზი უნდა ვეძიოთ პროპაგანდისტების კადრის მოუმზადებლობაში. არ კმარა მარტო ამა თუ იმ პოლიტცოდნის ხელმძღვანელის შესწავლა.

პროპაგანდისტი ყოველდღიურ საჭირბოროტო თანამედროვე საკითხებს და მოვლენებს უნდა აცნობდეს და მსმენელებთან მეცადინეობის პროცესში პარტიის ახალ ამოცანებს უნდა აკავშირებდეს სკოლის საერთო პროგრამულ მასალებთან. სკოლების ხელმძღვანელებს საკმაო უნდა ქონდეთ შეთვისებული არა მარტო საჭირო თეორიული და მეთოდიური ცოდნა, არამედ მათ მართებთ ფართო საზოგადოებრივ-პოლიტიკური მუშაობის წარმოებაც სკოლის გარეშე და მსმენელების პრაქტიკულ საქმიანობაში ჩაწვდომა. უნდა ითქვას, რომ ძირითადი პარტგანათლება ვერ მიაღწევს თავის მიზანს მანამდე, სანამ არ გვეყოლება ჩამოყალიბებული და საკმაოთ მომზადებული პროპაგანდისტები. დღემდე საქართველოში პროპაგანდისტების გადამზადების საკითხი ვერ მოგვარდა. მაშინ, როცა პარტიის ძირითადი მასის საერთო კულტურა იზრდება, პროპაგანდისტების გადამზადება არ სწარმოებდა, მათი საერთო ცოდნა ერთ წერტილზე იდგა.

ცხადია, პროპაგანდისტების ხშირი შეცვლა საქმეს ვერ უშველის.

ცეკას სააგიტ. - საპროპ. განყოფ. ამ გარემოებას მიაქცია ყურადღება და აუცილებლად აღიარა პროპაგანდისტების სისტემატიურად გადამზადება ზაფხულობით. მთავარი დასაყრდენი ძირითადი პარტგანათლების ქსელში არის სოფლის მოძრავი პოლიტსკოლები. მათი რიცხვი მომავალი წლისათვის გაზრდილ იქნა 18-დან 40-დე. ამიტომ უმთავრესი ყურადღება ექცევა მოძრავ სკოლების ხელმძღვანელთა გადამზადებას.

შემდეგ მიდის სტაციონალურ და ქალაქის შემოკლებულ სკოლების ხელმძღვანელთა გადამზადება. წელს ც. კ. აგიტპროპთან მოეწყობა 80 კაცისათვის 3 გადასამზადებელი კურსი. გადამზადებულ იქნება: 1) მოძრავ სკოლების ხელმძღვანელნი 40, 2) სტაციონალურის 20, 3) შემოკლებულის 20. კურსების მუშაობა გაგრძელდება 1-ნახევ. თვეს. მეცადინეობა დაიწყება 15 აგვისტოდან. კურსებზე გავლილ იქნება შემდეგი საგნები: ეკონომიური პოლიტიკა, პოლიტეკონომია, ლენინიზმი, პარტგანათლების და თვითგანვითარების მეთოდიკა და პოლიტცოდნის სკოლის პროგრამა.

რასაკვირველია, მოკლევადიანი კურსებით დაკმაყოფილება არ შეიძლება. პროპაგანდისტებმა თვითონ უნდა იზრუნონ თვითგანვითარებით თავიანთი გადამზადებაზე, თავიანთ კვალიფიკაციის ამაღლებაზე. მათ მუდამ უნდა ახსოვდეთ, რომ გუშინდელი ცოდნით გამოსვლა ჩვენს ფეხიზელ აუდიტორიის წინაშე, რომლის მოთხოვნილებები ყოველდღე იზრდება, შეუძლებელია. ჯერ კიდევ ბევრი მუშაობა ესაჭიროება ჩვენს პროპაგანდისტებს, იმათ უნდა შეიძინონ ცოდნა და გამოცდილება, უნდა გაეცნონ მასების ფსიქოლოგიას, მათ სულიერ განწყობილებას და მოთხოვნილებებს. ნამდვილი პროპაგანდისტი წლობით იქმნება. ამიტომ სწორად მოიქცა მოძრავ სკოლების ხელმძღვანელთა თათბირი, როცა დაადგინა, რომ პროპაგანდისტმა უნდა იმუშაოს პარტგანათლების დარგში არა ნაკლებ 3 წლისა.

დ. ო—ძე.

ჩვენი საქმიანობა

(ქვ. მაჩხაანის თემკომი, სიღნაღის მაზრა)

ქვ. მაჩხაანის თემკომი აერთიანებს 6 უჯრედს, რომელშიც ითვლება 102 წევრი და კანდიდატი. უჯრედები ყველა გლეხურია. თემკომი უჯრედებს უწევს შესაფერ ხელმძღვანელობას, როგორც წერილობითი, ისე ცოცხალი კავშირით. საერთოდ უნდა ითქვას, რომ უჯრედების მუშაობა წინანდელთან შედარებით გამოცოცხლებულია, თუ არ მივიღებთ მხედველობაში 2 უჯრედს, რომელნიც სუსტად მუშაობენ.

უჯრედებში გამოყოფილია სხვადასხვა კომისიები, აგრეთვე კარგად მუშაობენ თემში თემსაბჭოსთან არსებული კომფრაქციები. თემში თითქმის ყველგან არის მოწყობილი თვითგანვითარების წრეები, რომლებშიაც ხდება მე-15 პარტკონფერენციის რეზოლიუციების შესწავლა და ირკვევა მიმდინარე პოლიტიკური საკითხები. მხოლოდ უნდა ითქვას, რომ წევრთა დასწრება სუსტია აღნიშნულ მეცადინეობაზე.

თემკომი ხშირად იწვევს უჯრედის მდივნების და აგიტპროპ. კომისიების თათბირებს, სადაც კეთდება მოხსენებები როგორც ადგილებიდან, აგრეთვე მათ მომავალ მუშაობაზე ეძლევათ პრაქტიკული მითითებანი მუშაობის გასაჯანსაღებლად. თემკომმა აღრიცხვაზე აიყვანა შეძლებულებში მყოფი მოწაფე პარტ. წევრები, რომელნიც გამოყენებულნი არიან უჯრედებში სამუშაოდ.

ინტელიგენცია გამოყენებულია კულტურულ განმანათლებელ მუშაობაში.

ამ თემში ითვლება 3 ა. ლ. კ. კ. თემკომი. კომკავშირის თემკომების მუშაობა მოისუსტებს, რაც აღნიშნა ამას წინად შემდგარ კომუჯრედის აგიტპროპ. კომისიების თათბირმა.

ძალიან მწვავედ სდგას საკითხი ჩვენს თემში ქალთა შორის მუშაობის შესახებ. არც ერთი ქალი არ არის თემშიპარტიის წევრი. ეს გარემოება უნდა აიხსნას უმთავრესად იმით, რომ რაიონში არ არის ფასიანი ქალთა შორის მომუშავე, რისთვისაც საჭიროა ფასიანი ერთი ქალთა ორგანიზატორი. თემკომმა თავის მხრივ მიიღო ზომები ქალების ჩაბმისათვის ორგანიზაციაში, მაგრამ ამ მხრივ ჯერ - ჯერობით შედეგი დიდი არაფერია და საჭიროა ამ მხრივ მუშაობის გაცხოველება.

პირველ რიგში უჯრედებში ჩაბმული უნდა იქნენ პარტიის წევრების ცოლები, დები და სხვა, რაც ხელს შეუწყობს სხვა ქალების ჩაბმასაც პარტიის რიგებში. ამ მხრივ ბევრი თქმულა, მხოლოდ სიტყვა სიტყვად დარჩა და პრაქტიკულად ჯერ არაფერი გაკეთებულა.

ფ. ყაჭრიშვილი.

ლეჩხუმის მაზრალმასკომის გაფართოებული პლენუმი

25 ივლისს ს. ა. ლ. კ. კ. ლეჩხუმის სამაზროკომის გაფართოებულმა პლენუმმა მოისმინა ამხ. ჯავახიძის მოხსენება ცეკას მეექვსე პლენუმის შედეგებზე, რის გარშემო მიღებული იქნა შემდეგი რეზოლიუცია:

გაფართოებული პლენუმი აქტივთან ერთად ერთხმად იწონებს და უერთდება საქ. ცეკას პლენუმის დადგენილებას და აღნიშნავს, რომ საქ. ცეკას ლენინურ ხელმძღვანელობით საქართველოს კავშირი მტკიცედ და სავსებით ატარებს ლენინურ ხაზს—ანტი-ლენინურ ბლოკის წინააღმდეგ ბრძოლაში, რომლებსაც სურთ თავიანთი ფრაქციული მუშაობით და ისეთი საკითხების წამოჭრით რომლებსაც არავითარი საერთო არა აქვს ლენინიზმთან, შეარყიოს კომკავშირის და კომპარტიის ბოლშევიკური ერთსულოვნება. საქ. კომკავშირში მყოფი ოპოზიციონერები, რომლებსაც უარყოფით უხდებათ მუშაობა და რომლებიც ლაპარაკობენ საქართველოს კომპარტიის ოპოზიციონერების ენით, თავიანთი ანტი-ლენინური მოქმედებით ვერასოდეს ვერ პოვებენ გამოძახილს საქართველოს კომკავშირში. პლენუმი სთხოვს ცენტრალურ კომიტეტს მიიღოს ყოველგვარი ზომები კომკავშირში მყოფ ოპოზიციონერების დეზორგანიზატორული მოქმედების წინააღმდეგ. (რითაც ისინი ფაქტიურად ხელს უწყობენ თავიანთი მოქმედებით იმ ძალთა განწყობილებას, რაც მიმართულია საბჭოთა ხელისუფლების და კომპარტიის წინააღმდეგ).

პლენუმი იწონებს ცეკას მიერ მიღებულ პრაქტიკულ ღონისძიებებს სოციალისტური აღმშენებლობის და საბჭოთა ქვეყნის თავდაცვის საქმეში კომკავშირის მონაწილეობის მიღების შესახებ.

სამაზრკომის პლენუმი თავის მხრივ აუცილებელ საჭიროდ სთვლის მაზრაში კომკავშირის მიერ სამხედრო საქმის შესწავლის სწორ დაყენებას.

მეორე საკითხათ პლენუმზე იდგა სამაზრო კომიტეტის საანგარიშო მოხსენება. მოხსენება გააკეთა ამხ. ვ. ბერიძემ პლენუმმა სამაზრო კომიტეტის აღებული ხაზი სცნო სწორად და თავის დადგენილებაში აღნიშნა, რომ ლეჩხუმის კომკავშირის ორგანიზაციამ საქართველოს მეორე კონფერენციის და საკ. მეხუთე კონფერენციის დადგენილებების მიხედვით შესძლო თანდათანობით გადასვლა მუშაობის ახალ რელსებზე.

დასასრულ პლენუმმა პრეზიდიუმის შემადგენლობიდან გაანთავისუფლა სამი წევრი და მათ ადგილას შეყვანილ იქნა ახალი წამოყენებული აქტივი.

აბულდიანი.

საბჭოთა საქართველო

დეპეშები

ყოფილ მენშევიკთა კრება

ფოთი, 31 ივლისი. შესდგა ყოფილ მენშევიკთა საერთო საქალაქო კრება, რომელსაც დაესწრო 600-მდე კაცი. საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ გაკეთებულ მოხსენების გარშემო ერთხმად იქნა მიღებული რეზოლიუცია, რომელიც სასტიკად კიცხავს ჟორდანია და რამიშვილის პროვოკაციულ მუშაობას (ადს).

გამფლანგველები

ქუთაისი, 31 ივლისი. აღძრულია ლეჩხუმის სამაზრო აღმასკომის საქმეთა მმართველის—ვიკენტი **ჩაჩხიანის** საქმე, რომელსაც ბრალდება ყალბი საბუთების შედგენა და 3.230 მანეთის გაფლანგვა. ამავე საქმეზე პასუხისგებაშია მიცემული ლეჩხუმის აღმასკომის სამაზრო საფინანსო განყოფილების ყოფილი გამგე **ე. დადიანი** და ამავე განყოფილების ბუღალტერი **ერ. ბაკურაძე.** უკანასკნელს ბრალდება ყალბი საბუთების შედგენა და ჩაჩხიანის მფარველობა. ყველა ბრალდებულები დაპატიმრებულია (ადს).

სასამართლო

ქუთაისი, 31 ივლისი. დასავლეთ საქართველოს საოლქო სასამართლოში დასრულდა სოფ. ალპანის ტელეგრაფის კანტორის ყოფილ უფროსის—**ყრუაშვილის,** ფოსტალიონ **ილია აბაზაძის** და კანტორის მეეტლის **გოგიბერიშვილის** საქმის გარჩევა. პირველს ბრალი ედებოდა სამსახურისადმი გულგრილობაში, ორ უკანასკნელს 515 მანეთის გატაცებაში. სასამართლომ გოგიბერიშვილს მიუსაჯა 2 წლით თავისუფლების აღკვეთა, აბაზაძეს დისციპლინარული სასჯელის მოხდა. ყრუაშვილი გამართლებულია (ადს).

წერილები

კოოპერატივების გამგეობების თავმჯდომარეთა თათბირი

(შორაპ. მაზრა)

ამასწინად შორაპნის სამაზრო პარტიული კომიტეტის მიერ მოწვეული იყო მაზრაში არსებულ ერთიან მომხმარებელ კოოპერატივის გამგეობის თავმჯდომარეთა გაფართოებული თათბირი—პ-მ. ამხანაგების თანდასწრებით.

თათბირის უმთავრესი მიზანი იყო გამორკვია: ა) საერთოდ კოოპერატივების მდგომარეობა, ბ) ფასების დაკლების გატარება, ე) ცალკე კოოპერატივების ურთიერთ დამოკიდებულება. თათბირზე გამოირკვა შემდეგი:

წარსულ წელთან შედარებით 1927 წლის სამეურნეო პერიოდში კოოპერატივების საფინანსო და სავაჭრო მდგომარეობა საგრძნობლად გაუმჯობესებულია და ძალლეულია ის სიძნელენი, რომელიც მათ მუშაობას წინ ეღობებოდა.

ყველა მომხსენებლები ეხებოდნენ სათანაბრო გადასახადის კოოპერატივებზე დიდი რაოდენობით დადებას — და აღნიშნავდენ, რომ თუ ეს სათანაბრო გადასახადი კოოპერატივებს არ მოეხსნათ და ან არ შეემცირდათ, — მისი გადახდის შემდეგ ზოგიერთ კოოპერატივებს ლიკვიდაცია მოელით"-ო.

ფასების დაკლება მთელი 100 პროც. გატარებულია პირველი ივნისისათვის, — მაგრამ აქ ფასების დაკლების გამო ზოგიერთი ძველი შეძენილი საქონელი გაყიდულა წაგებით — რის გამო კოოპერატივების ფინანსიური მდგომარეობა ცოტათი გაუმწვავებია.

ურთიერთ დამოკიდებულება კოოპერატივებს შორის აქამდე მაინცდამაინც ვერ ყოფილა დამაკმაყოფილებელი და ამას აქამდე არც კი მიქცევია ყურადღება. — ქონია ადგილი ფუნქციების არევ-დარევას.

კოოპერატივის გამგეობის თავმჯდომარეები აღნიშნავენ რა ამას აუცილებელ საჭიროდ სცნობდნენ კოოპერატიულ დაწესებულებებ შორის მეტოქეობის აღმოფხვრას და ურთიერთ შორის მჭიდრო კავშირის გაბმას.

მომავალი მუშაობის წარმატებით მსვლელობისათვის მიიღო მთელი რიგი პრაქტიკული წინადადებანი და ღონისძიებანი.

მ. ბრეგვაძე.

წითელი ჯვრის საზოგადოების აქტივის კრება ლეჩხუმში

ივნისის ბოლოს ქ. ცაგერში შესდგა წითელი ჯვრის საზოგადოების აქტივის კრება, თემის წარმომადგენლებთან ერთად. კრებას დაესწრო ცენტრალურ გამგეობის წარმომადგენელი ამხ. **ლ. დუმბაძე,** რომელმაც გააკეთა მოხსენება წ. ჯვ. საზოგადოების მოღვაწეობის შესახებ. კრებამ გაითვალისწინა რა მაზრის უკიდურესი ფინანსიური მდგომარეობა, აღძრა შუამდგომლობა წითელი ჯვრის ცენტრალურ გამგეობის წინაშე გახსნას მაზრაში ორი აფთიაქი და სამი საექიმო პუნქტი. ამხ. ლ. დუმბაძემ აღუთქვა კრებას, რომ ეხლავე თუ არა მომავალ საბიუჯეტო წლიდან იქნება მიღებული ზომები აფთიაქების და საექიმო პუნქტების გასახსნელად. ვიმედოვნებთ, რომ დაპირება იქნება შესაძლებლობის ფარგლებში მოყვანილი სისრულეში.

პირველი.

წერილებიდან

— **მოგვხედეთ.** სრ. საქართველოს დამზღ. სამმართველოს საყურადღებოდ. უკვე ერთი თვეზე მეტია მას შემდეგ, რაც გურიაში არ იძლევიან წამლებს უფასოდ, დაზღვეულ მუშა-მოსამსახურეებზე, იმის გამო, რომ დეფიციტი გვაქვსო.

მაზრაში შემავალ თემების მუშა - მოსამსახურეებს უხდებათ ფულად ყიდვა წამლების.

კარგი იქნება მოგვაქცევდეს ყურადღებას ს. ს. დამზღ. სამმართველო და გურიის მუშა-მოსამსახურეებს ამ მხრივ მოუგვარებდეს საქმეს.

წიგნაკი № 8229.

—**საჭიროა აფთიაქი.** (გულეკარ-კეთილარის თემი, სენაკის მაზრა) გულეკარ - კეთილარის თემი ადმინისტრატიულად აბაშის რაიონს ეკუთვნის. ხსენებულ თემსა და აბაშას შუა მიმდინარეობს რიონი, რომლის ადიდების დროს, აბაშასთან მიმოსვლა შეუძლებელი ხდება. ასეთ მდგომარეობას მიაქციეს ყურადღება და დაარსეს საექიმო პუნქტი. მაგრამ ხშირია ისეთი მოვლენა რომ ექიმი ავადმყოფს უწერს „რეცეპტს" და ავადმყოფის პატრონს არა აქვს საშუალება წამალი დროზე შეიძინოს, რადგან თემს არ აქვს აფთიაქი. საჭიროა აფთიაქის გახსნა.

დ. მ.—ლი.

— **სამაგალითო თემაღმასკომი** (ს. ნორიო, თბილისის მაზრა). ივლისში ნორიოს თემის საბჭომ თემის ყველა სოფლებს ჩააბარა ანგარიში თავის მუშაობის შესახებ.

გლეხობა ყველგან კმაყოფილი დარჩა თემის საბჭოს და მის აღმასკომის მუშაობით. გლეხთა აქტივობა წარსულ წელთან შედარებით გაიზარდა. თემის საბჭოს მიღწევათა შორის თვალსაჩინო ადგილი უჭირავს აღმშენებლობას. მიუხედავად ბიუჯეტის სივიწროვისა, თემაღმასკომმა მაინც შესძლო ადგილობრივად გამონახულ თანხების საშუალებით გადაედგა ამ დარგში წინ ბიჯები, რაც გამოიხატა შენობების შეკეთებაში და სოფ. ნორიოში ქვიტკირის ხიდის აშენებაში.

არკანი.

— **რისთვის არის ეს?** ა. კ. რკინის გზის ქალაქის სადგურმა თავისი განყოფილება გახსნა სადგურის ქუჩა № 18, საქმე ის არის, რომ აქ, ამ განყოფილებაში პლაცკარტები არ იყიდება. რით ავხსნათ ეს, ვითომ ეს განყოფილება ღირსი არაა პლაცკარტების გაყიდვის, თუ რაშია საქმე? რკინის გზის სამმართველომ ეს საქმე უნდა მოაგვაროს.

ლ.

სოფლის ქრონიკა

— **სკოლა.** სოფ. პატარძეულში შენდება სკოლისათვის ახალი შენობა.

— **სათემო გლეხკომების** თავმჯდომარეთა და მდივანთა გადასამზადებლად ახალციხეში ეწყობა ერთ თვიანი კურსები.

— **ხულოს და ქედის** მაზრებში მოეწყო კბილის საექიმო კაბინეტები.

— **ახალი ხიდი.** ბაღდადის თემის გლეხებმა გადასწყვიტეს თავიანთი საშუალებით ააგონ მდ. ყვირილაზე დიდი ხიდი.

— **აგურის ქარხანა.** სოფ. ჯავაში (სამხ. ოსეთი), მუშაობა დაიწყო ახლად აგებულმა აგურის ქარხანამ.

—**ტრაქტორი.** სოფ. მაღლაკის თემის მცხოვრებლებმა გადასწყვიტეს შეიძინონ ტრაქტორი.

— **ჩაის მეურნეთა არტელი.** სოფ. ხვერბეთში (ოზურ. მაზრა) დაარსდა ჩაის მეურნეთა არტელი.

— **სალეწი მანქანა.** საგარეჯოს სასოფლო-სამეურნეო საკრედიტო ამხ-ბამ შეიძინა პურის სალეწი მანქანა.

— **მდ. ცხენისწყალზე** შეუდგენ ხიდის აგებას, რომელიც შეაერთებს გორდისა და ცხუნკურის თემებს.

— **წყალსადენი.** სოფ. ქვემო-ხოდაშენში გლეხებმა თავის საშუალებით გამოიყვანეს წყალსადენი.

— **გზები.** დუშეთის მაზრაში ამ ჟამად სწარმოებს ახალი გზების გაყვანა და ძველების შეკეთება.

— **ხიდები.** თბილისის აღმასკომი შეუდგა სოფ. თეთრ წყაროსა და წალკის რაიონში სამაზრო მშენებლობის გზების შეკეთებას.

— **სკოლა. სოფ.** ვაკისჯვარში შეუდგენ სკოლის შენობის აგებას.

— **სეტყვა.** გურიაში რამდენიმე დღის წინ მოსულმა სეტყვამ ძლიერ დააზარალა ნათესები და ბაღები.

— **ჩაი.** აცანის თემში (გურია) წელს ჩაის პლანტაციებს უჭირავთ 100 ქცევა.

— **სოფ. ქვიშხეთში** არსებულმა სასოფლო-სამეურნეო ამხ-ბამ შუამდგომლობა აღძრა გორის აღმასკომის წინაშე სეტყვისაგან დაზარალების გამო ბაღვენახების საიჯარო გადასახადისაგან განთავისუფლების შესახებ.

— **საგარეჯოს საავადმყოფოს აგება** დამთავრდება ამ ზამთრისათვის.

მუშათა ცხოვრება

ღირსეული მუშა

სარქისა გასპარის ძე **ტრდატიანი** არის ფეხსაცმელების პირების გამომჭრელი. 1919 წელში ებმება რევოლუციის ფერხულში და ეცნობა პარტიულ წრეებს.

1922 წ. ამხ. ტრდატიანი ინიშნება ტყავ-ტრესტის ფეხსაცმელების ქარხნის დირექტორის თანაშემწედ.

1923 წელს მუშების მოთხოვნით იყო მოწვეული ტყავ - ტრესტის გაერთიანებული საქარხნო - საფაბრიკო კომიტეტში, სადაც სამჯერ ზედიზედ იყო არჩეული. 1926 წ. ვხედავთ მესამე რაიკომის საორგ. განყ. გამგეთ. ამჟამად კი № 1 ტყავის ქარხნის დირექტორია.

ამხ. სარქის დრდატიანი

—:—

ამხ. ტრდატიანი პატიოსან და შრომის მოყვარე მუშათ ითვლება არამც თუ მთლიანად მეტყავეთა კავშირში, არამედ მთელს ორთაჭალა - ხარფუხ - ავლაბრის რაიონში.

პარტიულს თუ უპარტიოს, პირზე აკერია ამხ. ტრდატიანის ნიჭი და შრომა დააფასა ჩვენმა ხელისუფლებამ და მას აგზავნის გერმანიაში სწავლის ინდუსტრიალიზაცია - მექანიზაციასთან დაკავშირებული ცოდნის უფრო ფართოდ შესათვისებლად.

ამხ. სარქისათი კმაყოფილი მუშები ვუსურვებთ მას ცოდნით და ენერგიით სავსე დაბრუნებას ჩვენს რიგებში.

მუშკორი—**ნაპერწკალი.**

მადლობის ღირსნი არიან

სად. თბილისის მოძრაობის დარგში უკვე ერთ წელზე მეტია, რაც არსებობს კედლის გაზეთი „ნიშანსვეტი". მუშკორები ყოველთვის უკმაყოფილებას გამოსთქვამდნენ იმის გამო, რომ მასში მოთავსებული შენიშვნები მიზანს არ აღწევდნენ, რადგან ამ წერილებს არავითარი ყურადღება არ ექცეოდა.

ამჟამად მდგომარეობა შეიცვალა: ადმინისტრაციისა და პროფესიონალური ორგანიზაციის პასუხისმგებელი პირები უკვე 3 თვე იქნება, რაც სისტემატიურად პასუხს აძლევენ გაზეთში მოთავსებულ შენიშვნებს და საჭირო ზომებს იღებენ ყოველგვარ ნაკლულოვანებათა აღმოსაფხვრელად.

ამ ამხანაგებს მადლობა ეკუთვნით კედლის გაზეთზე ასეთი ყურადღების მიქცევისათვის.

ჯ.

როდის აშენდება

ა.-კ. რკინისგზის სამმართველოსთან არსებობს შერეული ტექნიკური კომისია სამმართველოს სახლის მაშენებელი. აგერ 3 წელიწადია, რაც დაიწყეს სახლის აშენება, მაგრამ საუბედუროდ გათავება არ ეღირსა სამმართველო კი ფულს ყოველთვის თავის დროზე აძლევს. ამ გაუთავებელ მუშაობის მთავარი მიზეზია ხელმძღვანელობის გულგრილობა.

ხშირად მუშები უსაქმოდ დადიან, რადგანაც სამუშაო არ არის. ეს, რასაკვირველია, აჭიანურებს საქმეს და მეტ ზარალს ეძლევა სახლს. მიუხედავად იმისა, რომ ზამთრობით მუშაობა არ სწარმოებს, ანგარანის მოსამსახურეები თავის ადგილზე სხედან მთელი შემადგენლობით და არაფერს არ აკეთებენ, რადგანაც გასაკეთებელი არაფერი არ არის.

დროა ა.-კ. რკინისგზის სამმართველომ მიაქციოს ამას ყურადღება.

ახალი.

—:—

დაწესებულებაა თუ საქათმე?

(ქ. გორი)

ქ. გორში დაწესებულებები გორის პირობების მიხედვით შესაფერის ბინებში არიან მოთავსებული. გამონაკლისს შეადგენს მარტო საგადასახადო განყოფილება. ერთ პატარა ოთახში თორმეტი კაცი მუშაობს. ოთახს აქვს ცემენტის იატაკი, რომელიც ორმოებათ არის ქცეული და თუ ფრთხილად არ შევა უცხო კაცი აუცილებლათ მარცხი მოუვა. ამ ოთახს კარები ისე პატარა აქვს, როგორიც საქათმეს.

ფინინსპექციას და საერთოდ საგადასახადო განყოფილებას მეტათ ბევრი ხალხი აწუხებს, სხვადასხვა გადასახადების საკითხისათვის ამის გამო მუშაობა ძნელ პირობებში ხდება.

ბევრი თანამშრომელი უკვე დაავადმყოფებულია ასეთ პირობებში მუშაობით. ამ მდგომარეობას არავინ ყურადღებას არ აქცევს. ეს მდგომარეობა შრომის ინსპექციამაც იცის, პროფკავშირმაც, მაგრამ საკვირველია რათ არ გაუჩნდა ამ საქმეს ვინმე პატრონი. ეგებ ამის შემდეგ ამოიღოს ვინმემ ხმა.

მოსული.

მუშებს დასცინიან

პასტერის და კამოს ქუჩის კუთხეში კეთდება სახლი, რომელსაც აშენებს „სამშენი". მან იჯარით გასცა მიწის ბალავრების ამოღება ალ. ბიძინაშვილზე და არჩილ ლომინაძეზე. ხსენებულმა მოიჯარადრეებმა მოიყვანეს მუშები სოფლიდან და გააჭრევინეს ეს მიწა, მაგრამ როდესაც მუშაობის გათავების შემდეგ მუშებმა თხოვეს ფული მოიჯარადრეებს, მათ ფული ვერ მისცეს, ვინაიდან ფული კარტსა და ქეიფობაში შეეჭამათ. მუშებმა მიიყვანეს მოიჯარადრეები სამშენის კანტორაში, მაგრამ კანტორამ უპასუხა, რომ ჩვენ მათი დავალიანება არ გვაქვსო. მოიჯარადრეები თითქოს დასცინოდნენ მუშებს. ამას ყურადღება უნდა მიაქციოს სამშენმა და შრომის ინსპექციამ.

მახვილი.

აუცილებელია საავადმყოფოს გახსნა

დღეს სურამში მუშა-მოსამსახურეთა რიცხვი უდრის 286 საექიმო დახმარების მხრივ ცუდათაა დაყენებული საქმე. გორისმაზრაში საავადმყოფო არის მხოლოდ ბორჯომში და თვით გორში. რაც შეეხება ზემო ქართლში არც ერთ რაიონში არ არის საავადმყოფო. ხშირია ისეთი შემთხვევა რომ იგზავნება გორის საავადმყოფოში მუშა-მოსამსახურეები. და ადგილის არ ქონის გამო უკანვე აბრუნებენ.

სურამში აუცილებელია საავადმყოფოს გახსნა, რომლის საშუალებით შეუძლიან ისარგებლოს სოფლის მცხოვრებლებმაც და მუშა-მოსამსახურეებმაც. საჭიროა ამ საქმეს მიაქციოს ყურადღება მაზრის ჯანმრთელობის განყოფილებამ.

ე. კალანდაძე.

—:—

საყურადღებო წვრილმანი

შეამცირეთ ხარჯი. არის ისეთი დარგები რკინის გზებზე, რომლის მოსამსახურენი ხელფასის ჯილდოს ღებულობენ თვეში 3—4 ჯერ. ამისთანა დარგთაგანს შეადგენს დეპოს მემანქანეები, მათი თანაშემწეები, და სხ. ესენი ღებულობენ ჯამაგირს, პრემიას, ზედმეტი საათებისას და სხ. ყველაზე მოხსენებულ უწყისის შესადგენად მუშაობს, რამოდენიმე მოანგარიშე. ზედმეტი ხარჯი რომ თავიდან ავიცილოთ უფრო მიზანშეწონილი იქნება, რომ ყველა ნაჩვენები ციფრები იქნეს შეჯგუფებული და ჯამაგირის მიღების დროს მიეცეს ერთდროულად და არა ისე როგორც ეხლა არის თვეში 3—4 ჯერ. გარდა ამისა თვით მიმღებლებსაც ბევრი დრო ეკარგება ფულის მისაღებად.

მუშკორი ძია ლევან.

უნდა დაიფერთხონ აქიდან. ელისაბედის ქუჩაზე, № 127-ში, მეორე თამბაქოს ქარხნის გვერდით დარაბაში ჩასახლდნენ ვიღაც ქალები. აქ ყოველ ღამეს უწესრიგობას აქვს ადგილი, არის ჩხუბი, ყვირილი. ფაბრიკის მოდარაჯე მილიციის წინადადებას ყურადღებას არ აქცევს მილიციამ ზომები მიიღოს.

მახვილი.

— **მუშა ქალთა გაერთიანებული კრება.** (მარელისი, გრეხილ-ავეჯეულობის ქარხანა). ამას წინად მარელისის ქარხანაში შესდგა მუშა-ქალთა გაერთიანებული კრება. დღის წესრიგში იდგა საკითხი: ქალთა შორის მუშაობის შესახებ. ამ საკითხზე მოხსენება გააკეთა ამხ. პლატონ განიძემ, რომელმაც გააცნო კრებას, თუ რა მდგომარეობაში იყო წინად ქალი და რა უფლებებს ანიჭებს დღეს მას საბჭოთა ხელისუფლება.

მოხსენების დამთავრების შემდეგ მიღებულ იქნა პრაქტიკული წინადადებები ქალთა შორის მუშაობის შესახებ.

მათეს ამხანაგი.

— **ჩვენსკენაც შემოიარეთ.** „ვაკე"-ში 200—300-მდე მოსახლეობა ცხოვრობს. აგრეთვე აგურის ქარხნებში მუშაობს 400-მდე მუშა. ჩვენმა უბანმაც მიიღო ელექტრონის სინათლე, ჩვენკენ დაიწყეს საიარული ნავთის და რძე-კარაქის დამტარებლებმა, რითაც მოხარული ვართ. გარდა ამისა სასურველია გაიხსნას ჩვენს უბანშიაც კოოპერატივი ფურნის პურის და ხორცის - მწვანილის დუქანი, აგრეთვე ნახშირის, შეშის და ნავთის საწყობი.

არა გვაქვს სამკითხველო, გაზეთები და სხვა. სანიტარული კომისიაც არ იყურება ჩვენსკენ.

საჭიროა გამოხმაურება.

მტვირთავი მუშა—მიქელაძე.

მუშათა ქრონიკა

— **თვითმფრინავის ასაშენებლად.** ს. პ. კ. ს. პრეზიდიუმმა დაადგინა თვითმფრინავ „საქართველოს პროფკავშირი"-ს და „თბილისის პროლეტარიატი"-ს ასაშენებლად შეკრებილი თანხები შეჯგუფებულ იქნას საქ. პროფსაბჭოში, რომელიც შეტანილ იქნება თბილისის კომუნალურ ბანკში.

— **პროფმოძრაობის უმაღლეს სასწავლებელში.** პროფმოძრაობის უმაღლეს სასწავლებელში მსმენელად საქპროფსაბჭოდან გაიგზავნა ს. პ. კ. ს. პრეზიდიუმის წევრი ახალგაზრდათა შორის მომუშავე ამხ. ალექსანდრე ხომასურიძე.

— **მოჯამაგირეთა დაზღვევა.** ახალციხის სამაზრო პროფბიურო უკვე შეუდგა ახალციხის მაზრაში მოჯამაგირეთა დაზღვევას.

— **სატარიფო თათბირი.** საქ. პროფსაბჭოს სატარიფო განყ. ყველა კავშირების სატ. განყ. თანდასწრებით 3 აგვისტოს, დილის 9 საათზე იწვევს სატარიფო თათბირს უმუშევართა სასადილოების შესახებ.

თბილისის საბჭოს სექციებში

გუშინ საღამოს მორიგი საკითხების განსახილველად შესდგა თბილისის საბჭოს ყველა სექციების სხდომა განათლების სექციის გამოკლებით.

ჯანმრთელობის სექცია

ჯანმრთელობის სექციის გუშინდელ სხდომაზე მოსმენილი იქნა ამხ. **ჩხეტიას** მოხსენება.

თბილისის აგარაკების შესახებ

თბილისის მაზრის ოთხი აგარაკი — მანგლისი, კიკეთი, კოჯორი და წყნეთი ექვემდებარება თბილისის აღმასკომის საკურორტო ქვე-განყოფილებას, რომელსაც ოთხივე ამ აგარაკზე აქვს 1.089 ოთახი, აქედან 222 ოთახი უკავია განათლების კომისარიატის საბავშვო სახლებს. ადგილობრივ ორგანიზაციებს უჭირავთ 37 ოთახი, მუშა - მოსამსახურეებზე გაცემულია 799 ოთახი, კერძო პირებზე 31. კიკეთში ქვეგანყოფილებას აქვს 66 ოთახი, ხოლო წყნეთში 25. ყველა გაქირავებულია მუშა - მოსამსახურეებზე. მანგლისის აგარაკის 208 ოთახიდან მუშა - მოსამსახურეებს უჭირავთ 175 ოთახი, დანარჩენი გადაცემული აქვთ საბავშვო სანატორიუმს და ადგილობრივ ორგანიზაციებს. მიმდინარე წელს გრძელდებოდა მუშაობა თბილისის აგარაკების კეთილმოწყობათ. აგარაკები გაწმენდილ იქმნა ნაგავისაგან, დადგმულ იქმნა სანაგვე ყუთები, გაწმენდილია ჭები, მოგვარებულ იქნა წყლის მიწოდების საქმე და სხვა. მანგლისსა და კოჯორში გახსნილია პოლიკლინიკები, სადაც მუშაობენ ყველა სპეციალობის ექიმები. მანგლისში აგებულია აგრეთვე ახალი სოლარიუმი ბავშვებისათვის. მანგლისში ორ დესეტინაზე გაშენებულია ფიჭვნარი.

მოხსენების გარშემო გამართა აზრთა გაცვლა - გამოცვლა. დასასრულ მიღებულ იქმნა რეზოლიუცია, რომელიც საჭიროდ სცნობს თბილისის მაზრის კურორტების მდგომარეობის გასაუმჯობესებლად გრძელვადიანი საბანკო სესხის გაღებას, გზატკეცილების შეკეთებას, საბინაო საკურორტო მშენებლობის გაძლიერებას და სხვადასხვა ღონისძიებების მიღებას თბილისის აგარაკების სანიტარული გაჯანსაღებისათვის.

საფინანსო სექცია

საფინანსო სექციამ მოისმინა ამხ. **ჩილაჩავას** მოხსენება იმ კომისიის მუშაობის შესახებ, რომელიც დანიშნული იყო ჯანმრთელობის განყოფილების ფინანსიური მდგომარეობის გამოსაკვლევად.

კომისიის დასკვნით ჯანმრთელობის განყოფილების ფინანსიური მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია. ადმინისტრატიული და სამეურნეო ხარჯები სავსებით ნორმალურია და ბიუჯეტის შესრულებაც წესიერად მიმდინარეობს. კომისია საჭიროდ სცნობს მიღებულ იქნეს შემდეგი წინადადება. ჯანმრთელობის განყოფილების ხარჯთაღრიცხვაში საჭიროა შეტანილ იქნეს ხარჯები ავადმყოფების გადასაგზავნად სხვადასხვა სამკურნალო ადგილებში. გარდა ამისა ხარჯები [illegible] კოოპერატივების მიზნით [illegible] განყოფილებების ორგანოები ელექტრო - ენერგიას და წყალს [illegible] ნორმის მიხედვით და ფულს ამისათვის [illegible] განყოფილებების საშუალებით. მომავალი წლისთვის კომისიას შესაძლებლად მიაჩნია აგრეთვე შემცირებულ იქნეს ზოგიერთ ამბულატორიების სამეურნეო ხარჯები და აგრეთვე მივლინებებისათვის საჭირო თანხები.

სექციამ კომისიის წინადადება მიიღო.

სავაჭრო კოოპერატიული სექცია

სავაჭრო კოოპერატიული სექციის გუშინდელ სხდომაზე განხილული იქნა ვაჭრობის დროის მოწესრიგების საკითხი. საქმე იმაშია, რომ სახელმწიფო - სავაჭრო ორგანოები მუშაობენ სწორედ იმ დროს, როდესაც ყველა სახელმწიფო დაწესებულებებსა და წარმოებებში სწარმოებს მეცადინეობა. ამგვარად მუშა - მოსამსახურეთა უმრავლესობა მოკლებულია საშუალებას სახელმწიფო - სავაჭრო და კოოპერატიულ ორგანიზაციებში შეიძინოს საჭირო საგნები. გამოსარკვევია აგრეთვე საკითხი, თუ რამდენად მიზანშეწონილი არის კოოპერატივების ვაჭრობა შუაღამემდე. სექციამ ვაჭრობის დროის და კოოპერატივების ნაგვიანები ვაჭრობის საკითხების მოსაწესრიგებლად გამოჰყო კომისია სექციის ცხრა წევრისაგან.

სექციის ამავე სხდომაზე განხილული იქნა საკითხი ამიერ - კავკასიის სატრანსპორტო კოოპერაციის გამოკვლევის შესახებ. საქმე იმაშია, რომ თბილისში მოქმედი ყველა კოოპერატიული ორგანიზაციები დროგამოშვებით ანგარიშს აბარებენ თბილისის საბჭოს. გამონაკლისს შეადგენს მხოლოდ ა.-კ. მომხმარებელი კოოპერაცია, რომლის მდგომარეობის შესახებ საბჭოს არასოდეს არ მოუსმენია მოხსენება. სექციამ დაადგინა ზემოხსენებული კოოპერატიული ორგანიზაციის მდგომარეობის გამოსაკვლევად გამოჰყოს კომისია სექციის ხუთი წევრისაგან.

კომუნალური სექცია

კომუნალური სექციის გუშინდელ სხდომის დღის წესრიგში დასმული იყო საკითხი **საკანალიზაციო გადასახადის შესახებ.**

მომავალი საბიუჯეტო წლის დამდეგიდან თბილისში სხვა კომუნალურ გადასახადების მსგავსად განზრახულია შემოღებულ იქნეს ე. წ. საკანალიზაციო გადასახადი. ამ გადასახადს აქვს წმინდა მიზნობრივი დანიშნულება და აქედან შემოსული ყველა თანხები მოხმარდება კანალიზაციის გასაფართოებლად და გასაუმჯობესებლად წარმოებულ მუშაობას. გადასახადის აკრეფა იწარმოებს წყლის გადასახადის აკრეფასთან ერთად. წინასწარი ვარაუდით საკანალიზაციო გადასახადის საერთო შემოსავალი იქნება 300 ათას მანეთზე მეტი.

ჩაის კულტურის განვითარების საქმე საქართველოში

ჩაის კულტურის განვითარების საქმე საქართველოში დღითი-დღე ძლიერდება. ჩაი ჩვენში წინადაც არსებობდა, მაგრამ მას მაშინ სათანადო ყურადღება არ ექცეოდა და იგი განვითარების ნაცვლად განადგურების გზაზე იდგა. საბჭოთა ხელისუფლებამ დღიდან თავისი განმტკიცებისა დაიწყო ზრუნვა ამ დიდ მნიშვნელოვანი კულტურის აღორძინება—განვითარების მიმართულებით და მცირე ხნის შემდეგ კიდეც ჩამოაყალიბა სათანადო ორგანიზაცია, რომელსაც სააქციო საზ-ბა „საქართველოს ჩაი" ეწოდება, და ჩააბარა მას ამ კულტურის განვითარების საქმე. ეს საზოგადოება, სულ, დაახლოებით, 2 წელია რაც არსებობს, მაგრამ მან უკვე შესძლო ჩაის საქმის შესამჩნევად წინ წაწევა საქართველოში და მიიპყრო როგორც ცენტრის, ისე ადგილობრივ მოსახლეობის ყურადღება და დააინტერესა იგი ჩაის საქმით. წინად ჩაის პლანტაციის გაშენების საქმეს იშვიათი გლეხი—მეურნე ეტანებოდა და დღეს კი ასობით ღარიბი გლეხობა შეუდგა საქმიანობას და მათ ნაწილობრივ უკვე ჩაჰყარეს თავისი მომავალი ეკონომიური ბედნიერების მკვიდრი საფუძველი.

მეორეს მხრით, მეტად დაინტერესებული არიან ამ კულტურის განვითარების საქმით თვით ცენტრ. უმაღლესი ორგანოები. ჩვენ დღეს შრომისა და თავდაცვის საბჭოსაგან საჭირო სალარათით ერთად უკვე გვაქვს გარკვეული დირექტივები ჩაის პლანტაციების ჩქარის ტემპით განვითარების შესახებ. ამ განკარგულების მიხედვით ჩვენ ხუთი წლის განმავლობაში უნდა გავაშენოთ 20.000 ჰექტარი პლანტაცია და ავაგოთ დასავლეთ საქართველოს ჩაის რაიონებში ჩაის 24 ქარხანა, რომლებმაც ყოველწლიურად უნდა გადაამუშავონ 50 მილიონ გირვანქაზე მეტი ჩაის ფოთოლი.

ცხადია, დიდ საქმეს, დიდ შრომასა და სახსართან ერთად, სათანადოდ მომზადებული მუშაკებიც ესაჭიროება, მაგრამ, ჩვენ სწორედ ამ მხრივ განვიცდით მეტის-მეტ სისუსტეს.

საზოგადოების გამგეობა თავიდანვე უაღრეს ყურადღებას აქცევდა ამ გარემოებას და ცდილობდა შემსუბუქებინა სათანადო ცოდნით აღჭურვილ მომუშავე ძალთა სიმცირის ნიადაგზე აღმოცენებული სიძნელენი, და ცდილობდა როგორმე შეევსო თავის საქმიანობაში ამ მხრივ არსებული ხარვეზები. იგი ეძებდა სათანადო ძალებს და ამზადებდა აგრეთვე ახალგაზრდობასაც მომავალი საქმიანობისათვის. მაგრამ ამ ჟამად ხუთწლიურ გეგმის 20.000 ჰექტარამდე აყვანამ იგი უფრო აამოძრავა და მან გადასწყვიტა მოეწვია მის განკარგულებაში არსებულ ჩაის კულტურის მუშაკთა თათბირი, რათა გამოერკვია თუ რა ძალები ჰყავს მას და რამდენად შესძლებს იგი ამ ძალების საშუალებით მასზე დაკისრებულ დიდ საქმისა და გეგმის პირნათლად შესრულებას. ამავე დროს გამგეობას სურდა ერთგვარი ჯამი გაეკეთებინა მისი წარსული 1—1/2 წლის მუშაობისა და მიღწევებისათვის, შეესწავლა და გაეთვალისწინებია მის წარსულ მუშაობაში არსებული დეფექტები და დაესახა მომავალი პრაქტიკული მუშაობის გეგმა.

ამ მიზნით, მიმდინარე წლის ივნისის 25-ს საზოგადოების გამგეობამ კიდეც მოიწვია ქ. ოზურგეთში თათბირი, რომელშიაც, მის განკარგულებაში მყოფ აგრონომებისა და საზოგადოდ ჩაის კულტურის ირგვლივ მომუშავეთა გარდა, მონაწილეობა მიიღეს თავის წარმომადგენლების საშუალებით საქართველოს, აჭარისტანისა და აფხაზეთის მიწსახკომებმა და აგრეთვე დასავლეთ - საქართველოს მაზრაღმასკომებმა და სასოფლო - სამეურნეო საკრედიტო საზოგადოებებმა.

თათბირმა დააინტერესა ჩაის კულტურასთან ახლოს მდგომი ორგანოები და აგრეთვე ცალკე მუშაკებიც და საკმაო რაოდენობით მიიზიდა ისინი. თათბირზე გამოცხადდა 65 დელეგატი და იგი მეტად ნაყოფიერადაც ჩატარდა.

უპირველესად გაკეთებული იქნა მიმოხილვითი მოხსენება, თუ რა გაკეთებულა სააქციო საზ-ბა „საქართველოს ჩაი"ს დაარსებიდან დღემდე და აგრეთვე რა ნაკლი და მიღწევები ჰქონია მას თავის მუშაობაში.თათბირის განსაკუთრებული ყურადღება მიპყრობილი იქნა აგროკულტურულ მუშაობისა და საცდელ საქმის მიმდინარეობისაკენ. გამოირკვა, რომ, მიუხედავად ამ დარგებში მომუშავე ამხანაგების ენერგიული მუშაობისა, მრავალი საჭირბოროტო საკითხი ჯერ კიდევ სათანადოთ გაუშუქებელ მოუგვარებელი ყოფილა. ამის გამო გამგეობას მომავალში მოუხდება გაორკეცებულის ენერგიით მუშაობა, რათა სამუდამოდ მოუღოს ბოლო იმ დეფექტებს, რომელთაც ადგილი ჰქონდა ჩაის კულტურის განვითარების ირგვლივ წარმოებულ მუშაობაში.

თათბირის მუშაობაში განსაკუთრებით აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ყოველი მომხსენებელი და აგრეთვე კამათში მონაწილენიც ცდილობდნენ რაც შეიძლება დეტალურად გაეშუქებინათ მუშაობის მიმდინარეობაში შენიშნული უარყოფითი მხარეები, გამოერკვიათ მათი არსებობის ნამდვილი მიზეზები და გამოეძებნათ მათი თავიდან ასაცილებელი საშუალებები, რათა მომავალ მუშაობის პროცესში საშუალება მისცემოდათ უფრო შეგნებული და გაბედული ნაბიჯები გადაედგათ წინ ჩაის კულტურის განვითარების მკვიდრ ნიადაგზე დასაყენებლად. თათბირმა აღნიშნა, რომ საცდელ დარგში შენიშნული მუშაობის სისუსტე ნაყოფია საჭირო კვალიფიციურ მუშა-ძალთა ნაკლებობისა და ამიტომ საჭიროდ სცნო მუშაობის ამ დარგში ახალგაზრდობის მომეტებულად ჩაბმა, რათა მომავალში მაინც უზრუნველ ყოფილ იქნეს ეს დიდი საქმე დახელოვნებულ მუშაკების მხრივ. ამხ. **პოკროვსკისა და ხაფავას** მიერ გაკეთებულმა მოხსენებებმა საცდელ საქმის ირგვლივ აშკარად დაგვანახვა, რომ წარსულში ამ დარგში ძლიერ ცოტა რამ გაკეთებულა, და დაგვარწმუნა, რომ მომავალში საცდელ საქმეში ასეთივე ტემპით მუშაობა ბევრს ვერას მოგვცემს და, პირიქით, საშუალებას მოგვისპობს გავანაღდოთ ის დიდი დავალება, რაც საქართველოს ჩაის გამგეობას აქვს დაკისრებული ჩვენი ხელისუფლებისაგან. ამიტომ საჭიროდ იქნა ცნობილი, რომ მომავალში გამგეობის მხრივ გაორკეცებული ყურადღება იქნეს მიქცეული ამ საქმისადმი, რათა დასახული გეგმის განხორციელება მოხდეს უფრო მეცნიერულ ნიადაგზე, ვიდრე ეს დღევანდლამდე იყო.

არა ნაკლებ ინტერესით მიუდგა თათბირი აგრეთვე ჩაის ტექნოლოგიის საკითხს. თათბირმა ანალიზი გაუკეთა ამ დარგში შესრულებულ მუშაობას და აღიარა, რომ ამ უკანასკნელ წლებში, წარსულთან შედარებით, მეტად დიდი ნაბიჯი გადაიდგა წინ, რის შედეგადაც ამ დარგში ამ ჟამად გვაქვს დიდი მიღწევები და ჩაის ღირსების მეტად დიდ გაუმჯობესება. აღინიშნულ იქნა მხოლოდ ჩაის მანქანების გაცვეთა და საჭიროდ იქნა ცნობილი მათი რაც შეიძლება ჩქარა შეცვლა-განახლება, რის სისრულეში მოყვანაც დაევალა საზოგადოების გამგეობას.

პროფ. **ტიმოფეევის** მოხსენებამ ნათლად გააცნო თათბირს ხუთწლიან პერსპექტიულ გეგმაში გათვალისწინებული ღონისძიებანი და მათი მნიშვნელობა, რის შედეგადაც თათბირმა მის მოწონებასთან ერთად აღნიშნა, რომ გეგმით გათვალისწინებულ ღონისძიებათა 5 წლის განმავლობაში შესრულება შესაძლო იქნება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამ საქმეზე მომუშავე ყველა მუშაკები უაღრესის ენერგიითა და გულმოდგინეობით ჩაებმებიან საქმეში და არ დაიშურებენ თავის ღვაწლსა და შრომას.

1926—27 წელს ჩატარებულ თესვითი კომპანიის შესახებ მოხსენება გააკეთა აგრონომმა **გუჯაბერიამ.** მოხსენების გარშემო გაიმართა გაცხოველებული კამათი, რომლიდანაც გამოირკვა გლეხების (პლანტატორების) მიერ სუსტად შესრულება ამ მუშაობის, რაც გამგეობის მიერ იყო დასახული და თავის დროზე გამოქვეყნებული მათდა საყურადღებოდ. მაგალითად, გამოირკვა, რომ პლანტაჟის (ნიადაგის არა ნაკლებ 10—12 ვერშოკის სიღრმეზე გადაბრუნება) გაკეთების ნაცვლად ბევრ პლანტატორის მიერ ნიადაგი უბრალოდ, სულ 6—7 ვერშოკის სიღრმეზე ყოფილა დაფარული, რასაც, რა თქმა უნდა, კარგი შედეგი არ მოყვება. ეს ვერ გაუთვალისწინებიათ პლანტატორ გლეხებს, განსაკუთრებით სამეგრელოში, საცა ჩაის კულტურა მხოლოდ ეხლა იკიდებს ფეხს.

აღნიშნულის გამო, თათბირმა დაადგინა. გაწეულ იქნეს ფართო აგიტაცია ამ მიმართულებით მთესველ მოსახლეობაში და ისეთ პლანტატორს, რომელიც არ დაიცავს პლანტაციის გაშენების წესსა და ნიადაგს 10 ვერშოკის სიღრმეზე ნაკლებ გადააბრუნებს, აღარ მიეცეს დაწესებული სესხი და თესლი, რათა სამუდამოდ ბოლო მოეღოს უწესოდ გაშენების ნიადაგზე აღმოცენებულ პლანტაციის უვარგისობას.

თათბირის მუშაობა დასრულდა 28 ივნისს. მან შესძლო სამი დღის განმავლობაში დეტალურად განეხილა და ამოეწურა ყველა ის საკითხები, რომელიც მას ჰქონდა დასახული. თათბირი ამ ხნის განმავლობაში დაწვრილებით გაეცნო საქმის ვითარებას, აღნიშნა ყველა დეფექტები და გამოიმუშავა მომავალი გეგმიანი მუშაობისათვის საჭირო პრაქტიკული ღონისძიებანი.

თათბირის მუშაობაში სასიხარულო მოვლენად უნდა ჩაითვალოს ის გარემოება, რომ ახალგაზრდა აგრონომები შესამჩნევ საქმიან აქტივობას იჩენენ ამ თათბირზე, რაც იმის მომასწავებელია, რომ მომავალში ჩაის კულტურის საქმეს უფრო მცოდნე და ენერგიული მუშაკები ეყოლება.

ასეთ თათბირსა და ამ ახალ საქმის დარგში აზრის ცოცხალ გაცვლა - გამოცვლას მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს სინამდვილეში და ამიტომ „საქართველოს ჩაი"-ს საზოგადოების გამგეობას განზრახული აქვს ასეთივე და კიდევ უფრო ფართო ხასიათის თათბირები მოიწვიოს ყოველწლიურად.

ა. ქავთარაძე.

ახალი ქარხნები ჭიათურაში

სააქციო საზ-ბა „საქართველოს მარგანეცი" ჭიათურაში შეუდგა ორი ახალი ქარხნის აგებას: ერთ ქარხანაში იწარმოებს მარგანეცის დიდი ნატეხების დაფშვნა და შემდეგ დაფშვნილი მადნის გადაცემა ღარის საშუალებით მეორე ქარხანაში, რომელსაც ეწოდება — გამომცდელი ქარხანა.

პირველი ქარხნის აგებას შეუდგენ საჰაერო რკინის გზის ბოლო სადგურთან, ხოლო მეორე ქარხანას აწყობენ მარგანეცის სარეცხ განყოფილებასთან. ქარხნებისათვის საჭირო მოწყობილობა უკვე მიღებულია და მუშაობას შეუდგებიან უახლოეს კვირაში.

ქარხნების ასაგები გეგმა დასამტკიცებლად გაეგზავნა ს. მ. უ. ს. სამთო სამმართველოს.

ენერგო-მეურნეობის მოწყობა

ა. კ. სახელმწიფო საგეგმო კომისიამ განიხილა საბჭოთა კავშირის ენერგო-მეურნეობის ცენტრალური აპარატის დებულების პროექტი და იგი სცნო დროულად და მიზანშეწონილად.

თანახმად მიღებული პროექტისა, საკავშირო ს. მ. უ. საბჭოსთან არსდება ენერგო-მეურნეობის მთავარი სამმართველო, რომელსაც ეკისრება ელექტ. მეურ. და საკ. სამრეწ. დაწესებულებების გეგმიანი მოწესრიგება, ელექტროფიკაციის და საერთოდ ყველა ენერგიულ საშუალებათა გეგმების მიხედვით.

მთავარ ენერგო-მეურნეობის სამმართველოს („გლავენერგო") ამოცანებს შეადგენს აგრეთვე ელექტროცენტრალების და იმ დაწესებულებების მმართველობა, რომლებიც აწარმოებენ მათ შენებას, ელექტროგადამცემ ხაზების გაყვანას და სხვა.

თავის ძირითად მუშაობაში „გლავენერგო" დაეყრდნობა მის ქვემდებარე საოლქო ენერგობიუროებს.

ამიერ-კავკასიის ს. მ. უ. საბჭოს შექმნამდე, საოლქო ენერგობიურო იარსებებს ა. კ. უმაღლეს ეკონომიურ საბჭოსთან. ა. კ. რესპუბლიკანურ ს. მ. უ. საბჭოსთან ეხლა არსებული საელექტროფიკაციო განყოფილებები გადაკეთდებიან ა. კ. ელექტრო ბიუროს რესპუბლიკანურ განყოფილებათ.

მეცნიერება და ტეხნიკა

კვების საიდუმლოება

ცნობილია, რომ ადამიანისა და ძუძუმწოვარ ცხოველების საკვები შესდგება შემდეგ შემადგენელ ნაწილებიდან: ცხიმებიდან (კარაქი, ქონი), ცილებიდან (უმთავრესად, ხორცი და კვერცხი) და წყლონახშირმანებთან (მწვანილი, სახამებელი, ფქვილი, შაქარი). ეს ნივთიერებანი ყოველ მიზეზს გარეშე საჭირო არიან ორგანიზმისათვის და არც ერთი მათგანის გამორიცხვა კვებიდან არ შეიძლება. სწორედ ამ ნივთიერებებს შეიცავს ჩვენი ჩვეულებრივი საჭმელი. გარდა ამ სასარგებლო ნივთიერებათა (ცხიმები, ცილები და წყლონახშირმანები). არსებობენ კიდევ მთელი რიგი სხვა, ორგანიზმისათვის მეტად საჭირო და აუცილებელი ნივთიერებანი, ესენი არ არიან—ე. წ. „**ვიტამინები**" („ვიტა"—ლათინურად ნიშნავს სიცოცხლეს). თუ ვიტამინები მცირე რაოდენობით მოიპოება საჭმელში, თავს იჩენენ მეტად მძიმე ავადმყოფური მოვლენები, რომლებსაც, უმრავლეს შემთხვევებში, ადამიანის, ან ცხოველის სიკვდილი მოსდევს შედეგათ.

ვიტამინები ქიმიურად ჯერ კიდევ არ არის ისე ზედმიწევნით შესწავლილი, როგორც ცხიმები. ცილი და წყლონახშირმანები ახლა უკვე დაახლოვებით გამორკვეულია, თუ რომელ პროდუქტებში მოიპოება ვიტამინები, რადგან ავადმყოფობანი და ამ ავადმყოფობათა ნიშნები, რომლებსაც იწვევს საკვებში ვიტამინების უქონლობა, ჰქრებიან, როგორც კი იწყებენ ისეთი საჭმლის მიღებას, რომელიც ვიტამინებს შეიცავს.

ამჟამად უკვე სარწმუნოდ არის გამორკვეული, რომ არსებობს ვიტამინების სამი ჯგუფი. თითეული ეს ჯგუფი არსებითად განსხვავდება სხვებისგან და არც ერთს მათგანს არ შეუძლია მეორის მაგიერობა გასწიოს. ვიტამინების ამ ჯგუფებს აღნიშნავენ ასოებით **A, B** და **C** (ა, ბ, ც).

A ჯგუფის ვიტამინები მოიპოებიან უმთავრესად ცხიმებში. ასე მაგალითად, ამ ჯგუფის ვიტამინები დიდის რაოდენობით მოიპოება თევზის ზეთში. შემდეგ—კარაქში, ერბოში და სხ. თუ საჭმელში არ მოიპოება **A ჯგუფის** ვიტამინები, იწყება რახიტია (ბავშვების) ინგლისური ავადმყოფობა. რაც შედეგია იმის, რომ ძვლებში არასაკმაო რაოდენობით მოიპოება კირი. ამის გამო ძვლები სუსტია.თუ ორგანიზმს საკმაო რაოდენობით ჰკვებავენ თევზის ქონით, ეს ავადმყოფური მოვლენები ჰქრება.

B ჯგუფის ვიტამინები მოიპოება ბრინჯის გარსში. თუ ადამიანი იკვებება მხოლოდ სავსებით გაწმენდილ (ე. წ. „გაკრიალებულ") ბრინჯით, საქმე მიდის ნერვების მძიმე ანთებამდე, რაც მთელ ორგანიზმზე ვრცელდება და შემდეგ დამბლის დაცემით თავდება. ეს ავადმყოფობა ყველაზე ხშირად გვხდება ქვეყნებში, სადაც ბრინჯი შეადგენს მოსახლეობის, განსაკუთრებით მისი მშრომელი ფენების კვების მთავარ პროდუქტს—ჩინეთში, იაპონიაში, იავაზე, სუმატრაზე—და მას ეწოდება იქ „ბერი-ბერი". თუ ადამიანი თავის დროზე დაიწყებს კვებას გაუწმენდავი ბრინჯით, ავადმყოფობისაგან განკურნება შესაძლებელია.

C ჯგუფის ვიტამინები მოიპოება უმთავრესად ბოსტნეულში და ხილში (ვაშლებში, ლიმონში, ფორთოხალში). თუ ეს ვიტამინები არ მოიპოება საჭმელში, იწყება დაავადება სურავანდით („ცინგა") და სხვა მსგავს სნეულებით.

ყველაზე მნიშვნელოვანია ის, რომ ვიტამინების სამივე ჯგუფი დიდი ხნის განმავლობაში ვერ უძლებს სითბოს და იშლება, როგორც დიდი ხნის ხარშვისგან, ისე მშრალათ გახმობის გამო. ამიტომ ყოველგვარი ბოსტნეული, ხილი და საერთოდ ვიტამინების შემცველი ყველა საკვები ნივთიერებანი არ უნდა ამზადონ დიდი ხნის განმავლობაში და არც ძლიერ გაათბონ.

დედის რძე ფრიად მდიდარია **A** და **C** ჯგუფის ვიტამინებით, რომლებიც თვალსაჩინო როლს თამაშობს ბავშვის ზრდისა და განვითარების საქმეში. აქედან ნათელია, თუ რატომ არის, რომ ექიმები ურჩევენ დედებს თვითონ ჰკვებონ თავიანთი ბავშვი, ან და, თუ ეს რაიმე მიზეზების გამო შეუძლებელია, აძლიონ მას ე. წ. პასტერიზაციქმნილი რძე (რძე, რომელიც დიდხანს არ უდუღებიათ, ან ძლიერ არ გაუთბიათ).

უკანასკნელ ხანებში ფიქრობენ, რომ არსებობენ აგრეთვე **Д** ჯგუფის ვიტამინები. ნაწილობრივ ეს უკვე დაამტკიცეს. **Д** ჯგუფის ვიტამინი მოიპოება ცხიმებში და როცა ადამიანი იკვებება ისეთი საჭმელით, რომელშიც ის არ არის, იწყება თვალის ავადმყოფობა.

ექ. ფრიც ლოში.

29 ივნისის მზის დაბნელების შედეგები

თანდათანობით ირკვევა ასტრონომიულ ექსპედიციების მიერ 29 ივნისის მზის დაბნელების დროს მიღებული მთავარი შედეგები.

ამინდი ხელს უწყობდა მუშაობას სამეთვალყურეო პუნქტებს უმრავლესობის რაიონში. ცა ამ პუნქტებში ან სრულიად მოწმენდილი იყო, ან მხოლოდ ნაწილობრივ იყო დაფარული ღრუბლებით.

დაბნელების ზოლი გადიოდა ინგლისზე, სამხრეთ-ნორვეგიაზე, შემდეგ შვეციაზე, ჩრდილოეთ ფინეთზე და ნორვეგიით აღწევდა ჩრდილოეთ ყინულოვან ოკეანემდე და იქიდან კვლავ ხმელეთამდე—ჩრდილოეთ - აღმოსავლეთ ციმბირის სანაპიროებამდე.

ექსპედიციები დაბანაკდენ ინგლისში, ნორვეგიაში და ფინეთში.

ინგლისში დაბნელება დაიწყო ჩქარა მზის ამოსვლის შემდეგ და სრული ფაზის ხანგრძლივობა აქ ცოტათი აღემატებოდა ოც წამს. ნორვეგიაში, შვეციაში და ფინეთში სრული დაბნელების ფაზა გაცილებით ხანგრძლივი იყო და ჩრდილოეთში აღწევდა 44 წამამდე. აქ ზოგად, უკანასკნელი მზის დაბნელება ძლიერ ხანმოკლე იყო (ყველაზე ხანგრძლივია მზის დაბნელება ეკვატორიალურ ზონაში. აქ ის გრძელდებოდა 7 წუთამდე!) ასტრონომებს უხდა ემუშავა ისეთი სისწორით, როგორც მანქანებს, რომ ამ რამოდენიმე წამების განმავლობაში შეუცდარათ შეესრულებიათ თავიანთი საპასუხისმგებლო ამოცანა.

ინგლისში მიიღეს მზის გვირგვინის მშვენიერი სურათები. აქ ცა ნაწილობრივ დაფარული იყო ღრუბლებით, რომლებიც დაბნელების შუა ხანებში გაიფანტნენ. სამხრეთ-ნორვეგიაში ყველაზე არახელსაყრელი პირობები იყო და ექსპედიციების ნაწილმა ვერ შესძლო თავისი ამოცანების შესრულება. რამდენათაც ექსპედიციები იმყოფებოდენ უფრო შორს, ჩრდილოეთ-აღმოსავლეთისაკენ, იმდენათ პირობები უკეთესი იყო. შვეციაში ექსპედიციების უმრავლესობა მუშაობდა ქ. ხელვიგვარის მიდამოებში. იქვე მუშაობდენ რუსეთის ექსპედიციები: პულკოვისა და მოსკოვის.

ამ რაიონში ცა თითქმის სავსებით მოწმენდილი იყო და მხოლოდ დაბნელების დაწყების შემდეგ გამოჩნდენ ღრუბლები. ყველაზე ხელსაყრელი პირობები ხვდა პულკოვის ექსპედიციას, რომელიც, სხვათა შორის უნდა აღინიშნოს, სხვა ექსპედიციებზე უკეთ იყო მოწყობილი. პულკოველმა ასტრონომებმა თავიანთი ამოცანა თითქმის სავსებით შეასრულეს.

პულკოვის ექსპედიციამ გადაიღო მზის გვირგვინის შესანიშნავი სურათები. სპექტრალურ სურათებიდან განსაკუთრებით საინტერესოა მზის პირველი და უკანასკნელი სხივის „ანთების" სურათები. რომელთა გადაღება მზის ყოველი დაბნელების დროს როდი ხერხდება. ასტრონომიულ დაკვირვებებ გარდა ხელვიგვარში აწარმოებდენ მრავალრიცხოვან გეოფიზიკურ გამოკვლევებსაც, რომლებსაც შეუძლიათ შუქი მოჰფინონ მეტეოროლოგიურ და ზოგიერთ ელექტრონულ მოვლენების დამოკიდებულებას გამოსხივებისაგან.

170 კილომეტრის მანძილზე ხელვიგვარიდან, ჩრდილოეთ - აღმოსავლეთით, უკვე ფინეთის საზღვრებში დაბანაკებული იყო რუსეთის სამეცნიერო საზ-ბის ექსპედიცია. იქვე დაკვირვებებს აწარმოებდა პროფ. **სიკორა** (პრაღიდან) ამ პუნქტში ცა სავსებით მოწმენდილი იყო და დაკვირვებები ჩატარებულ იქნა მთლიანად.

საერთო დასკვნებიდან უნდა აღინიშნოს, რომ მზის გვირგვინი ამ დაბნელების დროს განსაკუთრებით ლამაზი იყო. მის სინათლეზე სავსებით თავისუფლად შეიძლებოდა საათზე ისრის მოძრაობისათვის თვალყურის დევნება და ფანქრით ნაწერის წაკითხვა. მზის გვირგვინის სხივები კარგად შეეფარდებოდენ მდებარეობას პროტუბერანცებისას, რომლებიც მეტად მრავალრიცხოვანი იყვნენ ამ დაბნელების დროს. გვირგვინის სპექტრში შენიშნულ იქნა ცნობილი **მწვანე ზოლი,** რომლის წარმოშობა ჯერ კიდევ ბნელით არის მოცული.

ჰაერის ტემპერატურა დაბნელების დროს ეცემა საშუალოდ ორი გრადუსით და ამიტომ ღრუბლიანობა ზრდის ტენდენციას იჩენს.

ს. სელივანოვი.



მზის დაბნელების ცალკე მომენტები. სურათები გადაღებულია ინგლისში.

—:—

ელექტროფიკაცია და მებოსტნეობა

ელექტროფიკაცია და მებოსტნეობა

შვეციის მებოსტნეობის ინსტიტუტი ორი წელიწადია აწარმოებდა ბოსტნეულის ელექტროფიკაციის ცდებს. ეს ცდები ამჟამად დასრულებულია და მიღებულია მეტად საინტერესო შედეგები.

საცდელი კვალების უბრალო გათბობამ საუკეთესო შედეგები გამოიღო. ამ მიზნით მიწაში დაგებულ იქნა შესაფერი მავთულები, რომლებშიც უშვებდენ ელექტრონის დენს და ნიადაგი თანაზომიერად თბებოდა. ამ გზით, ისე როგორც ზაფხულში, ნოემბერში, დეკემბერში და თებერვალში შეიძლებოდა სალათისა და სხვა ამგვარი ბოსტნეულის მოყვანა. ელექტროფიკაციამ საქმეს არ უშველა მხოლოდ იანვარში, რადგან სტოკჰოლმში მზე ამ დროს ისე სუსტად ანათებდა, რომ მარტო ნიადაგის გათბობამ ელექტრონის ენერგიით არ იკმარა.

მებოსტნეობის ელექტროფიკაცია დიდ ხარჯებს მოითხოვს, უმთავრესად მოწყობილობის შეძენის და დადგმის მხრივ. თვით ამ მოწყობილობათა ამუშავებაზე ძლიერ ცოტა იხარჯება. ასე მაგალითად. 28 მეტრის სიგრძე კვალზე თვეში იხარჯება 20 შვედური კრონა (შვედური კრონა=48 კაპ.), შემოსავალი კი ათჯერ სჭარბობს ხარჯებს.

შვეციის მებოსტნეობის ინსტიტუტი ამჟამად მიზნად ისახავს ქართოფილის ზრდის დაჩქარებას. ამ ინსტიტუტის დირექტორის პროფ. **ლინდას** აზრით. სტოკჰოლმის მოსახლეობა უკვე გაისად იგემებს ელექტრონის საშუალებით მოყვანილ ქართოფილს.

ელექტრონის ქვაბები

ლანკაშირის ქვაბების კომპანიამ (ინგლისში) ააგო ქვაბები, რომლებშიც ორთქლის წარმოშობა ხდება ელექტრო-თბობის საშუალებით. ქვაბის შიგნით გაყვანილია მავთულები, რომლებშიც უშვებენ ელექტრონის დენს. მავთულები ისე ძლიერად ხურდება, რომ წყალი იწყებს დუღილს.

ახალ ქვაბებს უდიდესი უპირატესობა აქვთ ძველების წინაშე. მათ გაცილებით ნაკლები ადგილი უჭირავს. გარდა ამისა, ის გარემოება, რომ საჭირო აღარ არის დიდძალი საწვავი მასალის მარაგი შენახვა, იძლევა სასარგებლო სივრცის დიდ ეკონომიას და შესაძლებლად ხდის სისუფთავის დაცვას სამანქანო განყოფილებებში.

გასაკვირალი მცენარე

გერმანული გაზეთების ცნობით, ინდოეთში, ტროპიკულ მაღლობებზე იზრდება მცენარე, სახელწოდებით „ლუკუტა", რომელსაც აქვს თვისება გაახალგაზრდავოს ყველა, ვინც მისი ნაყოფით იკვებება.

სპილოების, თუთიყუშების და ზოგიერთ ცხოველების სიცოცხლის ხანგრძლივობა თითქო იმით აიხსნება, რომ ისინი „ლუკუტას" ნაყოფით იკვებებიან.

ინდიელმა პროფ. **მარაკამ,** რომელიც შეუდგა ამ მცენარის ნაყოფის თვისებების შესწავლას და მათ შესახებ მოხსენება გააკეთა ინდოეთის ექიმთა საზოგადოებაში, განაცხადა, რომ ყველაზე მოხუცებული სპილო (96 წლის), რომელიც ტყვეობით ჰყავდათ და ცუდათ გრძნობდა თავს, მაშინვე მომჯობინდა, როგორც კი დაიწყეს მისი კვება ამ მცენარის ნაყოფით და მას მემკვიდრეები გაუჩნდა. პროფ. **მარაკა** მიუთითებს მეორე შემთხვევაზე, როცა მომაკვდავი სპილო განიკურნა, როცა მას აჭამეს ამ მცენარის ნაყოფი. პრო. **მარაკას** სიტყვით, როცა ბებერ თუთიყუშს აჭამეს ეს ნაყოფი, ის თითქმის გაახალგაზრდავდა, ფრთები გაულამაზდა.

კიდევ უფრო მეტი—ინდოეთში არის ხალხი, რომელიც ამ მცენარის ნაყოფით იკვებება. ეს არის შურაგატის ტომი. ამ ტომის წარმომადგენლები არიან ლამაზი, ახოვანი და მათ შორის მოიძებნებიან არა მარტო ასწლოვანები, არამედ 130-140 წლიანებიც, რომლებიც ჩვენებურ 70 წლიანებს ჰგვანან.

ბერლინის ჟურნალ-გაზეთების ამ ცნობას ერთგვარის სიფრთხილით უნდა მოვეპყრათ, სანამ დამადასტურებელი ცნობები არ იქნება მიღებული უფრო საიმედო წყაროებიდან.

კოსმიური სხივები—სიცოცხლის წყარო დედამიწაზე

ფიზიკამ უკვე დიდი ხანია აღნიშნა არსებობა განსაკუთრებული სახის მძლავრი სხივების, რომლებიც მოდიან სამყაროს სივრციდან და რომლებსაც ახასიათებს მაღალი სხეულებში გავლის თვისება. ამ სხივების „გამკვეთი" თვისებების დასახასიათებლად საკმაო არის აღინიშნოს, რომ ისინი ატანენ ორი მეტრის სისქის ტყვიის ფენაში, ეს იმ დროს, როცა დღემდე არსებული ყველაზე უფრო ძლიერ „გამკვეთ" სხივებს—რენტგენისა და რადიუმის სხივებს აჩერებს რამოდენიმე მილიმეტრის სისქის მქონე ტყვიის ფირფიტა.

წარმოშობა ამ სხივების, რომლებიც მეცნიერებაში ცნობილია „მილიკენის სხივების" სახელსაწყოებით დღემდე გამოკვლეულია. ფიქრობენ,რომ ეს სხივები ჩნდება მზეზე და სხ. ვარსკვლავებზე ელექტრონებიდან მატერიის წარმოშობის პროცესში.

ამ რამოდენიმე ხნის წინათ კოლუმბიის უნივერსიტეტის **პროფესორმა პუპინმა** ის აზრი გამოსთქვა, რომ მიზეზსა და წყაროს სიცოცხლის ყოველგვარ პროცესებისას დედამიწაზე წარმოადგენენ სწორეთ მილიკენის სხივები. როგორც ვიცით, სიცოცხლის ყოველგვარ პროცესებს თან სდევს იონიზაცია (ნივთიერების რთული მოლეკულის დაშლა ორ ნაწილად, რომელთაგან ერთი დატენილია დადებითი, მეორე კი—უარყოფითი ელექტრობით). მილიკენის სხივებს აქვს ენერგიული იონიზაციის გამოწვევის თვისება. ეს ფაქტი საბაბს აძლევს პროფ. პუპინს ჩასთვალოს მილიკენის სხივები სიცოცხლის ენერგიის წყაროთ დედამიწაზე.

„მიოსალვარსანი"

პირველ ხანებში ერლიხის სალვარსანს უშხაპუნებდენ კუნთებში, მაგრამ შემდეგში ექიმები იძულებული შეიქნენ ხელი აეღოთ მკურნალობის ასეთ წესზე რადგან სალვარსანის შეშხაპუნების ადგილზე ჩნდებოდა ავადმყოფური სიმსივნეები.

დიდ ნაბიჯს წინ—სალვარსანის გამოყენების საქმეში—წარმოადგენდა სალვარსანის შეშხაპუნება ვენის შიგნით, რა მეთოდითაც სარგებლობენ დღემდე. მაგრამ პრაქტიკამ დაამტკიცა, რომ სალვარსანის შეშხაპუნება ვენის შიგნითაც დიდ დაბრკოლებებთან არის დაკავშირებული. ეს შეეხება მსუქან პიროვნებებს, რომელთა ორგანიზმში ვენები ღრმად არის დამალული ქონს ქვეშ და ამიტომ მიუწვდომელია ექიმისათვის. ასევე ითქმის პატარა ბავშვებისათვის, რომელთათვის სალვარსანის შეშხაპუნება ვენაში საერთოდ ძნელია. გარდა ამისა, სალვარსანის შეშხაპუნება ვენაში საშიშია იმ შემთხვევაში, თუ ვენაზე გავრცელებული სიფილიტიური ან სხვა პროცესი.

პროფ. კოლლემ და მისმა თანამშრომლებმა ფრანკფურტის ქიმიო-თერაპევტიულ ინსტიტუტში მოახერხეს დაემზადებინათ ისეთი პრეპარატი სალვარსანისა, რომელსაც აქვს უკანასკნელის ყველა თვისებები და შესაძლებელია მისი შეშხაპუნება (უმტკივნეულოდ). როგორც კანს ქვეშ, ისე ვენაში. ეს პრეპარატი, რომელსაც „მიოსალვარსანი" უწოდეს უკვე გამოსცადეს ავადმყოფების დიდ რიცხვზე ფრანკფურტის უნივერსიტეტის კლინიკაში და მან სავსებით გაამართლა მასზე დამყარებული იმედები.

ახალი ორმაგი ორთქლმავალი



სურათზე—გერმანიაში აგებული ახალი ორმაგი ორთქლმავალი



თანახმად ამხ. ფანცულაიას გამოწვევისა თვითმფრინავ „თბილისის პროლეტარიატის“ სასარგებლოდ შემომაქვს ხუთი მანეთი და ვიწვევ შემდეგ ამხანაგებს: მცხეთის 7 წლედის გამგეს ვანო გარსევანიშვილს, მცხეთის ეპოს გამგეს იოსებ ნამურაძეს და მცხეთის საკრედიტო ამხ. გამგეს ვასო თათარაშვილს.

ვანო ფრუიძე.

საგარეჯოს თემკომის სახელით შემომაქვს თვითმფრინავ „თბილისის პროლეტარიატის“ ფონდის გასაძლიერებლად 22 მან. და 35 კაპ. და ვიწვევ სართიჭალის, გომბორის, მარტყოფის, ახურეთის; მცხეთის და ავჭალის თემკომებს.

საგარეჯოს თემკომის პ. მ. მდივანი **გ. გოგოლაშვილი.**

ამხ. აკაკი მელქაძის გამოწვევით შემომაქვს თვითმფრინავ „თბილისის პროლეტარიატის“ ფონდის გასაძლიერებლად სამი (3) მანეთი, და ვიწვევ შემდეგ ამხანაგებს — პროფკავშირებიდან: თომა გიგინეიშვილს, სერგო ახობაძეს, გიორგი კახიანს, სევერიანე კვანტალიანს და ბესარიონ კოხრეიძეს.

ი. ჭახნაკია.

ამხ. დომენტი სტურუას და ლიპა კოპალეიშვილის გამოწვევით შემომაქვს სამი მანეთი თვითმფრინავ „თბილისის პროლეტარიატის“ სასარგებლოდ და ვიწვევ შემდეგ ამხანაგებს: ქუთაისიდან — სანდრო ღოღობერიძეს, დათიკო დოლიძეს, კონა მცხადაძეს, კულაშიდან— ივანე კვინიხიძეს და აპოლონ ხაჟალიას.

სერგო ახობაძე.

ამხ. ლიპა მიქაძე - კოპალეიშვილის გამოწვევით შემომაქვს 3 მანეთი თვითმფრინავ „თბილისის პროლეტარიატის“ ფონდის გასაძლიერებლად და ვიწვევ ამავე თანხით შემდეგ ამხანაგებს: ვანის საკრედიტო ამხანაგობიდან— ბეჟუ გოგორიშვილს, ტარიელ ახვლედიანს, დიმიტრი დოსამიძეს და ალექსანდრე ჩუბინიძეს, გლეხკომიდან — გალაქტიონ ვაშაყმაძეს და კოლია გიორგაძეს.

შალვა კიმოთეს ძე კოპალეიშვილი.

შემომაქვს თვითმფრინავ „თბილისის პროლეტარიატის“ ფონდის გასაძლიერებლად საგარეჯოს თემში თავდაცვის კვირეულის დროს შეგროვებული 101 მან. და 35 კაპ.

გ. გოგოლაშვილი.

თვითმფრინავ „თბილისის პროლეტარიატის“ ფონდის გასაძლიერებლად შემომაქვს 5. მან. და ვიწვევ შემდეგ ამხ. ოზურგეთის ქარხნიდან —კალანდაძეს, ბაბაევს და ალიხვერდოვს. ხონის ქარხნიდან მოსიკო ჭელიძეს, ჩიქოვანს და მესროპიანცს.

აკაკი დუნდუა.

ჩვენ საბჭოთა და სავაჭრო მუშაკთა კლუბის პატარა წევრებმა ჩვენ საბავშვო მოედანზე ძია გაბოს თაოსნობით შევაგროვეთ 1 მან. 76 კაპ., რომელიც შემოგვაქვს „თბილისის პროლეტარიატ“-ის ფონდში და ვიწვევთ თბილისის მუშათა კლუბების ყველა პატარა წევრებს.

ამხ. ვასილ ჩიტაშვილის გამოწვევით შემომაქვს სამი მანეთი თვითმფრინავ „თბილისის პროლეტარიატის“ ფონდის გასაძლიერებლად და ვიწვევ შემდეგ ამხანაგებს: ნორიოს აღმასკომის თავმჯდომარეს ნ. მეჩაბლეს, აღმ. მდივანს ვ. ჩხეიძეს, თემკომის პ.-გ. მდივანს დ. ჩათენაძეს, კოოპერატივის გამგე მ. თუშმალიშვილს და ექიმ ზემლიანსკის.

შალვა დავითულიანი.

ა. და ბ. ელიგულაშვილების გამოწვევით შემომაქვს თვითმფრინავ „თბილისის პროლეტარიატი“-ს ფონდის გასაძლიერებლად, (2) ორი მანეთი და ვიწვევ შემდეგ ამხანაგებს: მარო კოსტავას, (ქუთ. ქ.-გ. გამგეს), ელენა კუჭავას, თამარ საჯაიას; ექ. დავით რიჟინაშვილს, ინჟ. მიხაკო ხანანაშვილს, მაშო მეკინულოვას და ლიუბა მინოვიჩს.

როზა თავდიდიშვილი.

დღეს შემოვიდა 124. მან. 11 კაპ.

სულ წინეთ შემოსულთან ერთად 5.819 მან. 70 კაპ. და ერთი ოქროს მაჯის საათი.

ქრონიკა

პროფ. გიორგიევსკი თბილისში

გუშინ ესენტუკიდან თბილისში ჩამოვიდა ლენინგრადის უნივერსიტეტის პროფესორი გიორგიევსკი.

ამხ. აშრაფიანის ჩამოსვლა

თბილისში ჩამოვიდა სომხეთის იუსტიციის სახალხო კომისარი ამხ. აშრაფიანი.

ფართალი

ამჟამად მთელ ამიერ - კავკასიაში და კერძოდ საქართველოში დიდი მოთხოვნილებაა ყოველგვარ ფართლეულობაზე. ივლისის განმავლობაში თბილისის კოოპერატივებში გაიყიდა 10 ვაგონი სხვადასხვა ფართლეულობა.

ახლო მომავალში ა. - კავკასიაში შემოზიდული იქნება 230 ვაგონი ფართალი. აქედან 95 პროცენტი დაურიგდება კოოპერატივებს.

სტუდენტთა ექსკურსია

ოთხშაბათს, 3 აგვისტოს თბილისის პროლეტარული სტუდენტთა ბიურო აწყობს თბილისის უმაღლეს სასწავლებლების სტუდენტთა ექსკურსიას საბჭოთა კავშირის სხვადასხვა ქალაქებში.

ექსკურსიის გეზი: მოსკოვი, ლენინგრადი, ხარკოვი, კიევი და სხვ. ექსკურსიას ხელმძღვანელობენ პროფესორები.

სავარჯიშო სროლა

თბილისსა და მისი მიდამოების კომენდანტის სამმართველო აცხადებს მოქალაქეთა საყურადღებოდ, რომ 3 აგვისტოდან 15 აგვისტომდე ყოველდღიურად ტყის მახლობლად იწარმოებს საველო-საარტილერიო სროლა.

თბილისის აღმასკომში

◆ **ახალი ლაბორატორია.** ჯანმრთელობის განყოფილებამ გადასწყვიტა თბილისში მოეწყოს კლინიკა-დიაგნოზის ლაბორატორია.

◆ **ბრძოლა დასილვასთან.** კახეთის მოედანზე კეთილმოწყობის განყოფილება შეუდგა წყალდიდობის საწინააღმდეგო გვირაბების მოწყობას.

◆ **მუშათა სახლები.** ზაჰესის რაიონში ამჟამად შენდება მუშათა 4 ახალი სახლი.

◆ **ადგილობრივი მრეწველობის** განყოფილება წელს ახალი ფაბრიკა - ქარხნების აგებაზე და ძველების შეკეთებაზე დახარჯავს 500.000 მანეთს.

მიწად-მოქ. სახ. კომისარიატში

◆ **ყურძნის წვენი.** სახალხო მამულების ტრესტებმა გადასწყვიტეს დამატებით გამოუშვას ბაზარზე 2.000 ბოთლი ყურძნის წვენი.

◆ **სამიწადმომწყობო კურსები.** მიწსახკომს განზრახვა აქვს მომავალ სასწავლო წლიდან მოაწყოს მიწადმოწყობის საქმის მცოდნეთა მოსამზადებელი კურსები.

სახალხო განათლება

◆ **კოოპერატიული სპეცკურსები.** თბ. განათლების განყოფილებას განზრახვა აქვს მე-4, მე-43 და მე-82 შრომის სკოლები გადააკეთოს კოოპერატიულ სპეცკურსებად.

◆ **საწარმოო - სამხატვრო კურსები.** საფეიქრო, ჭურჭლეულობის და მინის წარმოების ორგანიზაციისათვის კვალიფიციურ მუშაკების მოსამზადებლად თბილისში ეწყობა საწარმოო-სამხატვრო კურსები.

◆ **ახალი სკოლები.** თბილისის განათლების განყოფილება მომავალ სასწავლო წლიდან მაზრაში ხსნის გლეხთა ახალგაზრდობის 3 ახალ სკოლას.

შრომის სახ. კომისარიატში

◆ **ხელფასის გაუმჯობესება.** სოფლად მომუშავე ექიმების ხელფასის და საერთოდ მატერიალურ მდგომარეობის გასაუმჯობესებლად შრომის კომისარიატი შეუდგა სათანადო ზომების მიღებას.

◆ **სურამის საბავშვო ახალშენში** მომუშავეებს ხელფასი გაუდიდდათ 15 პროცენტით.

სხვა და სხვა

◆ **თამბაქოს მოსავალი.** წელს საქართველოში დამზადებული იქნა სულ 725.800 ფუთი თამბაქო.

◆ **ა.-კ. კოოპერატივთა კავშირმა** დაამტკიცა 15 ახალი კოოპერატიული ორგანიზაცია.

◆ **ფასების დაკლება.** 25 აგვისტოდან მუშკოოპებში გაატარებენ შალეულობაზე ფასების დაკლების ახალ წესებს.

◆ **ა.-კ. ფ.-ტ. საოლქო** სამმართველომ ბათომის სატელეფონო ქსელის გადასაკეთებლად გადასდო 30.000 მან.

◆ **ავტო - კლუბთან.** კლუბის წევრებისათვის მოეწყო მონადირეთა სექცია.

◆ **ზემო - ავჭალის** მცირე-წლოვან დამნაშავეთა ახალშენი განზრახულია გადაეცეს შინაგან საქმეთა სახ. კომისარიატს.

შემთხვევები

◆ **სომხის ბაზარში** 31 ივლისს თედორე კოჩოევს ჯიბიდან ამოაცალეს 200 მანეთი.

◆ **ჩხუბის დროს.** 31 ივლისს ავლო ბროევს ჩხუბი მოუვიდა აბრამ გოგიძესთან, რის დროსაც ბროევს ერთ-ერთმა გამშველებელთაგანმა ამოაცალა 70 მანეთი.

◆ **დაკარგვა.** აწჩისხატის ქ. 15 მცხოვრებმა მოქ. გრიგურიანცმა მილიციას განუცხადა, რომ მისი შვილი ოგანეზ ტიგრანის ძე გრიგორიანცი 17-18 წლისა 30 ივლისს გავიდა სახლიდან და უკან აღარ დაბრუნებულა.

◆ **დაჭრა.** 31 ივლისს ვარლამ ღალანიძემ დანით დასჭრა არტემ კოპალეიშვილი. დამნაშავე შეიპყრეს.

◆ **მტკვარში ბანაობის** დროს მუხრანის ხიდთან წყალმა გაიტაცა ნიკოლოზ ოსკერენკო, რომელიც გადარჩენილი იქნა წყალში დაღრჩობისაგან გადამრჩენ პუნქტის მიერ.

◆ **მთავარ ფოსტაში** ფრიდონ გაბილაშვილს 30 ივლისს ჯიბიდან ამოაცალეს 233 მანეთი.

◆ **ქალაქ კარაკლისში** მცხოვრებმა მნაცაკან გამბარიანცმა განუცხადა მილიციას, რომ მისი შვილი გეურქა გამბარიანცი რამდენიმე კვირის წინ კარაკლისიდან გამომგზავრა თბილისისაკენ და მის შესახებ დღემდე არავითარი ცნობა არ არის.

◆ **ბოლქომის გატეხის** საშუალებით 31 ივლისს ნიკოლოზის ქ. 109 გაქურდეს ვავან მურადოვის ბინა. წაიღეს 136 მ. ნივთები.

◆ **სახმედ - ვაჭრობის** მესამე მაღაზიიდან 31 ივლისს მოიპარეს სხვადასხვა საფეიქრო საქონელი.

◆ **რომანიულ ნიადაგზე** 30 ივლისს იურიევის ქ. 26 ვერა ლაშკევიჩმა რევოლვერით დაიჭრა თავი. დაჭრილი გადაიგზავნა საავადმყოფოში.

◆ **მიწის ჩამონგრევა.** გუდოვიჩის და ჟუკოვის ქუჩების კუთხეში ახალ შენობისათვის მიწის გათხრის დროს ჩამოინგრა მიწა და ქვეშ მოიყოლია მუშა იოსებ სარქისიანცი, რომელიც მძიმედ დაშავდა.

საქართველოს ცაკში

პენსიები და დახმარებები

სრ. საქართველოს აღმასრულებელი კომიტეტის სოციალურ უზრუნველყოფის განყოფილებაში მიღებული ცნობებით: სამი თვის განმავლობაში (აპრილში, მაისში და ივლისში) ქუთაისის აღმასკომის სოციალურ უზრუნველყოფის განყოფილებამ თავის საშუალებებიდან დაურიგა: ინვალიდებს, წითელარმიელების ოჯახებს, ქვრივებს და ობლებს პენსიების და დახმარების სახით—7.683 მანეთი და 85 კაპ. ფოთის აღმასკომის სოციალურ უზრუნველყოფის განყოფილებამ დაარიგა — 2.070 მანეთი და 12 კაპ.; ამავე დროის განმავლობაში ოზურგეთის აღმასკომის უზრუნველყოფის განყოფილებამ პენსიების და დახმარების სახით დაურიგა ინვალიდებს და ნივთიერათ გაჭირვებულ მდგომარეობაში ჩავარდნილ პირებს — 1.265 მანეთი; ამ ანგარიშში არ შედის თანხა, რომელიც აღნიშნული დროის განმავლობაში გლეხკომებმა დაურიგეს თავის საშუალებებიდან და ფონდებიდგან ინვალიდებს, წითელარმიელების ოჯახებს და სხვა სახის გაჭირვებულ პირებს.

1904 მან. 60 კაპ. თავდაცვის გასაძლიერებლად

სრულიად საქართველოს ცაკის სოც. უზრ. განყოფილებამ გადასცა საქართველოს თავდაცვა - ავიაქიმის ხელი შემწყობ საზოგადოებას თავდაცვის ფონდის გასაძლიერებლად თავის სპეციალურ საშუალებებიდან 1904 მან. და 60 კაპ. ამას გარდა სრულიად საქართველოს ცაკის სოც. უზრუნველყოფის განყოფილების მუშაკოსამსახურეებმა საქართველოს თავდაცვა ავიაქიმის ხელის შემწყობ საზოგადოებას თავის ფონდის გასაძლიერებლად გადასცეს თავიანთი ნახევარი დღის ხელფასი 180 მან. და 46 კაპ.

წარმომადგენლობა და გადასინჯვა სოხუმში

ამიერ - კავკასიის მუშ. და გლ. ინსპექციის კოლეგიამ მოახდინა წარმომადგენლობათა გამოკვლევა სოხუმში. გამოკვლევამ გამოარკვია შემდეგი:

ა) საქ. ს. მ. უ. ს. სავაჭრო კანტორა, წინააღმდეგ წესდებისა, ჰყიდიდა სხვა ორგანიზაციების საქონელს, რომლის შესყიდვას აწარმოებდა უმეტეს შემთხვევებში კომისიონერების საშუალებით. ამ.-კავკ. მუშ. და გლ. ინსპექციამ წინადადება მისცა საქართველოს ს. მ. უ. საბჭოს შეაწყვეტინოს კანტორას სხვა საქონლის ოპერაციები, გარდა ს. მ. უ. ს. ტრესტების საქონლისა. საკითხი კანტორის შემდგომი არსებობის შესახებ კი გადაეცა საქ. მუშ. და გლ. ინსპექციის კოლეგიას.

ბ) თამბაქოს ნედლეულის აფხაზეთის კანტორა არ კმაყოფილდებოდა თამბაქოს მიღებით დამამზადებელ ორგანოებისაგან, ავანსების გაცემით, სტანდარტების დადგენით და ხელშეკრულებათა შესრულებაზე თვალყურის დევნებით, და თვითონ აწარმოებდა ყველა დამამზადებელ ოპერაციებს. ა.-კ. მუშ. და გლ. ინსპექციამ საჭიროდ სცნო შეამციროს აფხაზეთის კანტორის აპარატი და მინიმუმამდე შეამციროს მისი შესანახი ხარჯები.

ამას გარდა ამ.-კავკ. მუშ. და გლ. ინსპექციამ საჭიროდ სცნო მოახდინოს „სახაროტრესტის“ აფხაზეთის კანტორის ლიკვიდაცია და გადასცეს მისი ფუნქციები აფხაზეთის რომელიმე ორგანიზაციას. (ადს).

საზაფხულო გეოლოგიური სამუშაოები

ამის წინეთ დასავლეთ საქართველოსკენ გაგზავნილ იქნა სამთო მრეწველობის ტრესტის გეოლოგი ბახტაძე, რომელსაც დავალებული ჰქონდა დაეთვალიერებია დასავლეთ საქართველოში წარმოებული ზოგიერთი გეოლოგიური სამუშაოები.

გეოლოგ ბახტაძის გადმოცემით, აღნიშნულ სამუშაოთა მდგომარეობა ამჟამად ასეთია: **ხოვეუბისში** (შორ. მ.) დაწყებულია სურინჯის მადნების გამოკვლევა. გამოკვლევა ტეხნიკოსთა პარტიაში. მუშაობს 16 კაცი. მუშაობის დასრულება განზრახულია მომავალ გაზაფხულისათვის, და ამ დროიდანვე შეუდგებიან სურინჯის (საღებავი) დასამზადებელ ქარხნის აგებას.

პარალელურად სწარმოებს მადნის ექსპლოატაცია. ყოველდღიურათ ამოაქვთ 400 ფუთი მადანი, რომელიც იგზავნება თბილისის საღებავების ქარხანაში გადასამუშავებლად.

ნატანების მახლობლად მუშაობს მეორე ტეხნიკური გამომკვლევი პარტია, რომელიც აწარმოებს ბიტუმიანი ქვიშის მარაგის გამოკვლევას. ბიტუმის ქვიშას ხმარობენ ასფალტის დასამზადებლად და მასზე ამჟამად დიდი მოთხოვნილებაა, როგორც ამიერ-კავკასიაში, ისე რუსეთის სხვა ქალაქებშიაც. გამოკვლევების დასრულება გადაწყვეტილია შემოდგომისათვის. ბიტუმიანი ქვიშის მარაგის გამოკვლევა სწარმოებს ბურღვის საშუალებით.

ახლო ხანში დაიწყება გამოკვლევები აგრეთვე სოფ. **კუმისთავში, ხომელში და ქვირიშოულში** (ქუთაისის მაზრა) აღნიშნულ სოფლებში ბლომათ მოპოვება ე. წ. ოხრას მადნები. ოხრა იშვიათი საღებავია და იგი ბაზარზე ძალიან ძვირია.

ხელოვნება

კომპოზიტორი ალექსანდრე სპენდიაროვი
(სიმფონიური კონცერტები)

მედსანშრომის მუშაკთა კლუბში გაიმართა ნიჭიერი კომპოზიტორის ალექსანდრე სპენდიაროვის კონცერტი.

კომპოზიტორმა მიიქცია აუდიტორიის განსაკუთრებული ყურადღება და კონცერტის დასასრულ მას მხურვალე ოვაციები გაუმართეს. სპენდიაროვი აჯადოვებს აუდიტორიას თავისი შემოქმედებით და სამაგალითო საორკესტრო შესრულებით. მელოდიების მიმდევარი, ის თავის მუსიკაში ანსახიერებს ხალხურ მელოდიებს უმშვენიერეს საორკესტრო ფერებში. რიმსკი - კორსაკოვისაგან, ორკესტროვკის ამ უდიდესი ოსტატისაგან, მისმა მოწაფემ სპენდიაროვმა შეითვისა ორკესტროვკის და ინსტრუმენტოვკის საიდუმლოებანი, გადაიტანა ისინი თავის მშობლიურ ნიადაგზე და შემოსა ორიენტალურ (აღმოსავლურ) კოლორიტში, ორიენტალური მუსიკის ლამაზი მელოდიებით და მუსიკალური ფორმების დაცვით. არ შევცდებით თუ ვიტყვით, რომ დღეს სპენდიაროვი არის საუკეთესო ორიენტალისტი სიმფონიურ ლიტერატურაში.

კომპოზიტორი უდიდეს და უპირველეს მნიშვნელობას აძლევს მელოდიურ ფერებს და ამიტომ, თავის ნაწარმოებებში ანვითარებს, აღრმავებს მელოდიას, ავრცელებს მას მთელს ორკესტრზე და ცალკე გამოყოფს მთავარ თემებს რის გამო, მისი ნაწარმოებები წარმოდგენილია მშვენიერ, დასრულებულ ფორმაში, როგორც კომპოზიციის თეორიის წესების დაცვის მხრივ, ისე უმთავრესად მუსიკალური შინაარსისა და სილამაზის მხრივ. აქ შეიძლება დავასახელოთ მისი „ყირიმის ესკიზები“, „ერევნის ეტიუდები“ და სიუტა ოპერა „ალმასთ“ იდან.

განსაკუთრებით ლამაზია „ყირიმის ესკიზების“ ყველა ნაწილები, სადაც სიმღერებში დაცულია ხალხური მელოდია, ხოლო ცეკვაში (ხაითარმა) ხალხური რიტმი „ერევნის ეტიუდებში“ მელოდია „გიჯასი“ აღებულია სომხეთის ხალხურ პოეტის საიათნოვას კილოკავებიდან. ცალკე ეტიუდებში, განსაკუთრებით ლამაზია ზარკართლა, ვიდრე სომხური მელოდიები .(აქ აღსანიშნავია კაპელნიცკის ვიოლონჩელი). „ალმასთ“-ის სიუტაში განსაკუთრებით ლამაზია სპარსული მარში, თანდათან გაძლიერებული ხმოვანი მელოდიებით, რომლებიც იძლევიან ნამდვილი აღლუმის, ნადირშაჰის და სომხების სახალხო გმირის თათულის შებმის სურათს და თათულის გამარჯვებას სპარსეთის შაჰზე. მელოდიურია სპარსელების ლაშქრის ლოცვა ბრძოლის წინ. ორკესტრი, კომპოზიტორის ხელმძღვანელობით, იძლევა მთელ რიგ მშვენიერ, მუსიკალურ სურათებს და მომენტებს.

პ. ბ.

ქართველი მომღერლები კავკავში

23 ივლისს, ქალ. კავკავის ქართული კოლონიის კლუბში გაიმართა თბილისის კონსერვატორიის ახალგაზრდა მომღერალთა კონცერტი. კონცერტზე შესრულებულ იქნა ქართველ კომპოზიტორთა ნაწარმოებები.

ცალკე შესრულებულ ნომრებიდან აღსანიშნავია აბესალომ და ეთერის დუეტი, „ურმული“, „დაისი“, „ღმერთო ძლიერო“ და „შემოღამება“. საზოგადოებამ მხურვალე ოვაციებით დააჯილდოვა მომღერალი **გერმისაშვილი, ბუთხუზი და ლაზრიშვილი.**

კონცერტს დიდძალი ხალხი დაესწრო.

პ. ბერბ—ლი.

ხელოვნების ქრონიკა

◆ **ქუთაისის მუსიკალურ ტეხნიკუმის** მომღერალთა გუნდი ამჟამად თბილისის სხვადასხვა კლუბებში მართავს კონცერტებს.

◆ **მუშკოოპის კლუბში** სომხურ დრამწრის მიერ დადგმულ იქმნა წარმოდგენა მუშკოოპის თანამშრომლის, ამხ. პავლე თადეოსიანის ხელმძღვანელობით „რემედას“-ის სასარგებლოდ. გაწეულ ხარჯების გამოკლებით შემოსავალი 15 მან. და 59 კ. შეტანილია „რემედას“-ის ადგილობრივ უჯრედში.

დღეს კინოებში

— **დარბაზში** — „ბოროტმოქმედების დალი“.
— **მინიონში** — „უბილეთო მგზავრი“.
— **არფასტოში** — „მაქსიმ მაქსიმეს ძე“.
— **ოდეონში** — „ქალი პროვინციიდან“.
— **პალასში** — „ფანჯარა მესამე სართულში“.
— **აპოლოში** — „ქალაქის ძახილზე“.
— **ეთერში** — „მაქსიმ მაქსიმეს ძე“.

ფ.

კონკურსი პიესებზე

საქართველოს პროფკავშირთა საბჭოს კულტგანყოფილებამ გამოაცხადა კონკურსი პიესებზე, მუშათა კლუბებში დასადგმელად.

პიესების თემებია: „ოქტომბრის რევოლიუციის 10 წლის თავის“, „ყოფა - ცხოვრება, წარმოება, პროფმუშაობა, (საწარმოო თათბირები, ფაბრქარხკომები, კულტმუშაობა, კლუბი და სხვა), „საქართველოს მუშათა და პროფმოძრაობის ისტორიიდან“.

კონკურსის პირობებია: პიესის წარდგენის უკანასკნელი ვადა 1927 წ. 20 სექტემბერი; კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლია ყველა მსურველს, განურჩევლად იმისა, რომელ სალიტერატურო ორგანიზაციასაც არ ეკუთვნოდნენ ისინი.

წარმოდგენილი პიესები ისე უნდა იქნენ დამუშავებული და გამიანგარიშებული, რომ წარმოდგენა გაგრძელდეს არა ნაკლებ 2 საათისა, თითო აქტი არა უმეტეს 25-30 წუთი.

პიესები, რომლებიც შემოვა კონკურსზე, უნდა აკმაყოფილებდნენ საშუალო კლუბის სცენის მოთხოვნილებას და ტეხნიკურ შესაძლებლობას და მასთან მისაღები უნდა იყოს ნორმალურ დრამწრის ძალებისათვის.

ს. პ. კ. ს. სპეციალურ საკონკურსო კომისიის მიერ მიღებულ პიესებისათვის დაწესებულია შემდეგი პრემიები: 1-ლი პრემია — 300 მან., მე-2 — 150 მან.

პიესები, რომლებიც მიიღებენ 1-ლ და მე-2 პრემიას, გამოცემულ იქნება გამომც. „შრომა“-ს მიერ.

პიესები უნდა გაიგზავნებოდეს შრომის სასახლეში, საქ. პროფსაბჭოს კულტგანყოფილების სახელზე, ოთახი № 14, დევიზის ქვეშ. ავტორების გვარები და მისამართები კი—დახურულ კონვერტებში.

ყოველივე ცნობები კონკურსისა და საერთოდ საკლუბო - სათეატრო მუშაობის პირობების შესახებ, შეიძლება მიღებულ იქნეს საქ. პროფსაბჭოს კულტგანყოფილებაში, ოთახი № 14.

სასამართლო

მხეცი ბიძა

ჩვენში იციან ახალი წლის მილოცვა. ასეთია ხალხში დარჩენილი ტრადიცია. სწორედ ახალ წელს „მიულოცა“ დიმიტრი ოთარაშვილმა თავის ძმას ზურაბს მაგარი მუშტები გვერდებში.

დიმიტრის საახალწლო „ვიზიტი“ თავისი ძმისას დასრულდა სუფრის გადაბრუნებით და მასპინძლის მიბეგვით.

ამ სურათს უყურებდა დიმიტრის ძმისშვილი კირილე, რომელმაც შეურაცყოფილად იგრძნო თავი მისი მამის გალახვის გამო. მან შეკრიბა თავისი ამხანაგები, მიუვარდა ბიძას სახლში და ფანჯრები ჩაულეწა.

ამის შემდეგ ბიძა-ძმისშვილს შორის გამწვავებული მდგომარეობა დარჩა. ისინი ერთმანეთს [illegible].

24 აპრილს დიმიტრი ოთარაშვილი სტუმრად იყო ვინმე დემეტრაშვილის ოჯახში, სადაც მივიდა კირილე და მოინდომა ბიძასთან შერიგება.

— მე შენ გეუბნები, სადაც მე ვიქნები, იქ არ გამოჩნდეო“—მიაძახა დიმიტრიმ თავის ძმისშვილს და სცემად წაიწია.

დიმიტრის მოჰკიდეს ხელი და წაიყვანეს თავის სახლში. გზაში სულ მუდამ იმას იძახოდა „კირილე უნდა მოვკლაო“.

შეღამებისას დიმიტრი გამოდის გარეთ ქალაზე აღელვებული, მას უკან მისდევენ ცოლი, შვილი და ყველა მოკეთეები და ემუდარებიან არ წავიდეს, რადგან იციან. რომ ის კირილეს ემუქრება და მოკვლას უპირებს.

ამბავი ხდება თბილისში, ლეჩხუმის შესახვევში, სწორედ იმ დროს, როცა ქუჩაში ჩოჩქოლია და დიმიტრის ამშვიდებენ, ქუჩის მეორე მხარეს გამოჩნდება კირილე, რომელიც დოლს უკრავს და თავის ამხანაგებთან ერთად მოიმღერის.

დანახვისთანავე დიმიტრი გაექანება კირილესაკენ და თვალის დახამხამებაში გულში ჩასცემს დანას.

— ბიძაჩემო, რაზე მომკალი,—ამოიკვნესა კირილემ და იქვე დაეცა უსულოთ.

დიმიტრი ოთარაშვილი დააპატიმრეს. საქმე ამ დღეებში გაირჩია აღმოსავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლოში.

გერ.

გაფლანგვა

მოქ. ისიდორე შავარდნაძე მუშაობდა თბილისის აღმასკომში საფინანსო განყოფილების ფინაგენტის თანამდებობაზე.

მას ევალებოდა საფინანსო განყოფილების განკარგულებაში არსებულ შენობების ქირის აკრეფა მოქალაქეებისაგან. აკრეფილი თანხა მას მაშინვე უნდა შეეტანა განყოფილების სალაროში. მაგრამ მან ყალბი ქვითარების შედგენის გზით მიითვისა და გაფლანგა 175 მანეთი.

ი. შავარდნაძე მიცემულია პასუხისგებაში. საქმე ამ დღეებში გაირჩევა აღმოსავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლოში.

ე.

ურარტუს ლურსმური წარწერები

ნორ - ბაიაზეთის ახლოს (სომხეთში) აღმოაჩინეს ურარტუს ლურსმული წარწერები. აღმოჩენის ადგილზე გამგზავრებულმა სპეციალურმა კომისიამ დაასრულა მოსამზადებელი მუშაობა ძეგლის უწინდელი ადგილმდებარეობის გამოსარკვევად და შეუდგა მის დეტალურად შესწავლას. წარწერებს უჭირავთ უზარმაზარი ბაზალტის ქვის ორივე მხარე და შესდგებიან 8 ასოსაგან; თითოეული ასო 1-ნახევ. მეტრის სიგრძის არის.

კომისიის მდივანმა, მეცნიერმა **ახშარბეკ კალანტაროვმა** უკვე ამოიკითხა ლურსმული წარწერები. მისი განცხადებით, ძეგლი დაწერილია მერვე საუკუნის წინ ქრისტეს დაბადებამდე და ეკუთვნის ხალდის მეფეს — რუზასს.

აღმოჩენილი ძეგლი მდიდარ მასალას იძლევა ძველი კავკასიის ისტორიისათვის.

საბჭოთა ნავთი სპარსეთში

საკავშირო ნავთის სინდიკატმა და საზოგადოება „პერსაზნეფტ“-მა ა.-კ. რკ. გზ. გამგეობასთან არსებულ საუწყებათაშორისო - სატარიფო თათბირის წინაშე აღძრეს შუამდგომლობა, რათა გადასინჯული იქნეს საბჭოთა ნავთის სპარსეთის ჩრდილოეთ - სამხრეთ ნაწილში გადაზიდვის ტარიფები.

სპარსეთის ჩრდილოეთ - სამხრეთ ნაწილში საბჭოთა ნავთის პროდუქტების ექსპორტის გაძლიერების მიზნით ა.-კ. რკ. გზ. გამგეობასთან არსებულ საუწყებათაშორისო - სატარიფო თათბირმა აუცილებლად სცნო ბაქო - შახტახტის და ჯულფის მიმართულებით ნავთის გადაზიდვის ისეთივე ტარიფის დაწესება, როგორიც არსებობს ბაქო - ბათომის და ბათომ-ლენინაკანის მარშრუტით.

გადასვლა ზაჰესის ენერგიაზე

თექვსმეტი ელექტრო სადგურიდან, რომელიც თბილისის ელექტრო სადგურთა სამმართველოს განკარგულებაშია, ზაჰესის ენერგიაზე გადასვლის გამო, დღემდე 14-მა შეაჩერა მუშაობა, დანარჩენი ორი სადგური არა სრული დატვირთვით მუშაობს და ორი თვის შემდეგ სავსებით დაიკეტება. თბილისის საწარმოო დაწესებულებანი, რომელთაც საკუთარი ელექტრო სადგური აქვთ, ამ ჟამად სდგამენ მოტორებს ზაჰესის ენერგიაზე გადასასვლელად. ზაჰესის ენერგიის ექსპლოატაციის პირველი წლის განმავლობაში, ზაჰესის ენერგიაზე გადავა საწარმოო დაწესებულებათა 20 პროც. მეორე წელში —50 პროც., მესამეში კი—ყველა დანარჩენი. ამ.-კავკასიის რკ. გზების მთავარი სახელოსნო, ტრამვაი და წყალსადენი ზაჰესის ენერგიაზე გადავლენ 1928 წლის ნახევარში.

რკინისგზებზე

მატარებლების მიმოსვლის ახალი ცხრილი

საბჭოთა კავშირის ყველა გზებზე პირველ ოქტომბრიდან შემოღებული იქნება სახალხო მატარებლების მიმოსვლის ახალი ცხრილი.

ა.-კ. რკ. გზ. მოძრაობის განყოფილების სამგზავრო ნაწილი უკვე შეუდგა ამ ახალ ცხრილის დამუშავებას.

ახალი ცხრილის თანახმად, ზამთრის პერიოდში განზრახულია ზოგიერთ მატარებლების მოხსნა, როგორც პირდაპირ, ისე ადგილობრივ მოძრაობაში.

წესების კრებული

ა.-კ. რკ. გზ. მოძრაობის განყოფილების სამგზავრო ნაწილმა უფროს კონდუქტორებისათვის გამოსცა წესების და განკარგულებების კრებული.

კრებულის გამოცემის მიზანია კონდუქტორთა კვალიფიკაციის აწევა, რაც ომის და რევოლუციის პერიოდში საგრძნობლად დაეცა.

რიონჰესი

რიონის ჰიდრო-ელსადგურის საამშენებლო კომიტეტში მიღებული ცნობებით, რიონჰესის სამუშაოები ამჟამად ასეთ მდგომარეობაშია:

დაწყებულია რკინის გზის შტოების გაყვანა ერთი ბარიტის საფქვავი ქარხნის ასაგები ადგილიდან (ქუთაისის რკ. გზის სადგურის ახლოა) და მეორე საფირჩხიიდან. პირველი შტოს მიმართულებაა საღორიის ტყისაკენ, ხოლო მეორე საფირჩხიიდან სამხრეთით. მთავარი ჯებირის ასაგებ ადგილთან (ჭომში), რიონის რკ. გზ. სადგურის მახლობლად და იმ ადგილას, სადაც გათავდება დიდი გვირაბი დაწყებულია სამზადისი მუშების საცხოვრებლების ასაგებათ. ამ მიზნით ზაჰესში სწარმოებს მუშების საცხოვრებელი ბარაკების დარღვევა და მასალის გადატანა ქუთაისში.

პირველ ხანებში ბარაკების აშენება განზრახულია 1.000 მუშისათვის.

ქაღალდის ქარხანა

ამ ერთი კვირის წინათ სოფ. ჯვარისა და შამგონის რაიონში გაემგზავრენ ამხ. **ლ. ქართველიშვილი, ს. ჯუღელი, ინჟ. ვანაძე და ვოლოხი** ქაღალდის ქარხნის ასაგებ ადგილის ხელახლა დასათვალიერებლად. მათ დაათვალიერეს, როგორც სოფ. ჯვარის, ისე შამგონის რაიონები და თავისი მოსაზრება წარადგინეს უმაღლეს ეკონომიურ საბჭოს უკანასკნელ სხდომაზე.

ეკონომიური საბჭო გაეცნო, როგორც შამგონის, ისე ჯვარის ვარიანტს და დაადგინა უპირატესობა მისცეს შამგონის ვარიანტს, ვინაიდან ქარხნის აშენება იქ, გამოიწვევს უფრო ნაკლებ ხარჯებს.

ამის გამო, ახალშენთა კომიტეტს მიენდო შეუდგეს ქარხნის ასაგები ტერიტორიის გამოყოფას, რისთვისაც გადაწყვეტილია გაიგზავნოს ადგილობრივ სპეციალისტთა კომისია.

ს. მ. უ. ს. პრეზიდიუმმა ამასთანავე შუამდგომლობა აღძრა ა-კ. ფინსახკომის საბიუჯეტო სამმართველოს წინაშე გადასდოს 600.0000 მანეთი ახალშენებთა კომიტეტის განკარგულებაში ქაღალდის ქარხნის ასაგებ ფონდიდან.

შრომის ბირჟაში

მუშა-ხელის მოთხოვნილება

დღეს, 2 აგვისტოს, შრომის ბირჟა სამუშაოზე გზავნის შემდეგ უმუშევრებს:

საწარმოვო კვალიფიციურ მუშათა 1-ლი სექცია: მარო მელიქიშვილს, ვასილ კორნილოვს, ნატალია სანოიანცს, ანასტასია კაპელოვას, მარიამ ბუნტურს, ოსანა მელიქიშვილს, კლავდია ვიტუნინას; სოლომონ კარგარეთელს, ანასტასია კაშელოვას, ნინო მარქაროვას, აზო ბალიანცს; იოსებ მერაბიანს, მნაცაკან ბაგდასაროვს, პეტროს სირაკანოვს, სოფიო ბოჭორიძეს.

გონებრივ მუშაკთა მე-2 სექცია: ოლღა მაჩაბელს, ფელიცატა ფალავანდიშვილს.

მე-5 სექცია: ივანე ზეიკიძეს, ნატალია მირზოევას.

იურიდიული რჩევა-დახმარება

ზედმეტი საათებში მუშაობის ჯილდოს შესახებ.

პასუხი

გაქვთ სრული უფლება ოჯახში შემოიყვანოთ ზესიძე და მუდმივადა იცხოვროთ იქ, საერთო მიწებით და ქონებით ისარგებლოთ თანასწორათ თქვენ, თქვენი შვილი და ზესიძეც. თქვენი სახლიდან განდევნის უფლება არავს არა აქვს.ასეთი მოქმედება იქნებოდა სრულიად უკანონო და ძალმომრეობა და მას საბჭოთა ხელისუფლება არავითარ შემთხვევაში არ დაუშვებს. (იხ. მიწის კოდექ. მუხ. 40 და მასთან დართული შენიშვნა).

გირჩევთ მიმართოთ სათანადო განცხადებით ადგილობრივ საადგილ-მამულო სასამართლოს კოლეგიას, (მიწის კოდ. მუხ. 24-სა თანახმად).

სოფ. მაქათუბნის (შორაპნის მაზრა) მცხოვრ. **შორაპნელ კოწიას. (კავშ. წევრს წიგნ. № 15666**

პასუხი

შრომის კანონთა კოდექსის მუხ. 60-ის თანახმად, ზედმეტი საათების მუშაობის ჯილდო მუშაობის პირველ ორ საათისათვის არ შეიძლება იყოს ნორმალურ საათობრივ გასამრჯელოს ერთ ნახევარზე ნაკლები. გასამრჯელოს მეტი რაოდენობით გაცემა კანონით აკრძალული არ არის და დაიშვება კიდეც. შესაძლებელია მომუშავეს მიეცეს ორმაგი და მეტი რაოდენობით გასამრჯელო.

გაგრიჩვაძეს

პასუხი

ბინის ქირად თვიურად, როგორც თვიურად 50 მან. მიმღები, თითოეულ კვადრ. მეტრზე გადაიხდით თოთხმეტ კაპეიკს (14 კაპ.) ბინის ქირა მიეცით იმას, ვინც შეჯიბრებით შეინარჩუნა სახლი.

კავშირის წევრს (წიგნ. № 309.8) **სორაძეს**

თქვენი ხელფასის (30 მანეთის) მიხედვით ბინის ქირას თითოეული კვადრატიული მეტრზე გადაიხდით ექვს კაპ. (6 კაპ.) თუ სახლის მფლობელობა მას არ მიიღებს, შეიტანეთ თბილისის ხაზინაში, საიდანაც მიიღებთ სათანადო ქვითარს ბინის ქირის გადახდის შესახებ.

კავშირის წევრს (წიგნ. № 14.633) **სოფლელს**

პასუხი

რადგან თქვენ იღებთ თვიურად ძირითად ხელფასს 50 მანეთის რაოდენობით, ამიტომ ბინის ქირას თვიურად კვადრ. მეტრზე გადაიხდით ნორმალურ ქირაზე 60 პროცენტის შეღავათით, თანახმად შრომის კანონთა კოდექსის მუხ. 47-ის შენიშვნა მესამესი და მუხ. 88-სა).

მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

დადგენილება

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსი საკოოპერაციო საქმეთა სამმართველოს დებულების დამტკიცების შესახებ

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. დამტკიცებულ იქნეს საკოოპერაციო საქმეთა სამმართველოს დებულება.

2. გაუქმებულ იქნეს საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის რევოლიუციონური კომიტეტის 1921 წლის აპრილის 29-ის თარიღისა და 14 №-ის დადგენილება კოოპერაციის შესახებ და საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს მიერ 1922 წლის აპრილის 25-ს დამტკიცებული დებულება საკოოპერაციო საქმეთა სამმართველოს შესახებ.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე—

ლ. ქართველიშვილი.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველის თანამდებობის დროებით აღმასრულებელი **ს. სტეფანოვი.**

1927 წ. ივლისის 27.
თბილისი-სასახლე.

დებულება

საკოოპერაციო საქმეთა სამმართველოს შესახებ

1. კოოპერაციის ყველა სახის განვითარებისა, კოოპერატივების რეგისტრაციისა და კოოპერაციის მოქმედების საერთო მეთვალყურეობისათვის მოეწყობა საკოოპერაციო საქმეთა სამმართველო.

2. საკოოპერაციო საქმეთა სამმართველო არსებობს საქართველოს ეკონომიურ საბჭოსთან.

3. საკოოპერაციო საქმეთა სამმართველოს დაეკისრება:

ა) გააერთიანოს, როგორც ცენტრში, ისე ადგილობრივ ყველა იმ ორგანოს მოქმედება, რომელსაც კავშირი აქვს კოოპერაციასთან;

ბ) შეიმუშაოს დეკრეტებისა და დადგენილებების პროექტები, გამოსცეს ცირკულიარები და ინსტრუქციები კოოპერაციის სფეროში და მისცეს ხოლმე დასკვნა კოოპერატიული ორგანიზაციებისა და სხვა სათანადო დაწესებულებების მიერ კოოპერაციის შესახებ — შემუშავებულ კანონდებულებათა პროექტის შესახებ;

გ) აწარმოოს როგორც პირველი საფეხურის, ისე სარაიონო და ცენტრალური ორგანიზაციების რეგისტრაცია, გარდა საკრედიტო - კოოპერატიული ამხანაგობებისა და მათი კავშირებისა (მათი წმინდა სახით);

დ) განახორციელოს საერთო კონტროლი ხელისუფლების ცენტრალურ ორგანოთა მიერ კოოპერაციის დარგში გამოცემული დეკრეტებისა და დადგენილებების და სამმართველოს ცირკულიარების და ინსტრუქციების შესრულებისათვის;

ე) ხელი შეუწყოს კოოპერაციის ყველა სახის განვითარებას და მისი საქმიანობის განმტკიცებას.

4. არც ერთი დეკრეტისა და დადგენილების პროექტი, რასაც კოოპერაციის დარგში ესა თუ ის სახალხო კომისარიატი შეიმუშავებს არ შეიძლება შეტანილ იქნეს სახალხო კომისართა საბჭოში საკოოპერაციო სამმართველოს დასკვნის გარეშე.

5. საკოოპერაციო საქმეთა სამმართველო შესდგება:

ა) კოლეგიისაგან, რომელშიაც შედიან: სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს, ვაჭრობამოქმედების სახალხო კომისარიატისა, ფინანსთა სახალხო კომისარიატისა, საქ. სას. სამ. ბანკისა, კოოპერაციის ცენტრების— „ცეკავშირისა“ და „სოფლის კავშირისა“ და სარეწაო კოოპერაციის წარმომადგენლები. თვითეულ წარმომადგენელს დაენიშნება მუდმივი მოადგილე. (კოლეგიის თავმჯდომარეობს საქართველოს უმაღლესი ეკონომიური საბჭოს წარმომადგენელი);

ბ) სამუშაო აპარატისაგან, რომელსაც შეადგენს ერთი მდივანი.

6. საკოოპერაციო საქმეთა სამმართველოს დადგენილება, მაგალითად, კოოპერატიულ ორგანიზაციისათვის რეგისტრაციაზე უარის თქმის შესახებ, შეიძლება განსაჩივრებულ იქნეს საქართველოს უმაღლეს ეკონომიურ საბჭოში, რომლის გადაწყვეტილებაც საბოლოოა.

7. ამა დებულების განვითარებისა და განმარტებისათვის საკოოპერაციო საქმეთა სამმართველო, საქართველოს უმაღლესი ეკონომიური საბჭოს დასტურით, გამოსცემს ხოლმე ინსტრუქციას და სახელმძღვანელო ცირკულიარს.

პარტიული კალენდარი

საქ. კ. (ბ) ლენინის რაიკომი იუწყება, რომ სამშაბათს, 2 აგვისტოს, შუადღის პირველ საათზე საგზაო სამსახურის მე-6 უბნის კლუბში შესდგება კომპარტიის და კომკავშირის უჯრედების მდივნების თათბირი ადგილკომების ფრაქციების მდივნებთან ერთად.

ოთხშაბათს, 3 აგვისტოს, დილის 9 საათზე, თბილისის კომიტეტის საგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილებაში შესდგება თბილისის კომიტეტის საგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილების სხდომა.

კვირას, 31 ივლისს, ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა

ნინო ესტატეს ასული
ეგაძე

რასაც მწუხარებით აუწყებენ ნაცნობთ და ნათესავებს [illegible] გულდაწყვეტილი შვილები: ნადიკო, ლიუბა, სოფიო, თამარ, ევგენია და მიხეილი, სიძეები: ილია ფერაძე და სერგო გორგაძე შვილებითურთ, დები: პელაგია ზანდარაშვილისა და ნატალია მაჭარაშვილისა შვილებითურთ და რძალი თამარ ყარსელაშვილისა შვილებითურთ.—გამოსვენება საკუთარი ბინიდან (არაგვის შესახვევი № 8), დღეს, სამშაბათს, 2 აგვისტოს, ნაშუადღევის 5 ნახ. დაკრძალვა—კუკიის სასაფლაოზე 3465

ზუგდიდის რაიონის მომხმარებელთა კოოპერატივის გამგეობა, სარევიზიო კომისია და თანამშრომელნი მწუხარებით აუწყებენ ამხანაგებს და მეგობრებს თანამშრომელი

კაკო მერაბის ძე ბუკალავას

ტრაღიკულად გარდაცვალებას 3470

ღრმად დამწუხრებული მეუღლე ილიკო იოსებისძე, მაზლები: ალექსი, მიხაკა, ზახარა იოსებისძენი დოსმიშვილები, ძმა მოსე, რძალი დარო გვარამაძეები, და მაზო, სიძე ლუკა ტაბატაძეები აუწყებენ ყველა ნაცნობთ და ნათესავებს ძვირფასი და დაუვიწყარი

ჯულა ალექსანდრეს ასული
დოსმიშვილის

უდროოდ გარდაცვალებას. რომლის დასაფლავება დანიშნულია 2 აგვისტოს 1927 წ. აგარაკ წაღვერში, ბორჯომის თემი 3464

ღრმად დამწუხრებულნი ეკატერინე ქაიხოსროს ასული გარდაფხაძის, კისია, კატო, გელა, ტატკა და შალვა გარდაფხაძეები, თინა და არტემ ახვლედიანები აუწყებენ ნაცნობთ და ნათესავთ, რომ პარასკევს, 28 ივლისს, გარდაიცვალა პირველის შვილი ხოლო დანარჩენთა დაი, დაუვიწყარი

სალომე (სალოშა) ნესტორის ასული
გარდაფხაძე

გამოსვენება მოხდება, სამშაბათს, 2 აგვისტოს, ძველი ნიკოლოზის ეკლესიიდან ნაშუადღევის 6 საათზე. დაკრძალვა ვერის ახალ სასაფლაოზე. 3471

დედა—დესპინე გიორგის ასული და მამა—იოსებ დავითის-ძე **სიდამონი,** მეუღლე—ალექსანდრე ბესარიონისძე **ლომთაძე,** და—ელენე იოსებ სიდავას ასული, სიძე ნიკოლოზ ალექსანდრესძე **გრომაშვილი,** და მამიდა რიტა დავით სიდავას ასული ამით აუწყებენ ნათესავთ, მეგობართ და ნაცნობთ, რომ ამა წლის 30 ივლისს, საღამოს 5 საათზე, ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათთვის ძვირფასი

ნინა (ნინიკო) იოსებ სიდავას ასული
ლომთაძისა

დაკრძალვა: სამშაბათს, ა° | წ. 2 აგვისტოს, ვერის ახალ სასაფლაოზე. გამოსვენება საღამოს 5 საათზე ჭავჭავაძის ქ. № 9. 3468

დღეს და ყოველდღე!

„ეთერი“ (სახელმწ. ოპერის ბაღში) კინო **„დარბაზი“** (პლეხანოვ. ბაღში № 91) თეატრებში **„აპოლო“** (არტოს ბაღში)

მხატვრული ტრიუკებიანი სურათი
„ორში = ერთი“
საუკეთესო ტრიუკისტის კარლო ალდინის მონაწილ.

საუკეთესო ტრიუკისტი ხეჩისონი
(განთქმულ სურათის „სპიდის“ გმირი)
სალონურ ტრიუკებიან სურათში
„ბოროტმოქმედების დალი“
(სამკვდრო-სასიცოცხლო თამაში)
1 და 2 სერია ერთად. თავსამტვრევი ტრიუკები. მომჯადოვებელი სიუჟეტი.
ადგილების ფასი 50 და 40 კაპ.

ლილიან გიშ
(განთქმულ სურ. „ორი ობოლის“ გმირი)
მხატვრულ სურათში
ქალაქის ხმაზე
მსოფლიო რეჟ. დ. გრიფფიტის დადგმა.
კინოში ბილეთის შემძენნი აღარ იხდიან ბაღში შესასვლელ ფასს და სარგებლობენ ბაღის სანახაობების დათვალიერების უფლებით.

— სიმებიანი ორკესტრი —

სალარო ღიაა საღამოს 7 საათიდან. — 1-ლი სეანსი დაიწყება 8 საათზე. ნ. 1520.

ეთერი (სახელმწ. ოპერის ბაღში)

დარბაზი (ბაღში, პლეხანოვ. № 91)

აპოლლო (არტოს ბაღში).

0—23 ნ. 1388

მხატვრული ტრიუკებიანი სურათი
„ორში ერთი“
საუკეთესო ტრიუკისტის კარლ ალდინის მონაწილეობით. სიმებიანი ორკესტრი

განთქმული სურათის „სპიდ“-ის გმირი ხეჩისონი
საუკეთესო სურათში
„ბოროტმოქმედების დალი“
(სამკვდრო-სასიცოცხლო თამაში). 1 და 2 სერია ერთად. წარმტაცი სიუჟეტი, არაჩვეულებრივი ტრიუკები

ლილიან გიში (სურათ „ორი ობოლის“ გმირი) ორიგინალურ კინო-პიესაში
„ქალაქის ხმაზე“
მსოფლიო რეჟისორის დ. გრიფფიტის დადგმით

ქ. თბილისის შრომის სასამართლოს აღმასრულებელი
გრ. ა. დანელია

ამით აცხადებს, რომ ის 4 აგვისტოს 1927 წ. დღის 1 საათ. სახლში № 41 რუსთველის გამზ. **საჯარო ვაჭრობით** გაყიდის სასადილო „მედვედი“-ს მოძრავ ქონებას: ვენურ სკამებს, მაგიდებს, საყინულეს, თეფშებს, ბლუდებს, დანა-ჩანგალს, ქვაბებს, სხვადასხვა სასმელებს და სხვ. შეფასებულს 1.555 მან., სახკვების კავშირის ვალის დასაკმაყოფილებლად, თანახმად ქ. თბილისის შრომის სახალხო სასამართლოსაგან 17 ივლისს 1927 წ. თარიღით, № 2041 გაცემულ აღმასრულებელ ფურცლისა. ვაჭრობა იწარმოებს შეფასებულ ფასებიდან ნ. 1521

ქ. თბილისის შრომის სასამართლოს აღმასრულებელი
გრ. ა. დანელია

ამით აცხადებს. რომ ის 5 აგვისტოს 1927 წ. დღის 12 საათზე სახლში № 12 გრაფის ქუჩაზე **საჯარო ვაჭრობით** გაყიდის არტემ არუთინოვის მოძრავ ქონებას: ერთი დიდი ზომის საყინულეს, ვენურ სკამებს, მაგიდებს და სხვა და სხვა სასადილოს ინვენტარებს შეფასებულს 300 მანეთად, ბესარიონ ავალიშვილის ვალის დასაკმაყოფილებლად, თანახმად ქ. თბილისის სახალხო სასამართლოსაგან 11 ივლისს 1927 წ. თარიღით № 2497 გაცემულ აღმასრულებელ ფურცლისა. ნ. 1522

ქ. თბილისის მე-3 რაიონის სასამართ. აღმასრულებელი
კ. ძამოევი

ამით აცხადებს, რომ ის 4 აგვისტოს 1927 წ. დღის 1 საათზე სახლში № 3 მანავის ქუჩაზე **საჯარო ვაჭრობით** გაყიდის თევდორე ქელდიშვილის მოძრავ ქონებას: ბაღის მოსავალს შეფასებულს 450 მანეთად, ბათლომე გელენაძის ვალის დასაკმაყოფილებლად, თანახმად ქ. თბილისის მე-3 უბ. სახალხო სასამართლოსაგან 9 ივლისს 1927 წ. თარიღით, № 1654 გაცემულ აღმასრულებელ ფურცლისა. 3464

მიხეილ გედევანიშვილის
სახელობის
სამკურნალო
საწოლებით
ელექტრონით და სინათლით
სამკურნალო კაბინეტი

ნერვიულ და აგრეთვე იმ ავადმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ. მიღება 2—3 და 6—8 საათ. თბილისი, ყორღანოვის ქ., № 20 25—1

ექიმი **ი. ი. ბერიშვილი**

ვენერიული, საშარდე—სასქესო ორგანოების, სიფილისი და კანის ავადმყოფობა

დილით 9—1 საათ., საღამოს 5—8 ს ქალებისთვის ცალკე შესავალი. სასტუმრო „ევროპას“ (ყოფ. „ნოეს“, პირდაპირ „ჩოდრიშვილის“ შესახვევი. (ყოფ. პლეხანოვის შესახვევი) № 8). 25—1

ექიმი
გ. ნ. ონანოვი
სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულებანი, სქესობრივი სისუსტის ექიმობა

ავადმყოფების მიღება დილით 9 საათიდან 12 საათამდე, საღამოთ 5—8 ს-დე. ქალების 7—8 ს-დე. ელისაბედის ქუჩა, № 3. 25—1

ექიმი
ა. დ. კეკელია
სიფილისი, ვენერიულ და კანის სნეულება.

მიღება 8—12 დილ. 7—9 საღამ. პლეხანოვის პრ. № 116. სასტუმრო „ნოე“-ს პირდაპირ

პროფესორი
მ. წინამძღვრიშვილი
იღებს ავადმყოფებს ბორჯომში.

13—1

დაჰკარგე მეტრიკული ამონაწერი № 110 ნინო გაბრიელის ასული მშვენიერაძეს სახელზე, ჩ. გ. 3463

დაჰკარგე მეტრიკული ამონაწერი № 2071 რაჟდენ ხელაშვილის სახელზე ჩ. გ. 3466

დაჰკარგე მეტრიკული ამონაწერი № 1072 ალექსანდრე ბათლომეს-ძე ჯანუაშვილის სახელზე, ჩ. გ. 3466

დაჰკარგე უვადო პასპორტის მოწმობა და მოწმობა გაცემული ა-კ. ფ-ტ საოლქო სამმართველოს მიერ გიორგი ივანეს-ძე ლუდუშაურის სახელზე ჩ. გ. 3462

დაჰკარგე ლიდა ესაკიასამ დაქორწინების აქტი მოქ. ნესტორ ესაკიასთან და აგრეთვე ჩემი შვილის ალექსანდრე ესაკიას რეგისტრაციაში გატარების აქტი მიღებული დიდუბის „მმაჩ“-ის სამმართველოდან. ჩ. გ.3460.

დაჰკარგე მარტვილის 9 წლედიდან მოცემული ატესტატი № 99 | 682 და მარტვილის რაისამხედრო მაგიდიდან მიღებული პირადი წიგნაკი № 1466 ნოე თადეოზის-ძე თოფურიას სახელზე ჩ. გ. 3461

ალმასკომის სტამბა, კამოს ქ. 68.